

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,  
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი ნ. შარის სახ.

---

3. ბარავედიძე

# ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან

(ღვთაება ბარბარ-ბაბარ)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
თბილისი

1944



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Институт языка, истории и материальной культуры им. Н. Я. Марра  
AKADEMIE DER WISSENSCHAFTEN DER GEORGISCHEN SSR  
Maxim Institut der Sprache, der Geschichte und der Materiel. Kultur

---

В. Бардавелидзе

ИЗ ИСТОРИИ  
ДРЕВНЕЙШИХ ВЕРОВАНИЙ ГРУЗИН  
(БОЖЕСТВО БАРБАР-БАБАР)

V. BARDAVELIDZE

AUS DER GESCHICHTE DER ÄLTESTEN  
GLAUBENSBEKENTNISSE DER GEORGIER  
(DIE GOTTHEIT BARBAR-BABAR)

Издательство Академии Наук Грузинской ССР  
Verlag der Akademie der Wissenschaften der Georgischen SSR

---

Тбилиси

1941

Tbilissi

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი ნ. შარის სახ.

3. ბარაველიძე

ქართველთა უძველესი  
სარწმუნოების ისჯოკიიდან  
(ღმთაება ბარბარ-ბაბარ)

3228



დარბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით

პრეზიდენტი აკად. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი გ. ჩიტაია

# შ ი ნ ა ბ რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . . . .	J
I. მისამართლოობისა და შინაური ფრინველობის მზარდილი კალ- დვითაობა . . . . .	6
1. სეანური ბარბალე ბალსქვემოურ დლეობათა მი- ხედვით . . . . .	7
2. სეანური ბარბალე ბალსზემოურ-ქვემოსეანურ დლეო- ბათა მიხედვით . . . . .	25
3. ბარბალე დანარჩენ ქართველ ტომთა ბარბალო- ბის მიხედვით . . . . .	34
II. ასტროლოური გუნივის კალ-დვითაობა . . . . .	43
1. თვალთახედვისთან და გადაძებ სნეულეებთან დაკავშირებული ბარბალეს ფუნქციები ბალსზემოურ- ქვემოსეანური ბარბალობის მიხედვით . . . . .	43
2. თვალთახედვისთან და გადაძებ სნეულეებთან და- კავშირებული ბარბალეს ფუნქციები დანარჩენი ქართველი ტომების რწმენა-წარმოდგენათა მი- ხედვით . . . . .	49
3. მზია ქალ-დვითაობა ბარბალე . . . . .	54
4. დვითების ემბლემის ნაშთები . . . . .	63
III. მზა-ბარბალეს ბანახლობის დღეობა . . . . .	77
1. ზამთრის ნაბუნიაობის დღეობა . . . . .	77
2. ცეცხლის დღეობები და ცეცხლთან დაკავშირებუ- ლი წესჩვეულებანი . . . . .	80
3. ბარბალეს სახელობის ზამთრის და გაზაფხულის ცეცხლის დღეობები . . . . .	84
IV. ბარბალე და შავიფრისი ქართული კალინდარი . . . . .	90
1. ქართველების უძველესი კალენდარული წლის და- დგეი და მასთან დაკავშირებული დღეობა . . . . .	90
2. პირველი თვე ქართველების უძველეს კალენდარში . . . . .	93
V. მითოლოგიური წარმოდგენები ბარბალეს შისახობა . . . . .	97
1. შხე და გველეშაპი, ქალ-ბაბარის მსახურების ნაშ- თები . . . . .	97
2. ბარბალეკა და ნიშხა . . . . .	103
VI. ქართული ბარბალე და სუმიკური ბაბზარი . . . . .	111
საქიებელი . . . . .	121

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველების უძველესი მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში უშთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვევლინება. უნდა ითქვას, რომ ეს გადმონაშთები ყველაზე მეტად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული. ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობა ჩვენში ძლიერად ფეხმოკიდებული რელიგია იყო.

მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული მოძღვრება, ისევე, როგორც უცხო ზეგავლენით საქართველოში შემოსული სხვა ოფიციალური რელიგიები, მაინცდამაინც პირველ რიგში და უშთავრესად გაბატონებული კლასის იდეოლოგიას დაეუფლა და შესაფერის მატერიალურ ძეგლებში ჰპოვა თავისი გამოსახულება. ქრისტიანობამ წარმოშვა ჩვენში მალალხარისხოვანი მონუმენტალური ძეგლები, იკონოგრაფიის ნიმუშები, კედლის მხატვრობა და მრავალი სხვა ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნივთიერი ობიექტი და ქართული ქრისტიანული მწერლობის მრავალრიცხოვანი ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლი, რომელთა შორის არა ერთი ზოგადმეცნიერული ინტერესის მატარებელია და ზოგიც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა (და საზოგადოდ უცხო მხრიდან შემოსული რელიგიები) ხალხურ სარწმუნოებას შედარებით ნაკლებად შეეხო, იგი უფრო ხალხური სარწმუნოების გარეგნულ, სადემონსტრაციო, ყველასათვის თვალსაჩინო მხარეში აისახა.

ამავე დროს, მხედველობის გარეშე არ უნდა იქნას დატოვებული ის გარემოება, რომ ქრისტიანობა ქართველების კულტურული განვითარების დროის მხოლოდ ერთ მონაკვეთში იყო მოცემული და რომ ქრისტიანულ ხანას წინ უსწრებდა განვითარების გრძელი პერიოდი, რომელიც იდეოლოგიის ხაზით უძველეს მდიდარ სარწმუნოებებს და კულტებს შეიცავდა.

ყოველივე ამით აიხსნება ის სრულიად უდავო ფაქტი, რომ ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სქარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელით, უმრავლეს შემთხვევაში,



უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე-დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წესჩვეულებები სრულდება. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ჩვენი თემის საგანიც — ქართული ღვთაება ბარბაღე ანუ ბარბარე და მის სახელზე განკუთვნილი დღეობები, მათ შორის პირველ რიგში ხალხური დღეობა ბარბაღობა.

ქრისტიანული ბარბარა. (*Bárbara*) ცნობილია, როგორც აღმოსავლური წმინდანი; მისი კულტი პირველად აღმოსავლეთში ჩასახულა და განვითარებულა, საიდანაც იგი დანარჩენ ქვეყნებში გავრცელებულა. სპეციალისტ-მკვლევართა დიდი უმრავლესობა წმ. ბარბარას სამშობლოდ ჰელიოპოლისს მიიჩნევს. მეცნიერთა შორის დავას იწვევს მხოლოდ ის, თუ წმინდანის ცხოვრების რედაქციებში მითითებული ჰელიოპოლისი ძველი აღმოსავლეთის რომელი ქვეყნის კუთხე თუ ქალაქია. ზოგი მკვლევარი ასახელებს ადგილს ეგვიპტეში, ნილოსის არხთან, რომელიც დაბადებაში ონის სახელწოდებით არის ცნობილი (შესაქმ., 41, 45; ხოლო ონი Ἡλιόπολις-ს 'შზის ქალაქს' აღნიშნავს), ზოგი ბარბარას სამშობლოდ მიიჩნევს ძველდაც და ახალ დროშიც ბაალბეკის სახელწოდებით ცნობილ ადგილს სირიაში და სხვანი კიდევ ფრიგიის ჰელიოპოლისს ასახელებენ.

მართლმადიდებელ აღმოსავლეთში ძველიდანვე დამყარებული ყოფილა რწმენა ბარბარას შესახებ, როგორც სხვადასხვა სენისაგან მკურნალ და ავადმყოფების მფარველ და დამცველ წმინდანზე. ამავე დროს წმ. ბარბარას სახელი ზეციურ ცეცხლთანაც ყოფილა დაკავშირებული. ამგვარ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს წმ. ბარბარას ცხოვრების სირიულ, ზოგიერთ ბერძნულ და სხვა უძველეს რედაქციებში მოყვანილი სასწაულთმოქმედებანი.

მსგავს სასწაულთმოქმედებას და, მაშასადამე, რწმენასაც შეიცავს წმ. ბარბარას ცხოვრების უძველესი ქართული რედაქციებიც. ასე მაგალითად, XII—XIII საუკუნის ქართულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ხ ს რ ლ ბ ჯ რ ჯ მიიღო აბანომწ გარდამოვიდა ქ წლი მოხილვად სართულისა. და მიწვევულმწ თ ლ დ სადინელისა. საც ხ რ ბ ლისა ნიშისა სიმტკიცესა ზ ა მარმარილოდსა და სახვითა და მ რ ცხოველისა წყლისა უფსკრ ლ მ რ ვ ლ ბ რ გ რ დამოდინებითა მოსენად კუჭრთხად ა ჩნა მწუჭრ ლნი თითთა თვს თნი. რ ლსა შ ა გ ნ ბ ა ნითა. სნეულნი უკუშ ეხეკიობდეს. კეთრ მცენარენი ნემანობდეს. ხ ეშმაკნი ლ ლდებით გ ნ ვ ი დო დეს. სადა იგი აწინდელისა დღისამ-



დეტა ნიშებს“<sup>1</sup> და სხვ. როგორც ვხედავთ, ქართული რედაქციის აქ მოყვანილი სასწაულთმოქმედების მიხედვითაც წმ. ბარბარა სნეულთა მფარველია. ის შედის აბანოში, მარმარილოს ნიშზე ჯვარს გამოსახავს და იქიდან უხვად წყალი გადმოედინება. ამ წყალში სნეულნი ბანაობენ და ეზეკიასავით იკურნებიან, კეთორჯვანნი ნეემანის მსგავსად იწმინდებიან, ხოლო ეშმაკნი შიშით ადამიანებისაგან განვიდნიანო.

ქართულ რედაქციებში მეორე სახის სასწაულთმოქმედებაც არის მოცემული. X საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, როდესაც დიოსკორიმ ბარბარას თავი მოჰკვეთა, — „მას ჟამსა გარდამოჰდა ცეცხლი საშინელი ზეცით და დაწუა მამაჲ იგი მისი უშჯულოჲ და მოჰდა ქარი ფიცხელი და განაზნია ნაცარი ნაწვერისა მისისაჲ და ყლად უჩინო იქმნა ქყნით ვა მტვერი“<sup>2</sup>. ამგვარად, წმ. ბარბარას სახელთან ქართული რედაქციების მიხედვითაც დაკავშირებულია ზეციური ცეცხლი და ქარიშხალი, რომელიც სჯის და ანადგურებს სათაყვანებელი წმინდანის მტრადქცეულ მშობელ მამას დიოსკორის.

საყურადღებოა, რომ ბარბარას კავშირი ცეცხლთან და სხვადასხვა სახის სნეულებასთან ფართოდაა გავრცელებული ხალხურ სარწმუნოებაშიც.

Heinrich Detzel-ს შეკრებილი აქვს ცნობები წმ. ბარბარას შესახებ რწმენა-წარმოდგენებზე დასავლეთ ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში. ამ ცნობების თანახმად, უკვე ძველი ხნიდან ხალხი ბარბარას პატივსა სცემდა, როგორც ცეცხლისა და ქარიშხლისაგან დამცველსა და მფარველ წმინდანს. ბარბარას სახელზე მოსახლეობა ზარებს სწირავდა. მრავალი ხელოსანი საშუალო საუკუნეებში წმ. ბარბარას მფარველობის ქვეშ მდგარა. ამ წმინდანის მფარველობას განსაკუთრებით ის ხელოვნები მიმართავდნენ, რომლებიც მუშაობის დროს თოფის წამალს საჭიროებდნენ, ან უშუალოდ ტყვია-წამალს ამზადებდნენ. მაგალითად, სადნობის ხელოსნები თავის სამუშაოსთან დაკავშირებულ საფრთხის ასაცილებლად შევლასა და მფარველობას წმ. ბარბარასაგან მოელოდნენ.

არსებული აგრეთვე ჩვეულება, რომლის მიხედვით მძიმე ავადმყოფობის დროს წმ. ბარბარას მიმართავდნენ და ქომაგობას შეს-

<sup>1</sup> საქართველოს მუზეუმის პალეოგრ. განყოფ. A ფონდის ხელნაწერი № 128. ხელნაწერი დათარიღებულია თ. ყორღანის მიერ. იხ. მისი, Описание рукописей Тифл. Церк. Музея, Тифл. 1903, кн. I, № 12, გვ. 135, 136.

<sup>2</sup> საქ. მუზ. პალეოგრ. განყოფ. A ფონდის ხელნაწერი № 95, თარიღის შესახებ იხ. Ф. Жордания, დასახ. ნაშრომი, გვ. 96, 107.

თხოვდნენ. Detzel-ი მიუთითებს XV საუკუნის პირველი ნახევრის საგალობლის წიგნზე „Fatalis o agonis patrona Barbara“, სადაც, სხვათა შორის, წმ. ბარბარას ეს ფუნქცია ყოფილა აღბეჭდილი<sup>1</sup>.

ქართულ ბარბარე|ბარბალეს შესახებ წარმოდგენები, როგორც ციურ ცეცხლთან დაკავშირებულ და სხვადასხვა სნეულებისაგან მკურნალ წმინდანსა თუ ღვთაებაზე, ქართველ ხალხშიც არსებობდა, რაშიც დავრწმუნდებით ქვემოთ სვანური და დანარჩენი ქართველი ტომების წმ. ბარბალეს შესახებ წესჩვეულებათა და რწმენის განხილვის დროს.

ამრიგად გარკვეულია, რომ არა მხოლოდ ოფიციალურ რელიგიაში (წმინდანის ცხოვრების სხვადასხვა ვერსიები და რედაქციები: სირიული, ბერძნული, ქართული და მრავ. სხვა), არამედ ხალხურ სარწმუნოებაშიც, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ხალხების სარწმუნოებაშიც ბარბარას სახელი ცეცხლთან და ცეცხლის გამჩენ საგნებთან (ტყვია-წამალი) ყოფილა დაკავშირებელი და რომ ის ავადმყოფობისაგან მფარველ წმინდანადაა მიჩნეული.

ხალხურ სარწმუნოებაში დაცული და წმინდა ბარბარას ცხოვრებაში ასახული ბარბარას კულტის ძირითადი ელემენტების ამგვარმა შეხვედრამ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოშვა შემდეგი საკითხი: ბარბარას შესახებ ხალხში არსებული რწმენა ოფიციალური რელიგიიდან — ლიტერატურიდან არის გადასული, თუ იგი ხალხური წარმოშობისაა.

ზოგ ავტორს წმინდანის ცხოვრებისა და ხალხური სარწმუნოების პარალელური ელემენტები ვართუდად ხალხურიდან წარმომდინარედ მიაჩნია<sup>2</sup>. მაგრამ მართებულად დასმული საკითხის გეროვნად გადაწყვეტისათვის საჭიროა ხალხური ბარბარას კულტის დეტალური შესწავლა, მისი ბუნებისა და ხასიათის გარკვევა.

<sup>1</sup> Heinrich Detzel, Christliche Ikonographie, Freiburg, 1896, გვ. 181—182.

<sup>2</sup> მაგალითად, Я. Якушев-ი, იხილავს რა თავის მოკვეთის წინ ბარბარას ლოცვას, რომელშიც წმინდანი ევერება ღმერთს მორწმუნეთა ავადმყოფობისაგან განკურნებას, — ასკვნის: «Едва ли возможно предположить, ... что народное верование основывается на словах ланной молитвы» (Я. Якушев, Жизнь св. великомученицы Варвары, Киев 1916, გვ. 120). ავტორი საბოლოოდ ფიქრობს, რომ «ставить в связь с житием св. Варвары все разнообразие верований в нее едва ли возможно». ამ შეუძლებლობას ის შემდეგნაირად ასახულებს: «Зачастую все подлинные народные предания возникают совершенно случайно на основе единичных фактов или самого невероятного толкования о святом» (იქვე).

ამ მხრივ ქართული ხალხური სარწმუნოება უხე მასალას იძლევა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და ნაირსახისაა სათანადო სვანური ეთნოგრაფიული მასალები. ამიტომ ქვემოთ, უწინარეს ყოვლისა, სვანური სარწმუნოებრივი ხასიათის მასალებზე ვჩერდებით და მათ ვიხილავთ. ამგვარად ჩვენ ვცდილობთ პირველ რიგში სვანური მასალისა და შემდგომ დანარჩენი ქართველი ტომების შესაფერისი მონაცემების ანალიზის გზით, შეძლებისდაგვარად, გაეარკვიოთ და დავადგინოთ ბარბალეს კულტის რაობა, რაც წინამდებარე ნაშრომის ძირითად ამოცანას შეადგენს.

## I. მესაქონლეობისა და შინაური ფრინველუბის მზარეული ქალ-ღვთაება

ქართულ ხალხურ ბარბალებს ბუნებასა და ფუნქციებს ყველაზე თვალსაჩინოდ მის სახეობზე განკუთვნილი დღეობები ასახავს. ამასთანავე ამ დღეობათა შესწავლის გზით ბარბალებს მსახურების სახეებიც ირკვევა. ამიტომ ჩვენი თემისათვის ეს დღეობები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად წყაროს, რომლითაც ჩვენ განუწყვეტლივ ვსარგებლობთ.

ბარბალებს სახელობის დღეობებიდან ყველაზე უკეთ და მეტი რაოდენობით შემონახულია სვანური დღეობები, რომლებსაც ორ დიდ ჯგუფად ვანაწილებთ. ერთ ჯგუფს ბალსქვემოური დღეობები (და აგრეთვე სარწმუნოებრივი წესჩვეულებით აღბეჭდილი სხვა დღეები) მიეკუთვნება და მეორეს — ბალსზემოური და ქვემოსვანური. თითოეული ჯგუფის დღეობებში მოცემულია თავისებური რიტუალი და ერთი ჯგუფის დღეობები ასახავს ბარბალებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მეორე ჯგუფში შედარებით მკრთალადაა აღბეჭდილი ან სრულიად წარსოცილია. ამასთანავე ბარბალებს სახელობის ერთ-ერთი დღეობა, ბარბალობა, თუმცა აგრეთვე ბალსქვემოურ და ბალსზემოურ-ქვემოსვანურ ვარიანტებად იყოფა, მაგრამ ყველაკუთხის სვანებისა და დანარჩენი ქართველი მოსახლეობის ბარბალობასთან დაკავშირებულია ქართველებისათვის საერთო, მეცნიერული თვალსაზრისით მეტად საყურადღებო, რწმენა-წარმოდგენები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ ცალკე ვიხილავთ.

ბარბალებს ბარბარეს სვანურად ეწოდება ბალს-ქვემოთ ბარბოლ და ბალს-ზემოთ და ქვემო-სვანეთში ბარბალ. ხალხის ძირითად რწმენა-წარმოდგენებში ბარბალებს უდავოდ ღვთაება იყო, მაგრამ რელიგიური სინკრეტიზმის ზეგავლენით მას ანგელოზსაც უწოდებდნენ. ასე მაგალითად, ბარბალებს მოიხსენიებდნენ ეპითეტებით: ბარბოლ ღერმეთ (|| ბ.-ზ., ქვ.-სვ. ბარბალ ღერმეთ), ბარბოლ ფუსდ და სხვ. და აგრეთვე ეპითეტითაც — ბარბოლ ანგლეზ. დანარჩენ ქართველ ტომებში მას წმინდა ბარბალებს ეძახდნენ.

ღვთაება ბარბალეს სახელობის დღეობებიდან ერთ-ერთი მთავარი დღეობათაგანი ბარბალობა იყო. ამ დღეობას ბალს-ქვემოთ ღვთაებისავე სახელი ბარბოლ ერქვა, ხოლო ბალს-ზემოთ და ქვემო-სვანეთში მას ბარბლაშ (|| ბ.-ზ. ბარბლანშ) ეწოდებოდა.

### 1. სვანური ბარბალე ბალსქვემოურ დღეობათა მიხედვით

ბარბალობის შესახებ მასალების ადგილობრივ შევროვება-გამოკვლევის დროს ლახამულელები, ცხუმარლეზი, ბეჩოელები და სხვ. ერთხმად აღიარებდნენ, რომ ეს დღეობა საზოგადოდ მსხვილფეხა საქონლის და განსაკუთრებით ძროხისა და მისი წველის გამრავლებისათვის იყო დაწესებულიო. მართლაც, თუ ჩვენ ბალსქვემოურ ბარბალობას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ იგი მთელი თავისი რიტუალით და მასში ასახული რწმენა-წარმოდგენებით მსხვილფეხა საქონლის გეურნეობასთანაა დაკავშირებული და მსხვილფეხა საქონლის კულტს შეიცავს.

ამ დღეობაზე მთავარ მომქმედ პირებად, რიტუალის უშუალო შემსრულებლებად გამოდიოდნენ სახლის უფროსების (ქორანაბაბი-სა და ხოშაზურალ-ის, ან დიხსალ-ის) გარდა, საქონლის მესვეურნი—მათი მკვებავი კაცი, ე. წ. მგნნი, ძროხების მწველელი ქალი, ე. წ. მგშგალი და ზოგჯერ მწყემსი, ე. წ. ანდატი-ი. ამ პირებისათვის ცხვებოდა სვანებო კვერები, რომლებიც დანარჩენ სადღეობო კვერებისაგან თავისი ზომითა და სახელწოდებით განირჩეოდა — თითოეული მათგანი შედარებით მოზრდილი იყო და ერთს მგნნიშშლემზირ, მეორეს მგშგალიშშლემზირ და მესამეს ანდატიშშლემზირ ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ ქრისტიანული კალენდრით დაწესებული მარხვისა, ამ დღის შესაწირავები ბალს-ქვემოთ სახსნილო, ყველისგულიანი კვერები და რძის ფაფა (ლგჯემიგაგ) იყო. ეს შესაწირავები თავისებურ ტაბუს (ბ.-ქვ. უწონანშ) წარმოადგენდა, — მათი ხილვა და მით უფრო მათი შეჭმა ოჯახის გარეშე პირებს ეკრძალებოდათ.

დღეობა ბარბოლ-ის რიტუალის შესრულება ხდებოდა სახლში მზის მხარეს, ან აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან, ან საქონლის სადგომის მახლობლად (ლეკენდი-ს წინ) და ან ზოგჯერ კერის უკან, ე. წ. ლაშდარ-თან — დარბაზიდან საქონლის საკვების ჩამოსაყრელ ადგილზე საზამთრო სადგომში (სგირ-ში). სადღეობო რიტუალს ასრულებდნენ: სახლის უფროსები აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან, მგნნი ხარების ბაგას წინ და



მ გ შ გ ა ლ ი ძროხების ბაგას წინ. შენაწირს იქვე შეექცეოდნენ ხმა-  
ამოუღებლივ და გაუნძრევლად<sup>1</sup>.

შესაწირავების მიძღვნის აზრსა და ლოცვა-ვედრების შინა-  
არსს მსხვილფეხა საქონლის გამრავლების, მათი საკვების მატების,  
წველის ბარაქისა და საქონლის მომვლელ-მეპატრონეთა შესახებ კე-  
თილდღეობის გამოთხოვა შეადგენდა<sup>2</sup>.

მოყვანილი ფაქტები, სახელდობრ: ა. ხალხის შეხედულება ბარ-  
ბალობის მიზანდასახულობაზე, ბ. ძროხის მწველელთა და საქონ-  
ლის მკვებათა მნიშვნელოვანი როლი დღეობის რიტუალის შესრუ-  
ლებაში, გ. ამ რიტუალის შესრულება ლ ა შ დ ა რ-თან ძროხებრისა და  
ხარების მახლობლად და დ. ლოცვა-ვედრების შინაარსი, — მოწ-  
მობს, რომ ბალსქვემოური ბარბალობა მსხვილფეხა საქონლის მე-  
ურნეობის კეთილდღეობისათვის იყო განკუთვნილი.

იმის პასუხს, თუ ვისგან გამოელოდნენ სვანები ამ კეთილდღე-  
ობას, ვინ მიაჩნდათ მათ მსხვილფეხა საქონლისა და მისი მეურნეო-  
ბის უზენაეს მფარველად, უწინარეს ყოვლისა, აღწერილი დღეობის  
სახელწოდება იძლევა. ბალს-ქვემოთ ეს დღეობა უშუალოდ ბარბა-  
ლეს სახელს ატარებდა, ღვთაებასაც და დღეობასაც, როგორც ზე-  
მოთ აღვნიშნეთ, ერთიდაიგივე სახელი ბ ა რ ბ ო ლ ერქვა. ამას გარ-  
და, დღეობის რიტუალი ბარბალეს სახელზე სრულდებოდა. სადღეო-  
ბო შესაწირავები — ლ გ ჯ ე მ ი გ ა გ, მ გ ნ ი ა შ შ ლ ე მ ზ ი რ, მ გ შ-  
გ ა ლ ი ა შ ლ ე მ ზ ი რ და სხვა, ყველა ამ ღვთაებას მიეძღვნებოდა.  
ბარბალესადმი იყო დღეობის ლოცვა-ვედრებაც მიმართული. ამის  
საილუსტრაციოდ მოგვყავს ბალსქვემოური ბარბალობის ლოცვის  
ტექსტების ნიმუშები:

#### ძროხის მწველელი ქალის ლოცვა

### I

„ბარბოლ ფუსდ მწლდიან, ლეშგი ჩჷწნფიშირ, მწდილ ჯერი“

<sup>1</sup> Carl Meinhof-ის აზრით, თმობა, სხურება, საგანგებო სასმელები, მსხვერპლი და მსხვერპლის შეჭმა მისტიციებს მიეკუთვნება. ეს მისტიციებიო, — აღნიშნავს შემდგომ Meinhof-ი, მსხვილფეხა საქონლის გაშენებასთან არის და-  
კავშირებული და ამიტომ ამ კულტს ბოლოსდაბოლოს ფესვები გადმული ჰქონ-  
და წინააზიაში, იმ კულტურულ არეში, სადაც მსხვილფეხა საქონლის გაშენება  
წარმოიშვაო, — იხ. Carl Meinhof, Die Religionen der Africaner in ihrem Zu-  
sammenhang mit dem Wirtschaftsleben, Oslo 1926, გვ. 82-83.

<sup>2</sup> დაწვრილებით დღეობის აღწერილობა იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ  
ხალხურ დღეობათა კალენდარი I. ახალწლის ციკლი, თბ. 1939, გვ. 1-9. შენდევში  
ამ ნაშრომს ვასახელებთ ავტორის დაუსახელებლად და შემოკლებული სათაურით.

— ბარბალე ბატონო, მადლიანო, მეწველი [საქონელი] გაგვიმრავლე, მადლი გექნება<sup>1</sup>.

II

„ო-ო მწლიან ბარბოლ ანგლეზ, ძღერნ ი ლგჯან ათფიშირ ნიშგე ლწგაშ ფურარ; ფატიშიშ ნაბლსერ ი კირიშ ნაფიცხტსერ ქა ნომა ადბგრე, ქა ბერა ისგა ქემაღ ათსიპ“.

— ო-ო მადლიანო ბარბალე ანგელოზო, ცხიმიან-რძიანად ვა-ამრავლე ჩვენი ოჯახის ძროხები; ბალნის ბეწვისა და ჩლიქის ნამცეცის გარდა არაფერი დააკლო, დანაკლისი მომატებად შესცვალე<sup>2</sup>.

III

„ბარბოლ ფუსდ, ისგუ ძღუენ ი ბედ აშგარ უყომ ნწყრ ი მასარდ ლანო; მეშგ-მეულტუ ანფიშირ, ეჩა მგვმარი მარე ანფიშირ, სი ჯემზგრენეს ბარბოლ ლამხურ ლუჯტარ ნწყრ, ფიშირ ბარბოლ ხოჩა გუყი, მწლიან ბარბოლ, ხიკუდინ ნიშგე ნამხურ“.

— ბარბალე ბატონო, შენი ძღვენი და ბედი მუდამ უშლელად გვიქენი და მრავლად მოგვეცი; მეწველი და საულლე [საქონელი] გაგვიმრავლე, მისი გამომყენებელი ადამიანი გაგვიმრავლე, შენ გვედრებით, ბარბალე, ლოცვა დაჯვარული გვიყავ, მრავალი ბარბალობა კარგ გულზე [გაგვითენე], მადლიანო ბარბალე, ინებე ჩვენი წაწირ-ნალოცი<sup>3</sup>.

საქონლის მკვებავის ლოცვა

I

„ბარბოლ ფუსდ. მწლიან, ლენნი მასარდ ლანო, მიშგუი ნანენტუ ლასგრგებდ ხწყრ, მწლიან, ბარბოლ“.

— ბარბალე ბატონო, მადლიანო, [საქონლის] საკვები მრავლად მოგვეცი, ჩემგან მიცემული საკვები [საქონელს] სასარგებლოდ უყავ, მადლიანო ბარბალე<sup>4</sup>.

II

„დიდბუ აჯგედა, მადლოუ აჯგედა ბარბოლს! ბარბოლ, ათფიშირ ვან ი ფურ ნიშგე ლაზგაღისგა, ეჩა მეტემ მარე ჩტანგამაშ“.

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალ. I, გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 2.



— დიდებამც მოგსვლოდეს, მადლიმც მოგსვლოდეს ბარბაღეს! ბარბაღევე, გაამრავლე ხარი და ძროხა ჩვენს ოჯახში, მათი გამყარული ადამიანი გაგვაძლიერე<sup>1</sup>.

სახლის უფროსის ლოცვა.

„ა-ა, დიდებუ აჯედა, მალდოუ აჯედა ბარბოლ უნგლესს! ბარბოლ უნგლეს, დიდებუ აჯედა! ნიშეე ჟეთხმალ ჩუნთფიშირ ი ზეთი ლეცჳმი ახფუნ ნიშეე ქორისგა“.

— ა-ა, დიდებამც მოგსვლოდეს, მადლიმც მოგსვლოდეს ბარბაღე ანგელოზს! ბარბაღე ანგელოზო, დიდებამც მოგსვლოდეს! ჩვენი საქონელი გაამრავლე და ზეთი და ერბო აღუდე ჩვენ სახლში<sup>2</sup>.

ამგვარად, სვანები შესთხოვენ ღვთაებას ძროხისა და ხარის, ანუ მეწველი და საუღლე საქონლის გამრავლებას, აგრეთვე გამრავლებას მათი მომვლელი ადამიანებისა და საკვებისას, ამ საკვების სარგებლიანობას მსხვილფეხა საქონლისათვის (ჭეთხმალ-ისათვის), ძროხის წველის ცხიმოვანობა-ბარაქიანობას და მისთან. ლოცვის ამგვარი შინაარსი ზედმიწევნით ააშკარავებს ბარბაღეს ფუნქციებს. მათი მიხედვით ბარბოლ-ი მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაებაა, რომელსაც შეუძლია ძროხისა და ხარის გამრავლება, წველის ბარაქის მატება და, საზოგადოდ, მსხვილფეხა საქონლის მეურნეობასთან დაკავშირებული ყოველგვარი სიკეთის მინიჭება. ამიტომ მიმართავენ მას შესაფერისი ლოცვა-ვედრებითა და ცხიმოვან შესაწირავებს უძღვნიდნენ.

სვანურ ხალხურ ღვთაებათა კალენდარში მოიპოვება ბარბაღობის გარდა მთავალი სხვა ღვთაება, რომელთა რიტუალი ბალსქვემოთ, ბარბაღობის რიტუალის მსგავსად, ბარბაღეს (როგორც მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაების) სახელზე სრულდებოდა. ამ ღვთაებათაგან ჩვენ ამჟამად, შევეხებით მხოლოდ ნაწილს, ვინაიდან ღვთაებათა ეს ციკლი მთლიანად სპეციალური თემის, — სვანებში მესაქონლეობის კულტის შესწავლის წყაროს წარმოადგენს და ამდენად საგანგებო დამუშავებას საჭიროებს.

ყველიერის წინა პარასკევს ბალს-ქვემოთ ლიფკჳნი ეწოდებოდა. ამ დღეს უქმობდნენ და ასრულდნენ გარკვეული სახის რიტუალს, რომელიც, მოსახლეობის რწმენით, მეწველი საქონლის,

<sup>1</sup> სვან. ხალხ. ღვთაებათა კალ. I, გვ. 7.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 3.

საგანგებოდ ძროხის და თხის გაშრობის საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი. მაგრამ ლიფკუჭარი-ს შინაარსი გვიჩვენებს, რომ ამ დღის მნიშვნელობა უფრო ფართო ყოფილა, სახელდობრ, ლიფკუჭარი-ს წესჩვეულებათა დანიშნულებას საზოგადოდ შინაური საქონლის ყოველგვარი მარცხისაგან დაცვა შეადგენდა<sup>1</sup>.

ლიფკუჭარი დღეს დილიდან საღამომდე ოჯახის ერთ-ერთი წევრი მიწაზე ფეხს არ დაადგამდა, ლოგინში იწვა და მგტმე იყო, ე. ი. არც სჭამდა რაიმეს და არც სვამდა. საღამოს დიასახლისი გამოაცხობდა ხაჭაპურს ან ხორცისგულიან კვერს (კუბად-ს) და სახლის აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან შესწირავდა. შემდეგ შენაწირს მგტმე-ს შეაჭმევდა და ამით პირს აუხსნიდა. როდესაც ოჯახი დასცდიდა, რომ წინა წლებში მისი ერთი რომელიმე წევრის მგტმე-ობა საქონლისათვის სასარგებლო იყო, მომდევნო წელსაც მგტმე-დ ამ პირს აყენებდნენ. ცხიმიანი კვერის შეწირვა სრულდებოდა ბარბოლ-ის სახელზე, რომელსაც ძროხების სისალესა და გამრავლებას და წველის ბარაქის გადიდებას შესთხოვდნენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სიტყვა ლიფკუჭარი მიჩნეულია მრავალგზ. ფორმად ზმნისა ლიფკუჭე 'გაშრობა', 'დაშრობა' და საგანგებოდ მეწველი საქონლის გაშრობის აღსანიშნავად იხმარება. იტყვიან: ბ-ქვ. „ფურალ ადფიკუჩანხ“ || ლშხ. „ფურალ ედფიკუჩანხ“ — ძროხები გაშრენ, აფკუე — აშრობს საქონელს (მაგ., მავალის ქამა) და სხვა. ენიმკი-ს მეცნ. თანამშრ. ალი დავითიანი სცნობით, ლახამულაში ლიფკუჭარი-ს ნაცვლად, მაგრამ ამავე მნიშვნელობით, ამბობენ ლიფკუჭალი, ხოლო ლიფკუჭარი ლახამულაში აღმნიშვნელი ყოფილა „ვაცობიასი“, ვაცების გამრავლებისა; იტყვიანო, აღნიშნავს ა. დავითიანი, ამდგამ კაცს ლიფკუჭარი უყვარს, ე. ი. ვაცების გამრავლება, ვაცების გაშენების ხელობად ქცევა უყვარსო; მაგრამ როცა ამბობენ ფიკუთობანუ ფიკუთარობ არისო, ეს ნიშნავს: ისეთი წელიწადია, როცა ვაცები მრავლდებიანო. ამასთანავე დავითიანს აგონდება ტერმინი მწფკუა — მაშრობელა, მეწველი საქონლის გამშრობი რაღაც პირი, რომელიც უფრო თხებს ეტანება და მათ წველას უშრობს. ხალხი ხშირად თხების ღმერთის საღ-მაცხუარ-ის სახელზე ლოცვა-შეწირულებას მართავდა ხოლმე და მაშინ საღ-მაცხუარ-ს ევედრებოდნენ — ჩვენ თხებს მწფკუა აშორეო. სხვა დროსაც, სხვა ღმერთებისადმი შესაწირავების მიძღვნისას მლოცველები ლოცვაში გაურევდნენ ვედრებას — ჩვენ მეწველ საქონელს მწფკუა არ შეჰყაროვო. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ სვანური სიტყვების ფიკუ, უშგ. ლიფკუჭარი მნიშვნელობა, როგორც მამალი საქონლისა (ფიკუ — მამალი თხა, დაკოდელი თხა, ლიფკუჭარი — დასყვერი თხა), მერმინდელი უნდა იყოს და წინათ მათ უსქესო მნიშვნელობა ჰქონდაო, — იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. 1937, გვ. 187, 196.

<sup>2</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრაფ. განყ. არქივში. ამის შემდგომ ეს ხელნაწერი ავტორის დაუხახლებლად და შემოკლებული სათაურითაა მოყვანილი.

ლიფკუჭარი-ს ცხუმარული ვარიანტით შესაწირავი კვერის მიტანისა და ლოცვა-ვედრების შესრულების დროს, ბარბოლ-ის ნაცვლად ქუინღემგენე მგწსეღერმეთ-ს 'სულდგმულის გამჩენ ღმერთს' ან ჭეთხმწლიშ ლალშემ-ს ახსენებდნენ<sup>1</sup>. ბარბალობაზეც ზოგ ოჯახებში მსხვილფეხა საქონლის მფარველ ღვთაება ბარბოლ-ს მოიხსენიებდნენ ეპითეტით ჭეთხმწლიშ ლამზგრღერმეთ<sup>2</sup>. ჭეთხმწლი, რომელიც ქართული ოთხმავლის, ოთხფეხი საქონლის შესატყვისია, სევანურში მსხვილფეხა საქონელს, უძთავრესად ხარსა და ძროხას აღნიშნავს<sup>3</sup>. მაშასადამე, ჭეთხმწლიშ ლალშემ 'მსხვილფეხა საქონლის (ხარისა და ძროხის) დასაძახებელსა', ხოლო ჭეთხმწლიშ ლამზგრღერმეთ 'მსხვილფეხა საქონლის სალოცავ ღმერთს' აღნიშნავს. ასეთ ღვთაებად ბალსქვემოთ ბარბოლ-ი ითვლებოდა. ამიტომ აღნიშნული სიტყვებით უთუოდ ღვთაება ბარბოლ-ს მიმართავდნენ მით უფრო, რომ ლიფკუჭარი-სა და ბარბალობის რიტუალი, რომლის დროსაც ეს ეპითეტები იხმარებოდა, განკუთვნილი იყო ბარბაღეს სახელზე.

ცხუმარულ ლიფკუჭარ-ში მოცემულია შემდეგი დამატებითი დეტალი: მთელი დღის განმავლობაში მგტმე-ს არ უნდა გაეტეხა რაიმე, უბრალო ჯოხიც კი, არც ფეხი დაესველებინა და, საზოგადოდ, წყნარად და მშვიდად უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი სადმე გადაგვეჩხება, ფეხს მოიტეხს ან სხვაგვარად დაზიანდებო, — ფიქრობდნენ სვანები. ნარტოხელა ოჯახში, სადაც არ გააჩნდათ ცალკე რიტუალური კვერის გამოძცხობ-შემწირველი და ცალკე მგტმე-დ დასაყენებელი პირი, სკამს დაბორკავდნენ და მგტმე-ც ის აქნებოდა<sup>4</sup>.

რიტუალის ეს დეტალი, რომლის მიხედვით ოჯახის ერთ-ერთი წევრი რიგ აღკვეთებს იცავდა იმისათვის, რომ საქონელშიც მსგავსი მოქმედება გამოეწვია, ე. ი. რომ საქონელიც წყნარად და მშვიდად ყოფილიყო, არსად არ გადაჩეხილიყო, ფეხი არ მოეტეხა ან სხვაგვარად არ დაზიანებულყო, წყალს მორიდებოდა და არ დამხჩვალყო და სხვა, — წარმოადგენს მიმბაძველობითი მაგიძს გადმონაშთს. ამგვარად, ლიფკუჭარი შეიცავს, ერთი მხრივ, მა-

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. (ხელნაწერი), ლიფკუჭარი ცხუმარში.

<sup>2</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 1,4.

<sup>3</sup> შდრ. Н. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, *Материалы по флористическому языкознанию* X, Петр. 1922, გვ. 16-17, სიტყვასთან: ვერდხმალ.

<sup>4</sup> დასახელ. ხელნაწერი, ლიფკუჭარი ცხუმარში.

გიურ მოქმედებებს და, მეორე მხრივ, რელიგიურ წესჩვეულებებს ლოცვა-ვედრებისა და შესაწირავების მიძღვნის სახით.

ყველიერის ხუთშაბათს ბალს-ქვემოთ დჰდჷწრე ცჷშ 'ღედ-ლების ხუთშაბათი' ერქვა. ამ დღეს მანდილოსნები ე. წ. დულ-ს მართავდნენ. დულ-ი ცნობილი იყო როგორც საქალებო რიტუალი, რომლის შესრულებას კაცები ვერ დაესწრებოდნენ. სახლიდან კაცების გასტუმრების შემდგომ მანდილოსნები ფეტვის ან სიმინდის ფქვილის ფაფას (ყურტმა-ს ან შუბან-ს) მოხარშავდნენ, ფაფიან ქვაბს სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მიწაზე მოათავსებდნენ, სახლის უფროსი მანდილოსანი ქვაბს წაღმა (მარჯვნივ) დაატრიალებდა და ილოცავდა ბარბოლ-ის სახელზე, რომელსაც წველის ბარაქას, მეწველი საქონლის გამრავლებას, ქალების ჯანმრთელობასა და მათს ყოველ საქმეში გამარჯვებას შეევედრებოდა. შეწირული ფაფა დულ-ის მონაწილეთა გარდა სხვას არავის ეჭმეოდა<sup>1</sup>. ამავე დროს სახლიდან გასული მამაკაცები ცალკე ასრულებდნენ ამ დღის წესებს: გამოაცხობდნენ ხაჭაპურებს, რომლებსაც უფროსი კაცის საშუალებით ჯგჯრგ-ს შესწირავდნენ და შეევედრებოდნენ მას — მამაკაცებს ძალა მოგვეცი და გაგვამრავლეო. ყველიერის ხუთშაბათის შესაწირავი კვერები უწონშ-ში იყო როგორც ოჯახის გარეშე პირთათვის, ისე ოჯახის შიგნით ქალების შესაწირავი კაცებისათვის და კაცებისა ქალთათვის<sup>2</sup>.

ახალკვირას, უფლი ღედედ-ს ლასკპრ-ის<sup>3</sup> მამაკაცები ეკლესიაში მიდიოდნენ სალოცავად, ხოლო ქალები ამ დროს მეფეალ იშ-ის<sup>4</sup> ოჯახში შეგროვდებოდნენ და აკეთებდნენ ე. წ. ლიქლგბე-ებს, სულზე თითოს. დამზადებულ ლიქლგბე-ს ვარცლში (ჯწრ-ში) მოათავსებდნენ და უფროსი მანდილოსანი ამ ვარცლს მერხის თავზე (ბანდრი ყტიშბ-ზე) დაატრიალებდა შემდეგი სიტყვებით: „მგერი მამედ ბარბოლ, მეშვი მარე მგ ანფიშირ, ისგუნალ-ჟგრ უხუდი ი უტკლახ ლანო, მანდილ ჯერი, მანდიან“.

— წყალობის მომცემო ბარბალე, მეწველი საქონელი და ადამიანი ყველა გაგვამრავლე, შენი ნაწყალობები უხვად და დაუზოგავად მოგვეცი, მადლი გექნება, მადლიანო.

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, დჰდჷწრე ცჷშ ფარში.

<sup>2</sup> იქვე, დედჷწრე ცჷშ ეცერში.

<sup>3</sup> ლასკპრ-ი ეწოდებოდა მოსახლეობის სადღეობო დაჯგუფებას, რომელიც ერთი ან რამდენიმე გვარის მესობლად მოსახლე ოჯახებისაგან შედგებოდა.

<sup>4</sup> ასე ეწოდებოდა ლასკპრ-ის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც რიგით ხვდებოდა დღეობის განმავლობაში ლასკპრ-ის გამასპინძლება თავის ოჯახში.



ამ ლოცვის შემდგომ ლიქლებე-ებს ჩამოირიგებდნენ და შეექცეოდნენ (ლიქლებე და ყუაბი ფეტვისა და ახალი ყველისაგან გადაზელილსა და ბურთივით დაგუნდავებულ ცომს ეწოდება. ამ გუნდების მოხარშვა, ან გამოცხობა მიღებული არ იყო. ლიქლებე და ყუაბი ერთურთისაგან მხოლოდ ყველის რაოდენობით განსხვავდება. ლიქლებე-ს მეტ ყველს ურთავენ ვიდრე ფქვილს, ხოლო ყუაბი, პირიქით, ცოტა ყველისა და ბევრი ფქვილისაგან იზილება)<sup>1</sup>.

ახალკვირიდან დაწყებული ერთმანეთს მისდევდა დღეობათა მწკრივი, რომლებიც მსხვილფეხა საქონლის გამრავლების და წველის ბარაქისათვის იყო განკუთვნილი და რომელთა შესაწირავეები და ლოცვა-ვედრება ღვთაება ბარბაღ-ის სახელზე სრულდებოდა.

ლახამულას აღმოსავლეთიდან აკრავს მთა, რომლის ფერდობზე ნაძვებით შეფენილ ადგილზე დღემდე დაცულია ყორის ნანგრევი. მის ირგვლივ მიმოზნეული ნახშირით, ნაცრითა და ნამწვარი ხის ნაშთებით. ეს ადგილი ქალების სალოცავად იყო მიჩნეული და თოდრ ეწოდებოდა. ახალკვირიდან სულიწმინდის მოფენის დღემდე შაბათობით თოდრ-ში მიდიოდნენ ლახამულას ქალები, — ერთ შაბათს ერთი საგვარეულოს ნათესაური ჯგუფის (სამხუბ-ის) ოჯახებიდან ერთად, მეორე შაბათს მეორე სამხუბ-ისა და ასე შემდ. ყოველ ქალს თავის ოჯახიდან მიჰქონდა: სახედაშე არაყი, სანთელი, პურის ცომი და ყველი. ცომსა და ყველს სალოცავში ერთად დააგროვებდნენ და მათგან საჭაპურებს გამოაცხობდნენ და ყველს მოხარშავდნენ (ლეცუშმარ). ამ კვერებს, ლეცუშმარ-ს, სახედაშე არაყსა და სანთელს ბარბაღ თოდრ-ის შესწირავენ და თან ევედრებოდნენ მას მეწველი საქონლის გამრავლებას და წველის ბარაქას. შემდგომ იქვე სუფრას გაშლიდნენ და ნალოც სასმელ-საჭმელს შეექცეოდნენ<sup>2</sup>.

სულიწმინდის მოფენის მომდევნო ორშაბათიდან შაბათამდე სვანებს აღკვეთილი ჰქონდათ რძისა და მისი პროდუქტების სმა-ჭამა. ეს აღკვეთა ძროხების სახელზე და წველის ბარაქისათვის იყო განკუთვნილი და ამიტომ მთელ იმ შვიდეულს ფურრე უიკმ 'ფურების მარხვა' ერქვა. ამ მარხვის დამწესებლად ხალხს ღვთაება ბარბაღი მიაჩნდა.

ფურრე უიკმ-ის უკანასკნელ დღეს, შაბათს, ჰგლშჷ სამტინ-ს, მარხვაში დაგროვილი ყველის მარაგიდან დიასახლისი ხა-

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, უფლი ლსდელ ცხუმარში.

<sup>2</sup> იქვე, თოდრიშ ლიმხერ ლახამულაში.

ჭაპურებს გამოაცხობდა და მათ სახლის აღმოსავლეთ კედლის მარჯენა სარკმელთან შესწირავდნენ შემდეგი ლოცვის წარმოთქმით:

„ო-ო, დიდებუ აჯედა, მწლოუ აჯედა უეთხმალიშ ლამ-ზურ ღერმეთ დიდაბ! მიშგუა ლასგალისგა ფურ ი კან ათფიშირ, მა-დილ ჯერი, მწლიან“.

— ო-ო, დიდებამც მოგსვლოდეს, მადლიმც მოგსვლოდეს, ოთხ-ფეხის [მსხვილფეხა საქონლის] ღმერთს დიდება! ჩემ სახლში ფუ-რი და ხარი გაამრავლე, მადლი გექნება, მადლიანო.

ამის შემდეგ შენაწირ კვერებს ჩამოირიგებდნენ და შეექცეოდ-ნენ. ამგვარ კვერებს საღამოსაც გამოაცხობდნენ და მათ ვახშმის წინ, სხვა ს.სმელ-საქმელთან ერთად, მიცვალებულთა სულებს უკუთ-ხებდნენ (ლი ფ ა ნ ე-ს გადაიხდიდნენ)<sup>1</sup>.

ამ დღეს ეცერში მამაკაცები წიფელის ხისაგან სახნეღის (ღ-ენ-წ-ტი-შ-ის) ქუსლსა და ნიჩბებს დათლიდნენ, ხოლო ქალები ტყიდან მოიტანდნენ რძის საკვეთის მი.სარევ ეკალს (სა რ ხ ე ლ-ს) და შემ-დეგ სალოცავ სა ბ ი შ-ში (ნაეკლესიარი ადგილია ეცერში) ლ ი დ-ბ შ-ს გადაიხდიდნენ, — წაიღებდნენ სალოცავში ფქვილსა და ყველს, იქ ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ და ბ ა რ ბ ო ლ-სა და ჰ გ ლ შ ა ლ ა მ-ზ გ რ-ს (ჰ გ ლ ი შ-ის სალოცავს) შესწირავდნენ მეწველი საქონლის გამრავლებისა და წველის ბარაქისათვის ლოცვა-ვედრებით<sup>2</sup>.

ჰ გ ლ შ ა ს ა მ ტ ი ნ-ის მეორე დღეს, კვირას, დღეობა ჰ გ ლ ი შ ი მოდიოდა. ამ დღესაც 'ფურების მარხვაში' დაგროვილი ყველისა-გან ქალები კვლავ ლ ი დ ბ შ-ს აწყობდნენ ბ ა რ ბ ო ლ-ის სახელო-ბის ეკლესიის ლ ა დ ბ შ-ში<sup>3</sup>. გამოაცხობდნენ ყველიან კვერებს, შესწირავდნენ ბ ა რ ბ ო ლ-ს წველის ბარაქისა და მსხვილფეხა საქონ-ლის გამრავლებისათვის ლოცვა-ვედრებით და შენალოცს იქვე შე-ექცეოდნენ.

ამგვარი ყველისგულიანების გამოცხობა და მათი ბ ა რ ბ ო ლ-ის სახელზე შეწირვა ამ დღეს სახლებშიც სრულდებოდა<sup>4</sup>.

ჰ გ ლ ი შ-ის მომდევნო ორშაბათიც წველის ბარაქისათვის იყო განკუთვნილი და მას თ ო თ ო ბ ეწოდებოდა. ამ დღეს, როცა კი ქა-

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, ჰ გ ლ შ ა ს ა მ ტ ი ნ ლახამულაში.

<sup>2</sup> იქვე, ჰ გ ლ შ ა ს ა მ ტ ი ნ ეცერში.

<sup>3</sup> ლ ა დ ბ შ ი ეწოდება ეკლესიის მინაშენს ან ეკლესიის მახლობლად აშე-ნებულ ქვის ან ხის ნაგებობას, რომელიც საკულტო შენობათა კომპლექსში შე-დის. ლ ა დ ბ შ-ში გარკვეულ დღეობებსა და უქმე დღეებში სვანები შესაწირავ კვერებს აცხობდნენ, სამსხვერპლო საკლავის ხორცს ხარშავდნენ და მათ იქვე ან ეკლესიის კარის წინ სწირავდნენ.

<sup>4</sup> დასახელ. ხელნაწერი, ჰ გ ლ ი შ ეცერში.

ლები დროს იხელთებდნენ (სულ ერთი იყო დილით თუ საღამოს), დულ-ს გადაიხდიდნენ: მამაკაცებისაგან დაფარულად აშვე დღეს-ამოღებული ყველისაგან ხაჭაპურებს დააცხობდნენ და მოხარშავდნენ ყველიან ფაფას (შუბან-ს) და მათ ბარბოლ-ს შესწირავდნენ ყველის ბარაქისა და ძროხების გამრავლებისათვის ლოცვა-ვედრებით<sup>1</sup>.

ფარსა და ჩუბეხევი კი ამ დღეს რამდენიმე მოსახლის ქალი იკრიბებოდა ერთად რომელიმე მანდილოსნის ოჯახში. თითოეულ მათგანს შინიდან თავისი საყოფი ფქვილი და ყველი მიჰქონდა. ყველსა და ფქვილს შეაერთებდნენ, ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ, ლეცტმპრ-ს ანუ თსშგჯაბ-ს (მოხარშულ ყველს) გააკეთებდნენ და ბარბოლ-ს შესწირავდნენ უფროსი მანდილოსნის საშუალებით, რომელიც ამ დროს ასე ილოცავდა:

„დიდებ აჯკად ბარბოლ სნგლეს, შეშგ-მეულ ათფიშირ, ზნიშ თოთობ ხოჩა გუჟი ნაყრ ქჷანლგმკენს ი მარა, ჩი“.

— დიდება შენდა ბარბაღე ანგელოზო, მეწველი და საუღლე საქონელი გამრავლე, ამ წლის თოთობ-ი კარგ გულზე გვიყავი საქონელსა და ადამიანს, ყველას.

შენაწირს იქვე შეექცეოდნენ და დაიშლებოდნენ. ამ დღის შესაწირავი, ისევე როგორც საზოგადოდ ორშაბათ დღეებში ამოყვანილი ყველი, მამაკაცთათვის უწონს შ-ი იყო<sup>2</sup>.

თოთობ დღიდან იწყებოდა ე. წ. ლიჩტდუშ-ი და ლითხან-ი. ლიჩტდუშ-ი ერქვა ექვსი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათს, ხოლო ლითხან-ი ამავე დროის საჰს სამშაბათს. ამ დღეებში ხარებს უღელში არ შეაბამდნენ, ვინაიდან მათი მუშაობა ამ დროს აღკვეთილი იყო. ამ აღკვეთის გარდა ლიჩტდუშ-სა და ლითხან-ში ორშაბათობით ამოყვანილი ყველისაგან დულპრ-ი იმართებოდა: მამაკაცებისაგან დაფარულად მანდილოსნები ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ, ლეცტმპრ-ს მოხარშავდნენ, მათ ბარბოლ-ის სახელზე შესწირავდნენ ხარისა და ძროხისათვის ლოცვა-ვედრებით და შენაწირს შეექცეოდნენ.<sup>3</sup>

თიბვის დაწყების წინ და მწყელების (ან დატეების) შეკრებისა და ლოცვა-შეწირულების (ლიმზურ-ის) წესის ჩატარების შექდგომ შაბათ დღეს მგშგპლიშ ლიმზურ-ი იმართებოდა. ყოველ

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, თოთობ ცხუმარში.

<sup>2</sup> იქვე, თოთობ ფარსა და ჩუბეხევიში.

<sup>3</sup> იქვე, ლიჩტდუშ-ლითხან-ში ჩუბეხევისა და ფარში.



მოსახლიდან ძროხის მწველელი ქალი (მგ შ გ ა ლ ი) მიდიოდა სოფლის ეკლესიის ლაღბანში და თან ერთი ჯამი ფქვილი და „წველა“ ყველი მიჰქონდა. იქ სოფლის მგ შ გ ა ლ ი-ების ყველსა და ფქვილს გააერთიანებდნენ, მისულთა სულზე თითო ყველიან კვერს გამოაცხობდნენ და შეაწირვინებდნენ ბარბოლ-ის სახელზე უფროს მანდილოსანს, რომელიც ამ დროს ასე ილოცავდა:

„ბარბოლ ანგლეზ, მწლდინ, ლეშგალი ი მგ შ გ ა ლ ი მაგოუ ლიმზგრე ლი, ზანიშ ხოჩა გუეი ნაყრ“.

—ბარბალე ანგელოზო, მადლიანო, ყველა მეწველი საქონლისა და მწველელი ქალის სალოცავი [დღე] არის, ამ წელს კარგ გულზე გვამყოფე.

ლოცვის შემდეგ შენაწირს დაინაწილებდნენ და იქვე შეექცეოდნენ<sup>1</sup>.

თითქმის ყველა უქმე-ღვთაებას და ყოველ ორშაბათს ახალ მთვარეზე ქალები დულ-ს მართავდნენ. გამოაცხობდნენ ყველის-გულიან კვერებს, მოხარშავდნენ შუბან-ს, ან დაამზადებდნენ ლიქლგბე-ს თუ ყუბ-ს ორშაბათობით ამოყვანილი ყველისაგან, შემდგომ მათ ბარბოლ-ის სახელზე შესწირავდნენ წველის ბარაქისა და მეწველი საქონლის გამრავლებისათვის და, ბოლოს, შენაწირს თვითვე შეექცეოდნენ. როგორც ზემოთ არა ერთხელ იყო აღნიშნული, დულან-ის რიტუალზე დასწრება და დულ-ის<sup>2</sup> ხილვა და შეტმა მამაკაცებს სასტიკად ეკრძალებოდათ.

კაცები ვერ იგემებდნენ ორშაბათ ღვთაებში ამოყვანილ ყველს საზოგადოდ. ზაფხულობით, როდესაც საქონელი მთის საძოვრებზე იყო, იქ მყოფი მანდილოსნები ორშაბათობით ამოყვანილ ყველს ჩაირით ნიშანს გაუკეთებდნენ, რომ ეს ყველი სხვა ყველთან არ შერეულიყო და შეცდომით მამაკაცებს არ შეეჭამათ. ხალხის რწმენით ამ აღკვეთის (უწონანში-ის) დაზღვევა მაშინვე წველას დაეტყობოდა, იგრ კლებულობდა, ხოლო მამაკაცს, რომელიც ნებისით თუ უნებლიეთ დულ-ს იგემებდა, ავიზნე (ბგნანბ-ი) დაემართებოდა<sup>3</sup>.

საკმაოდ დიდი რიცხვი ბალსქვემოური ღვთაებებისა და სხვადასხვა წესჩვეულებათა, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ, უდავოდ ღვთაება ბარბოლ-ის სახელთანაა დაკავშირებული, მათი გათვალისწინება სრულ დამაჯერებლობას ანიჭებს ბარბოლ-ის განხილ-

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, მგ შ გ ა ლ ი ა ლ ი მ ზ უ რ. თარგმანი.

<sup>2</sup> დულ-ი აღნიშნავს როგორც რიტუალს, ისე შესაწირავ კვერსავე.

<sup>3</sup> იქვე, დულ-ი ფარსა და ცხუმარში.

ვის შედეგად მიღებულ დასკვნას ლეთაება ბარბოლ-ის ფუნქციების შესახებ: მიზანდასახულობის მხრივ აღნიშნული დღეობები მესაქონლეობის კეთილდღეობას ემსახურებოდა და მათ მრავალსახის რიტუალში ჩვენთვის საყურადღებო ლეთაება ბარბოლ-ის სახელწოდებით ან შესაფერისი ეპითეტებით ისევდაისევ მსხვილფენა საქონლის, ძროხისა და ხარის მფარველად გვევლინება.

ამასთანავე ამ უქმე-დღეობათა და სარწმუნოებრივი წესებით აღბეჭდილ დღეთა დიდი უმრავლესობა საკუთრივ წველის ბარაქისათვის, ძროხების გამრავლებისა და ქალების კეთილდღეობისათვის იყო განკუთვნილი. ზემომოყვანილ წესჩვეულებიდან ამგვარ სპეციალურ დანიშნულებას ემსახურებოდა: ყველიერის ხუთშაბათი, ახალკვირის ქალების რიტუალი, შაბათები დაწყებული ახალკვირიდან სულიწმინდის მოფენის დღემდე, ფურრეტიჰმ, თოთობ, მგშგპლიშლიმზგრ და დულან-ის რიტუალი, რომლის შესრულება თითქმის ყველა უქმე-დღეობასა და ახალ მთვარეზე ორშაბათობით ხდებოდა.

ასეთ სპეციალურ დანიშნულებაზე მიუთითებს აგრეთვე ზოგი უქმე-დღეობის სახელწოდებაც, მაგალითად, ლიფკტპარი, დანდტრეცპშ, ფურრეტიჰმ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ყველიერის წინა პარასკევის სახელწოდება ლიფკტპარი დაშრობას ნიშნავს. ამ სიტყვით იგულისხმება მწველი საქონლის, უმთავრესად ძროხის დაშრობა, რომლის საწინააღმდეგოდაც დღეობის რელიგიური ხასიათის რიტუალი სრულდებოდა. რაც შეეხება ამ უქმე დღის მაგიურ წესჩვეულებას, იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, საზოგადოდ საქონლის მარცხისაგან დაცვისათვის იყო განკუთვნილი, ეგების თავდაპირველად ეს დღე მხოლოდ მაგიურ წესჩვეულებებს შეიცავდა და სიტყვაც ლიფკტპარი დღევანდელთან შედარებით უფრო ფართო მნიშვნელობას ატარებდა.

ყველიერის ხუთშაბათს დანდტრეცპშ ეწოდებოდა. სვანური დანდტ დედალ ქათამს ნიშნავს. ამასთანავე სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სვანური დანდტ შეესატყვისება მეგრულს და დული და ქართულს დედალი<sup>1</sup>, რომლებიც არა, მხოლოდ ქათმის დედალს, არამედ საზოგადოდ მდებრობითი სქესის არსებას აღნიშნავს<sup>2</sup>. ცხადია, ასეთი ზოგადი მნიშვნელობა შეესატყვის

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი 1938, გვ. 98.

<sup>2</sup> И. Кишидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб 1914, გვ. 222, სიტყვასთან: დადული.

სვანურ სიტყვასაც უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში ამგვარი ზოგადი მნიშვნელობით უნდა იყოს სიტყვა და დღე ყველიერის წინა პარასკევის სახელწოდებაში შესული. ამაზე აშკარად მიუთითებს დღეობის რიტუალი და მიზანდასახულობა: დადღე არე ცხე ქალების დღეობაა და იგი განკუთვნილია საგანგებოდ ქალებისა და ძროხების საკეთილდღეოდ და წველის ბარაქისათვის.

სავსებით გარკვეულ სემანტიკას შეიცავს მესამე სახელწოდება, რომელიც ამავე დროს ამ სახელწოდებით შერქმეული დღეების რიტუალს შეეფერება. ფურრე უიჰმ ნიშნავს ფურების მარხვას, რომელიც განკუთვნილი იყო ძროხების სახელზე და წველის გადიდებისათვის.

ეს სახელწოდებანი და უქმე-დღეობები, რომლებიც ღვთაება ბარბალეს სახელზე სრულდებოდა, ბარბალეს გამოავლენს, როგორც საგანგებოდ ძროხების, მათი წველის ბარაქიანობისა და ქალების მფარველ ღვთაებას.


ამგვარ ვითარებას სავსებით ადასტურებს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე დაცული ხალხის წარმოდგენებიც. ადგილობრივ ჩვენი მუშაობის დროს მოხუცი სვანები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბარბოლ-ი, უწინარეს ყოვლისა, ძროხების ღმერთი არისო. ამასთანავე ხალხს ღრმად სწამდა, რომ ძროხების დამაკება-ვანაყოფიერება ღვთაება ბარბალეზე იყო დამოკიდებული.

ამ რწმენა-წარმოდგენებს შეესატყვისება სარწმუნოებრივი ხასიათის სხვადასხვაგვარი ბარბალეს სახელობის წესჩვეულებანი.

სვანეთში მუშაობის დროს, პირველად 1931 წელს და შემდგომ 1936 წელს, ჩვენ დავამოწმეთ მეტად საყურადღებო ქალების სალოცავი ბარბოლ ფარის თემში, სოფელ ფარის პირდაპირ ეცერის მიმართულებით მდებარე გორაკზე. ამ გორაკის თავზე დავაკებული ადგილია, სადაც მოსახლეობის გადმოცემით ოდესღაც სალოცავი შენობა მდგარა. ჩვენი იქ ყოფნის დროს მიწის ზედაპირზე რამდენიმე ლოდი და ნაგლეჯი ქვა-ლა მოიპოვებოდა, მცირე ფართობზე მიმოხეული იყო შიფერის თხელი ნაჭრები და ერთ ადგილზე შევნიშნეთ ერთად მიყრილი უამრავი ფიქალის, კირქვის და ნაწილობრივ რკინის მრგვალი, შუაზე მრგვალადვე გახვრეტილი საგნები, რომელთაგან ზოგი კვირისტავი იყო.

ადგილზე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ჩატარების შედეგად გაირკვა შემდეგი: ამ სალოცავის კვირისტავები და მსგავსი საგნები ქალებისაგან ყოფილა მიტანილი და ბარბოლ-ის სახელზე შეწირული (ისინი დღემდე ხელუხლებლად დაიცვა ხალხში გავრცელებული

ბულმა შეხედულეზამ, თითქოს ბარბოლ-ის სალოცავიდან მათი გატანა უბედურების მომასწავებელი იყოს). როდისაც სვანის ოჯახში უშობელი მოიგებდა, ოჯახის მგშგალი (ძროხების მწველელი ქალი) გამონახავდა კვირისტავს (ჩერშდას), ან ძის მგავსად ფიქალის თუ კირქვის ნაჭერს გათლიდა (ან გაათლევიებდა ვინმეს), ამ



სურ. 1. შეწირული კვირისტავები (ფიქალისა, კირქვისა და ლითონის).

საგანს ახლად მოგებულ ძროხას ჯიქანქვეშ შეუშვებდა და ცალი ხელით ძროხას ჩამოწველიდა ისე, რომ რძის ცვარი ატცილებლად კვირისტავის ნახვრეტში გასულიყო. შემდეგ ამ კვირისტავს და საგანგებოდ გამოცხობილ ყველისგულიან კვერს მგშგალი სალოცავ ბარბოლ-ში წაიღებდა და იქ ბარბაღეს სახელზე შესწირავდა წველის ბარაქის, ძროხის სისაღისა და გამრავლებისათვის ლოცვა-ვედრებით. შენაწირ კვერს იქვე შეექცეოდა, კვირისტავს-კი დატოვებდა და სამაგიეროდ სალოცავი ადგილიდან ბალახს მოგლეჯდა და შინ წაიღებდა. ამ ბალახს ახლად მოგებულ ძროხას ყურში გაურჭობდნენ, რადგან ძროხისათვის რომ დაეყარათ ეგების მას ეს „წმინდა“ ნაწილი, მწვანეც რომ ყოფილიყო, აო შეეჭამა, ან შეეჭამა, მაგრამ ლექვის დროს დორბლი ვადიოსდენოდა, ამას ბალახის ნაწილი გამოყოლოდა და მიწაზე დაცემულიყო. მაშინ ეს, ხალხის რწმენით, ბარბოლ-ს საწყენად დაურჩებოდა და, მაშასადამე, ძროხისათვის საზიანო იქნებოდა<sup>1</sup>.

ამ წესჩვეულების გარდა, გავრცელებული იყო ბარბაღეს სახელზე საფურე ხბოს და ძროხის დაყენება. კარგ მეწველ ძროხას წაღმა შეაბრუნებდნენ („ჟილუსპუნე“) და მას სახელად ბარბაღელს-ს შეარქმევდნენ. ბარბაღელს ძროხის გაყიდვა ან სხვა საქონელში გაცვლა არ შეიძლებოდა. ჩვეულების მიხედვით ის ოჯახში უნდა დაკლულიყო. ხშირად ამ დროს ოჯახი დაკლულის სანაცვლოდ ბარბაღეს სახელზე მეორე ძროხას „შეაბრუნებდა“. ძროხის

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, ფარის სალოცავი ბარბოლ.



გარდა ღვთაების სახელზე აყენებდნენ საფურე ხბოსაც, რომელიც ოჯახს ბარბალობას ან ამ დღეობის მახლობელ დღეებში შეემატებოდა. ამიერიდან ამ ხბოსაც ბარბოლს ეწოდებოდა<sup>1</sup>.

საყურადღებოა აგრეთვე ძროხის წყევლის ფორმულების შინაარსი. წყევლის დროს სვანები ძროხებს ბარბალეს სახელს უკავშირებენ და ამ ღვთაებისაგან მათ დასჯას გამოელიან. გაბრაზებული სვანი ძროხას ასე დასწყევლის: „ბარბოლს აშოლუთ ოთბიკტა“—ბარბალესამც გაეხეთქო, ან კიდევ „ისგუა ლამზგრს ქოხთე ნომოლუ ოხტიხა“—შენს სალოცავს (იგულისხმება ბარბალე) შინამც არ მოეყვანო<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანი რაოდენობის ამ კონკრეტული მასალის საფუძველზე ცხადად ისახება ბარბოლ-ი როგორც სპეციალურად ძროხების ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება და მათი უზენაესი ბატონ-პატრონი, რომელსაც შეუძლია, ერთი მხრივ, ძროხებს მიანიჭოს ყოველგვარი სიკეთე, ხოლო, მეორე მხრივ, ზიანი მიაყენოს და ამოხოცოს (შინ არ მიეყვანოს, გახეთქოს).

მაგრამ ბარბალე თავის ძალას მარტო საქონლის მიმართ არ იჩენდა, არამედ მას ქალებზეც ავრცელებდა. ბარბალეს სახელობის უქმე-დღეობებზე ქალები ბარბოლ-ს თავის კეთილდღეობას შესთხოვდნენ, როგორც ამაში ზემოთ დავრწმუნდით. ამ ღვთაებას საგანგებოდ ქალთათვის ნაყოფიერების მინიჭება მიეწერებოდა. ამიტომ ბარბოლ-ის სალოცავში უშიშრო ქალები დადიოდნენ და შეიღიერებას გამოსთხოვდნენ. მლოცველი მანდილოსნები ასეთ შემთხვევაში კვლავ ცხიმიან შესაწირავებსა და კვირისტავებს ან მათ მსგავს საგნებს სწირავდნენ<sup>3</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს კახელების რწმენის ერთი საყურადღებო გადმონაშთი, რომლის მიხედვით „ქალს რომ რძე შააკლდეს, უნდა გამოაცხოს ქადა (მხსნილში ძროხის რძისა და მარხვაში ნიგვზისა), წაილოს ბარბალეში და იქ გასკრას“<sup>4</sup>. ეს გადმონაშთი მიუთითებს იმაზე, რომ ბარბალეს ხალხი ქალის რძის მატების ძალასაც მიაკუთვნებდა.

საყურადღებო წარმოდგენა არსებობდა ფარელებში ბარბოლ-ის შესაწირავი კვირისტავებისა და მათი მსგავსი საგნების შესახებ. ეს საგნები მდებრთა სასქესო ორგანოს სიმბოლურ გამოსახულებად

<sup>1</sup> ალი დავითიანი, ბალსქვემოურ სვანთა ცრუმორწმუნობა, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრ. გან.-ის არქივში.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ., ხელნაწერი.

<sup>4</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ხალხური დღეობები კახეთში, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგ. განყ.-ის არქივში.

იყო მიჩნეული. ხალხის შეხედულებით ეს შესაწირავი აღნიშნულ სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდა ყოველგვარი მდედრი არსებისას, სულ ერთია ეს არსება ცხოველი თუ ადამიანი იქნებოდა, თუმცა ამავე დროს მოსახლეობა მათ პირველ რიგში მაინცდამაინც ქალსა და ძროხას უკავშირებდა<sup>1</sup>. ამგვარი მნიშვნელობის საგნების შეწირვა ბარბალეს სახელზე ამ უკანასკნელის ქალურ ბუნებასთან და ფუნქციებთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ ამასთანავე ეს საგნები ოდესღაც ეგების ამსახველი ყოფილიყო ბარბალეს ბუნების მეორე ძირითადი მხარისაც, რომლის შესახებ საუბარი შემდგომ გიეჭნება.

ღვთაება ბარბოლ-ის სახელობის უქმე-დღეობებზე და საზოგადოდ მის სახელზე განკუთვნილი სხვადასხვა სახის რიტუალის შესრულების დროს მლოცველები მხოლოდდამხოლოდ ცხიმიან შესაწირავებს სწირავდნენ. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული რძით და ყველით შეზავებული შესაწირავები — რძის ფაფა (ლ გ ჯ ე მ ი გ ა გ), ხაჭაპურები (ქ უ თ შ ა რ), მოხარშული ყველი (ლ ე ც შ მ ა რ ი ა ნ უ თ ა შ მ გ ჯ ა ბ), ყველში გადაზეღილი ცომი (ლ ი ქ ლ გ ბ ე, ყ შ ა ბ), ყ უ რ ტ მ ა, ანუ შ უ ბ ა ნ ი და მისთანანი. ბარბალესადმი ამგვარი შესაწირავების მიძღვნის წესი უძველესი დროიდან უნდა მომდინარეობდეს. ამას ამტკიცებს, მაგალითად, თუნდაც ის ფაქტი, რომ ბარბალობასაც ჯი, როდესაც ქრისტიანული მოძღვრების თანახმად მარხვაა და ცხიმიანი საჭმელის შეჭვა ცოდვას წარმოადგენს, ბალს-ქვემოთ ხაჭაპურებს (მ გ ნ ნ ი ა შ ლ ე მ ზ გ რ -ს, მ გ შ გ ა ლ ი ა შ ლ ე მ ზ გ რ -ს, ა ნ დ ა შ ა შ ლ ე მ ზ გ რ -ს და სხვ.) აცხობდნენ, ღვთაებას სწირავდნენ და შეექცეოდნენ.

რძე ქალური ბუნების არსებათა შეილიერება-ნაყოფიერების ატრიბუტია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებლად რძის ნაწარმის ამათუიმ სახით ბარბალესათვის მიძღვნის წესი თავდაპირველად, კვირისტავების მსგავსად, ამ ღვთაების ქალურ ბუნებასთან და მდედრობითი სქესის არსებათა განმანაყოფიერებელ და გამამრავლებელ თვისება-ფუნქციებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (რათქმაუნდა, ამგვარი შესაწირავების არსებობა ეკონომიური ვითარებით იქნებოდა შეპირობებული: რძის პროდუქტების შეწირვა უმთავრესად მესაქონლეობის არსებობის პირობებში უნდა ყოფილიყო შესაძლებელი).

ბარბალეს კულტში, როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან და ვრწმუნდით, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქალების უქმე-

<sup>1</sup> სვან. ზალხ. დღეობ. კალენდ., ხელნაწერი.

დღეობებსა და რელიგიური ხასიათის სხვა წესჩვეულებებს. ასეთები იყო: დ ა დ შ ა რ ე ც ა შ, უ ფ ლ ი ლ ა დ ე ლ -ის რიტუალი, ლახამუ-ლას სალოცავ თოდრ-ის ლიმზგრ-ები, რომელთა შესრულება ხდებოდა ყოველ შაბათობით ახალკვირიდან სულიწმინდის მოყენის დღემდე, ჰგლშა სამტინ, ქალების ლიდბაში ჰგლიშ-ს, თოთობ, ლიჩჟდუშ-ები, მკშგალიაშ ლიმზგრ და დულ-ის რიტუალი, რომელიც იმართებოდა ყველა დიდ უქმე-დღეობას, ახალ მთვარეზე ორშაბათობით და აგრეთვე ზაფხულის პერიოდში, რო-დესაც ძროხას წველა გადიდებული აქვს ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ არცერთ ქართველ ტომში ჩვენ ვერ შევ-ხვდებით ხალხურ დღეობათა ისეთს მკვეთრსა და თვალსაჩინო და-ყოფას ქალების და კაცების დღეობებად, როგორც სვანების ეთნო-გრაფიულ სინამდვილეში მოწმდება. ამასთანავე ქალების უქმე-დღე-ობები და სხვა ნაირსახის წესჩვეულებანი უმრავლეს შემთხვევაში ქალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებებს გამოავლენს. ადგილობ-რივ შეგროვილი სათანადო მასალების მიხედვით ამგვარი უქმე-დღე-ობები და წესჩვეულებები მეტწილად ქალ-ღვთაებათა ბარბოლ-ისა და ლამარია-ს სახელზე სრულდებოდა<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის დიდი როლი და მნიშვნელობა, რომელიც ბარბალეს კულტში ქალებს, კერძოდ ძრო-ხების მწველელ ქალებს (მკშგალი-ებს) მიეწერებოდა. არ არსე-ბობდა ბარბალეს სახელობის არც ერთი უქმე-დღეობა და რაიმე სახის რიტუალი, სადაც ქალები არ გამოდიოდნენ შეწირულებათა და ლოცვა-ვედრებათა მთავარ შემსრულებლებად. უფრო მეტის თქმაც შეიძლება. მთელ რიგ შემთხვევებში (ასეთი შემთხვევები კი წლის განმავლობაში მრავალი იყო) კაცებს აღკვეთილი ჰქონდათ ბარბალეს სახელობის რიტუალზე დასწრება და ბარბალესადმი მიძღვ-ნილი შესაწირავების შეჭმა და ხილვაც-კი. რიტუალის მონაწილე-ნი და მთავარი მომქმედი პირები ასეთ შემთხვევებში მხოლოდდა-მხოლოდ ქალები იყვნენ. ერთი სიტყვით, ბარბალეს კულტის საქმეს ქალები განაგებდნენ და ამ კულტის მსახურებად ქალები გამო-

<sup>1</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ დულარ-ი და ქალების ზოგერთი დღეობები, რომლებიც, როგორც დავრწმუნდით, ბალს-ქვემოთ ბარბოლ-ის სახელზე სრულ-დებოდა, ბალს-ხემათ და ქვემო-სვანეთში ლამარია-ს სახელზე იყო განკუთვ-ნილი. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ორივე ქალური ბუნების ნაყოფიე-რების ღვთაება იყო, ამდენად მათ თანაზიარი ფუნქციებიც ახასიათებდათ და, მა-შასადამე, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ერთიდაიგივე წესჩვეულება შესრულე-ბინათ როგორც ბარბოლ-ის, ისე ლამარია-ს სახელზე.



დიოდნენ. ამგვარი ვრთარება, ჩვენი ფიქრით, ისევედასევე ბარბალეს ქალური ბუნებით და ზემოაღნიშნული მისი ფუნქციებით უნდა ყოფილიყო ოდესღაც შებირობებულნი. ქალ-ღვთაება ბარბალე მდედრობითა სქესის ნაყოფიერება-გამრავლებას განაგებდა და ამიტომ მისი მრევლი და მსახურნი პირველ რაგში ქალები იყვნენ.

ამგვარად, განხილულ კონკრეტული ფაქტების საფუძველზე საბოლოოდ ირკვევა ბარბალეს ბუნების ერთ-ერთი ძირითადი მხარე. ბარბალე იყო, უწინარეს ყოვლისა, მდედრობითი სქესის არსებობა გამანაყოფიერებელი და გამამრავლებელი ქალ-ღმერთი, რომლის ატრიბუტს წარმოადგენდა კვირისტაგის მსგავსი საგნები და რძის პროდუქტებით შეზავებული შესაწირავები, ვითარცა მდედრობითი ნაყოფიერების სიმბოლური გამოსახულებანი.

ეს ჩვენი ღებულება არ ეწინააღმდეგება ზემოთ დადგენილ ფაქტს, სახელდობრ იმას, რომ ბარბალე საზოგადოდ მსხვილფეხა საქონლის და ამ საქონლის მეურნეობის მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა. ამ ორი ფაქტის ურთიერთ მიმართების საკითხთან დაკავშირებით შეგვეძლო გვეფიქრა, რომ თავდაპირველად ხარების გამრავლება ბარბოლ-ს იმდენად მიეწერებოდა, რამდენადაც ის იყო ნაყოფიერების ღვთაება მდედრობითი სქესის არსებობა, კერძოდ მდედრობითი სქესის მსხვილფეხა საქონლისა (ძროხის), რომლის სიმრავლე ხარების გამრავლების და, მაშასადამე, საზოგადოდ მსხვილფეხა საქონლის მეურნეობის, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი და აუცილებელი პირობა და სწინდარი იყო.

მაგრამ მსხვილფეხა საქონლისა და ქალების მფარველობის გარდა, ღვთაება ბარბალეს მრავალი სხვა ფუნქციაც ახასიათებდა, რაშიც ქვემოთ დაგრწმუნდებით. მისი ასეთი ფართო ფუნქციების გასაგებად აუცილებლად საჭიროა ღვთაების მთლიანი ბუნების გათვალისწინება. ჩვენ ამჟამად შევხებით ბარბალეს კულტის ამსახველი მასალების მხოლოდ ერთ ნაწილს, სახელდობრ, ბალსქვემოურ უქმედღეობათა ჯგუფს და შესაფერის რწმენას, რომლის ანალიზის საშუალებით შევძელით ამ ღვთაების ფუნქციათა ნაწილის და მისი ბუნების მხოლოდ ერთი მხარის გაშუქება და დადგენა. მაგრამ ბარბალე იყო არა მხოლოდ ქალური ნაყოფიერების ღვთაება, არამედ ასტრალური ბუნების ქალ-ღმერთიც. მისი ეს ორი მხარე ერთად იძლევა გასაღებს ზემოდანშული საკითხის გარკვევისათვის. ბარბალე როგორც ნაყოფიერების მნათობი ქალ-ღმერთი ახდენდა დადებით თუ უარყოფით ზეგავლენას მსხვილფეხა საქონლის მეურნეობაზეც, მიწის ნაყოფიერება-ძოსავლიანობაზეც და საერთოდ ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე.

## 2. სვანური ბარბალე ბალსზემოურ-ქვემოსვანურ დღეობათა მიხედვით

ბალსზემოურ და ქვემოსვანურ ბარბალობის (ბარბლჳშ || ბარბ-ლაშ)<sup>1</sup> რიტუალში ჩვენ ველარ ვამოწმებთ საქონლის მწველულ ქალს მგ შ გ ა ლ ი-ს და საქონლის მკვებავ კაცს, მ ე ნ ე ნ-ს ( || ბ.-ქვ. მ გ ნ-ნი-ს) დღეობის მთავარ მომქმედ პირებად. ამ დროს აღარც ამ პირების სახელით შერქმეული სავანგებო კვერები ცხვებოდა. ერთი სიტყვით, მგ შ გ ა ლ ი-სა და მ ე ნ ე ნ-ის როლი და მნიშვნელობა ბალსზემოურ და ქვემოსვანურ ბარბალობაში სრულიად გამჭრალი ჩანს.

მიუხედავად ამისა, მესაქონლეობასთან დაკავშირებით ბარბალეს კულტის გადმონაშთები ამ კუთხის დღეობაში მაინც მოიპოვება. ასე მაგალითად, ბარბლჳშ-ის მესტიის ვარიანტით ამ დღეობაზე, სხვათა შორის, ე. წ. ლ ა ნ ნ ო ნ ა ლ ი ლ ე მ შ ი რ-ებს აცხობდნენ და ლ ა ნ ნ ო ნ ა ლ-ზე სავანგებოდ მოწყობილ კერის წინ სწირავდნენ ბარბალ-ის სახელზე შესაფერისი ლოცვა-ვედრებით. ლ ა ნ ნ ო ნ ა ლ ( || ბ.-ქვ. ლ ა შ დ ა რ) ეწოდება სვანური ზამთრის საცხოვრებელი ბინის (მაჩუბ || მაჩუბი) იმ ადგილს, სადაც მ ე ნ ე ნ-ი სახლის მეორე სართულიდან (დარბაზ-იდან) საქონლის საკვებს ჩამოჰყრის ხოლმე.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველგან ბალს-ზემოთ და ქვემო-სვანეთში დღეობაზე შესაწირავების მიტანისა და ლოცვა-ვედრების დროს ბარბალეს სხვათა შორის საქონლის სისალესა და გამრავლებასაც შესთხოვდნენ.

ქრისტიანობის ზეგავლენით ბალს-ზემოთ და ქვემო-სვანეთში, ისევე, როგორც რაჭა-ლეჩხუმში და ქართველი ტომების მოსახლეობის დანარჩენ კუთხეებში, დამყარებული იყო რწმენა-წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ბარბალობას მარხვაა და. ამ მარხვის გატეხა ცოდვად ითვლებოდა. ამიტომ ბარბლჳშ დღეს სწირავდნენ სამარხეო ტაბლებს — ცერცვის, მარილის, კანაფის, თუ ნიგვზისგულიანებს. ამავე დროს ბალს-ზემოთ ფართოდ იყო გავრცელებული ერთი მეტად საყურადღებო წესჩვეულება. ბარბლჳშ საღამოს, ვახშმის გათავების შემდეგ, მამრობითი სქესის ბავშვები გარეთ გაცვივდებოდნენ და ნეხვის გადასაყრელ სარკმლიდან (ლ ა ნ გ ო ლ ი-დან) შინ შესძახებდნენ: „დედე, ნადიარობურე“, ან „დედე, ნაჭახშობურე“ — დედავ, ნავახშმევი პური გამოაცხეო. ამ სიტყვების

<sup>1</sup> ბალსზემოური და ქვემოსვანური ბარბალობის აღწერილობა (ცალკეული თემების მიხედვით) იხ. სვ. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 9—20.

გაგონებაზე დიასახლისი კერაში მინელებულ ცეცხლს გააძლიერებდა და გახურებულ ფიქალზე ყველისგულიან კვირებს გამოაცხობდა. ამ კვირებს იმავე ღამეს დაინაწილებდნენ და შესჭამდნენ.

ე. წ. ნ ა დ ი ა რ ო ბ შ რ ე-ს წესჩვეულება წარმოადგენს ქრისტიანობის ზეგავლენით სახეცვლილს, უძველეს ხანიდან მომდინარე იმ რიტუალს, რომელიც ბოლო დრომდე კარგად დაიცვა ბალს-ქვემოურმა ბარბალობამ და რომელიც მდგომარეობდა ღვთაება ბარბალეს სახელზე აუცილებლად ცხიმიანი (ყველისგულიანი) შესაწირავების მიძღვნაში. აშკარად ჩანს, რომ ნ ა დ ი ა რ ო ბ შ რ ე-ს წესჩვეულების მთავარ მიზანს ყველისგულიანების გამოცხობა და შეჭმა წარმოადგენდა. მაგრამ ამ წესჩვეულების წყალობით დღეობასთან დაკავშირებული ხალხის რწმენასა და მოქმედებას შორის ერთგვარი შეუსაბამობა და წინააღმდეგობაა დამყარებული: გაბატონებული რწმენის თანახმად ბარბალობას მარხვაა და ამ მარხვის გატეხა ცოდვას წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხი მარხვას ტეხს და ხაჭაპურებს შეექცევა. შეუძლებელია, რომ ამგვარი წინააღმდეგობა ბალსზემოურ ბარბალობისათვის თავიდანვე დამახასიათებელი ყოფილიყო. მეორე მხრივ, ნ ა დ ი ა რ ო ბ შ რ ე-ს წესჩვეულება მეტი-მეტად კომპრომისულია და გართულებული ბალსქვემოურ სათანადო რიტუალთან შედარებით: ცხიმიანი ტაბლებით ზიარება დღეობა ბ ა რ ბ ა ლ ა შ-ის ბოლოს (ნავახშმევს) იყო მოქცეული; უოოდ ძველი ტრადიციის შენარჩუნებისა და ამავე დროს ქრისტიანულ მორალთან შეგუების მიზნით აღნიშნულ წესჩვეულებაში წინ წამოწეულია ბავშვების მოქმედება. მთავარ მომქმედ პირებად ბავშვების გამოსვლას, ერთი მხრივ, მარხვის გატეხით გამოწვეული ცოდვა უნდა შეემსუბუქებინა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის მოქმედების ნამდვილი მოტივი დაეფარა. და მართლაც, ნ ა დ ი ა რ ო ბ შ რ ე-ს წესჩვეულება ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ცხიმიანი ტაბლების გამოცხობა და ამ ტაბლებით ზიარება სრულდებოდა არა დღეობის წარმართული ტრადიციისა და მოზრდილი მოსახლეობის ნება-სურვილის თანახმად, არამედ ოჯახის მცირეწლოვან წევრთა დაკმაყოფილების მიზნით.

ამგვარად, ქრისტიანობამ ბარბალობას თავისი დადი დაასვა, დღეობის ძველ წესჩვეულებებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, მაგრამ წარმართული ტრადიცია—ბარბალეს სახელზე ცხიმიანი შესაწირავებით ზიარებისა—საბოლოოდ მაინც ვერ აღმოფხვრა. ბალსზემოურ ბარბალობაში ჩვენ ვადგენთ ღვთაება ბარბალეს ერთ-ერთ

მთავარი შესაწირავის სახეს — ყველისგულიან კვერებს და მათი შეწირვის რიტუალის გადაგვარებულ ფორმას.

დაბოლოს, შესაქონლეობასთან დაკავშირებით ბარბალეს კულტის გადმონაშთებს შეიცავს სვანური ბარბალობის რიტუალში სპორადულად წარმოდგენილი მეკვლეობა და ე. წ. „ხელის ახსნა“ (ლიშაშაშლი). კალას ვარიანტის მიხედვით, ბარბლშშ დილით ლოცვა-ვედრებისა და შესაწირავების მიტანის შემდეგ მორწმუნე სვანი თავისთან მიიწვევდა ერთგულ მეზობელს, რომლის მეკვლეობა წინა წლებში კეთილად ჰქონდა დაცდილი. სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი მეკვლე დაიჭერდა ხელში ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოს წერეჭტს (|| წერეჭტა — წივანას ერთი სახეობაა) და მასპინძლის ოჯახში შევიდოდა. სახლში შესვლისთანავე მეკვლე საქონლის ბაგას მიუახლოვდებოდა, ბაგაში მოთავსებულ თივას აიღებდა, საქონელს ხელით შეაქმევდა და თან ხმამაღლა წარმოსთქვამდა — დღევანდელი დღის ძალმა ეს საქონელი და ამ სახლის ხალხი გაამრავლოსო. შემდეგ ოჯახის წევრებს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა: მრავალი კარგი ბარბალობა გაგიტენდეს კარგ გულზეო („ხოჩა ბარბლშშ აჯრგჰჷნა ხოჩა გუჟი ხუაჲ“). მეკვლეს კარგად გაუმასპინძლებოდნენ და ისე გაისტუმრებდნენ<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ბარბალეს სახელი მეკვლეობაზე პირდაპირ არ მოიხსენებოდა, მაგრამ მეკვლის სტყევებით „დღევანდელი (ე. ი. ბარბალობის) დღის ძალმა“ უცილობლად ეს ღვთაება იგულისხმებოდა, ვინაიდან ბარბალობის ძალა, სვანების რწმენით, ბარბალეში სახიერდებოდა. მაშაადამე, მეკვლე ბარბალეს მიმართავდა და მას საქონლისა და ადამიანის გამრავლებას შესთხოვდა.

მოყვანილი მასალების განხილვის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დასკვნის გამოტანა: ბალსზემოურ და ქვემოსვანურ ბარბალობაში ბალსქვემოური ბარბალობის რიტუალის მსგავსი ელემენტები მოიპოვება. ეს ელემენტებია: დღეობა ბარბლშშ-ს ე. წ. ლანანონალი ლემზირების გამოცხობა და სახლში საქონლის საკვების დასაყრელ ადგილზე მათი შეწირვის წესი (მესჯიაში), საქონლის გამრავლების და სისადის შესახებ ლოცვა-ვედრება, ცხიმიანი (ყველისგულიანი) ტაბლებით როგორც სადღეობო მთავარი შესაწირავით ზიარების აუცილებლობა (ბალს-ზემოთ) და მეკვლეობის წესი (კალაში), რომელიც საქონლის და ადამიანის გამრავლებისათვის იყო განკუთვნილი. რიტუალის ყველა ეს ელემენტი შესაქონლეობასთანაა დაკავშირებული და მაჩვენებელია იმის, რომ ბალს-

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 16.



ზემოურ და ქვემოსვანურ ბარბალობაშიც მესაქონლეობის კულტის გადმონაშთები ყოფილა დაცული. რამდენადაც ამ დღეობის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ბარბალე, რომელსაც მთელს თავისი რიტუალით ზემოაღწერილი ვარიანტები განეკუთვნებოდა, იმდენად ბარბალე ბალს-ზემოთ და ქვემო-სვანეთშიც მესაქონლეობის შეფარველ ღვთაებად ისახება.

ამ კუთხის სხვა დღეობები ღვთაება ბარბალეს სხვაგვარ ფუნქციებსაც გამოავლენს. ასეთი დღეობებია უშეგულური ლიმდუწარი, მეისარბი მიშლადელ, ლიქონჭი და ლიქურაში (|| ლიქურეში).

დღეობა ლიმდუწარი პეტრე-პავლობის მომდევნო შაბათს მოდიოდა. მას დღესასწაულობდნენ მხოლოდ სოფელ მურყმელის მცხოვრებნი. სოფელი საერთო ხარჯით ყიდულობდა ერთ ძროხას, ხოლო მისი ტყავის საფასურში არაყს იძენდნენ. ამის გარდა, დღეობაზე სოფლის თითოეული მოსახლე აცხობდა დიდი ზომის ყველისგულიან პურს, რომელსაც ბარბლწ დიარ-ს (ბარბალეს პურს) უწოდებდნენ. ეს შესაწირავები ეკლესიის ეზოში მიჰქონდათ და ბარბალეს სახელზე სწირავდნენ. პირველად ძროხას შესწირავდნენ, იქვე დაჰკლავდნენ და მოხარშავდნენ. შემდეგ ძროხის შემწვარი გულ-ღვიძლის, ბარბლწ დიარ-ების და სასოფლო არაყის შეწირვა ხდებოდა. ამ დროს ბარბალეს ახალი მოსავლით უბრუნველყოფას ევედრებოდნენ. სამსხვერპლო ძროხის ხორცი თანაბარი ზომის ულუფებად ნაწილდებოდა — სოფლის მოსახლეზე თითო ელუფა. ეკლესიის ეზოში გაშლიდნენ სუფრას და შემოუსხდებოდნენ მას სოფლის მცხოვრებნი — თითო მოსახლიდან თითო წარპომადგენელი და სმაჰამასა და მოლხენას ეძლეოდნენ<sup>1</sup>.

უძღვების კვირის კვირა-დღეს უშეგულში მეისარბი მიშლადელ 'მეისარაბის კვირა'<sup>2</sup> ეწოდებოდა. ამ დღეს დილით სოფელ მურყმელის მოსახლეობა იკრიბებოდა აგრადს სახელწოდებით ცნობილ ადგილზე და იქ თოვლის „კოშკს“ (მუსი მურყუამ) აგებდნენ. ამ კოშკს შუაში ჩაატანდნენ მსხვილსა და გრძელ კეტს, რომლის წვერზე ხის ჯვარი იყო დამაგრებული. კოშკის აგების შემდეგ მის წინ მუხლს მოიყრიდნენ და ბარბალეს სახელზე ილოცავდნენ. ამ დროს ბარბალეს ევედრებოდნენ მოსავლის სიუხვესა და ყოველ საქმეში გამარჯვების მინიჭებას. ლოცვის შემდეგ კოშკის გარშემო ცეკვა-თამაშსა და სიმღერებს მართავდნენ. ეს რიტუალი საღა-

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. (ხელნაწერი), ლიმდუწარი უშეგულში.

<sup>2</sup> წინა დღეს დღეობა მეისარაბ-ი იყო.

მომდე გასტანდა ხოლმე. პირველად შეასრულებდნენ ორ სავალდებულო ფერხულს — რიჰოჲ-ს და უშგულა მახე ღჷაჷჷარე-ს, რომელთა შესრულებაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას. დანარჩენ ფერხულებში ქალებიც მონაწილეობდნენ. მურყმელის ამ დღესასწაულზე სტუმრად მიდიოდნენ სხვადასხვა სოფლისა და თემის მცხოვრებნი, რომლებსაც მურყმელები საღამოჷჷამს თავ-თავის სახლებში იწვევდნენ და ვახშმით უმასპინძლებოდნენ. ნავახშმევს ერთერთი მოსახლის ოჯახში იმართებოდა ღამისთევა (ღირჰი), რომლის დროსაც განუწყვეტელი ცეკვა-თამაში და სიმღერები იყო. ღამისთევაზეც პირველად რიჰოჲ და უშგულა მახე ღჷაჷჷარე სრულდებოდა და შემდეგ სხვა საცეკვაოები<sup>1</sup>.

მეისარაბის კვირის (მეისარბი მიშლაღელ-ის) მეორე დღეს, ორშაბათს, ლიჰონჰი ერქვა. ამ დღეს უშგულის მცხოვრებნი სოფელ მურყმელის ბარბალეს სახელობის ეკლესიაში მიდიოდნენ, იქ ზედაშ-სა და ლეჰზირ-ებს სწირავდნენ და ბარბალეს ვაჟიშვილების გამრავლებას ევედრებოდნენ. შესაწირავ კვერებს შორის ერთი კვერი დიდი ზომისა იყო და მას ლიჰონჰი ლემზირ-ს ეძახდნენ. შეწირვის შემდეგ ამ კვერს წვრილად დატეხავდნენ და ეკლესიაზე მისულ ბავშვებს დაურიგებდნენ<sup>2</sup>.

შემდეგი დღეობა ლიჰტრაში ანუ ლიჰტრეში უშგულში სალასკარო დღეობა იყო. ლასკარ-ი ერთი ან რამდენიმე გვარის ოჯახების სადღეობო გაერთიანებას ეწოდებოდა. გარკვეული დღეობების დროს მოსახლეობა დანაწილებული იყო რამდენიმე ჯგუფად, ლასკარ-ად. თითოეული ლასკარ-ი თავის შიგნით მართავდა წვეულებას ერთ წელს თავისი ერთი წევრის ოჯახში და ამ წევრის ხარჯზე, მეორე წელს მეორე წევრის ხარჯზე მისივე ოჯახში და ასე მორიგეობით დღეობის გადახდა და ლასკარ-ის გამასპინძლება მის ყოველ წევრს ხდებოდა წილად. ლიჰტრაში-ის მორიგე მდღეობებს მელქორაში ერქვა. უშგულში ეს დღეობა ხანგრძლივი იყო, ხუთდღიანი. იწყებოდა უძღების კვირის პარასკევს და მომდევნო სამშაბათს თავდებოდა. დღეობის წინა დღეს, ხუთშაბათს, მელქორაშ-ს ბარბალეს სახელობის ეკლესიიდან ბარბლჷთას-ი ანუ ნიშანი-ი მიჰქონდა სახლში და ლოცვა-ვედრებით თავის მარან-ში ათავსებდა. დღეობის პირველ დღეს, პარასკევს, მელქორაშ-ის ოჯახში დაიკვლებოდა ორი-სამი ტახი ჷებშაჲ და ყველიანი და ხორციანი კვერები ცხვებოდა; ხოლო არაყი წინასწარ.

<sup>1</sup> დასახელ. ხელნაწერი, მეისარბი მიშლაღელ უშგულში.

<sup>2</sup> იქვე, ლიჰონჰი უშგულში.

იყო მომარაგებული. ლასკარ-ი მელქორაშ-თან სადილის დროს იკრიბებოდა. სუფრასთან დასხდომამდე ბარბალეს სახელზე ილოცავდნენ და შესთხოვდნენ მას ლასკარ-ის მშვიდობასა და კეთილდღეობას. სადილის დროს პირველად ე. წ. ლაჯტამიელ-ს იტყოდნენ — არაყით სავსე კათხებით ბარბალეს, უშგულის ლამარიას და მელქორაშ-ის ოჯახს ადიდებდნენ. ლაჯტამიელ-ს მიაყოლებდნენ ბარბალ დოლაში-ს საგალობელს. ამ საგალობლის თქმა ლიქტრაეშ-ის განმავლობაში ყოველდღიურად იცოდნენ<sup>1</sup>. მელქორაშ-ის ოჯახში სმა-ჭამა-ქეიფი საღამომდე გრძელდებოდა და შემდეგ დაიშლებოდნენ მეორე დღემდე, როდესაც ლასკარ-ი კვლავ მელქორაშ-თან მიდიოდა დროს გასატარებლად.

ლიქტრაეშ-ის მეორე დღეს, შაბათს, დილით მელქორაშ-თან შეკრებილი ლასკარ-ი ჯერ საუზმეს (ლენცელ) შეექცეოდა — ხორციან და ყველიან კვერბს, მოხარშულ ხორცს, არაყს. შემდეგ გამოყავდათ ბარბალეს სახელზე შესაწირავი ხარი, ვერძი ან ვაცი, რომელსაც ბარბალა ეწოდებოდა. შეწირვის დროს მას შუბლზე, მარჯვენა ბეჭზე და თეძოზე ბალანს შეუტრუსავდნენ და ორივე რქაზე სანთელს აუნთებდნენ. დაკვლისა და გატყავება-გამოშიგვნის შემდეგ, ბარბალა-ს გულ-ღვიძლა შესწავავდნენ და ამ შემწვარ გულ-ღვიძლს, ზედაშ-ს და ლემზირ-ებს ლასკარ-ის ორი წვერი ეკლესიაზე წაიღებდა და კვლავ ბარბალეს სახელზე შესწირავდა. პურობის დროს პირველად ლაჯტამიელ-ს შეასრულებდნენ, ამას ბარბალ დოლაში-ს საგალობელს მიაყოლებდნენ და შემდეგ ე. წ. ლიქსჭი (ანუ ჭაჭილარ-ი) იმართებოდა: შუა ცეცხლის პირაღ დადგამდნენ სვანურ პატარა მრგვალ სუფრას (ფიჩქ-ს) და ზედ მოათავსებდნენ სამსხვერპლო ცხოველის მოხარშულ ხორცს, ახლად ამოყვანილ ყველს წვრილად დაჭრილს და ორ სასმისს — ბარბალათას-ს ანუ ნიშან-ს შამაკაცისათვის და ჩვეულებრივ კათხას ქალისათვის. ეს სასმისები საუკეთესო ნათავედი არაყით ივსებოდა. სავრთო სუფრას გამოეყოფოდა ლასკარ-ის უხუცესი წვერი მამაკაცი, ის ლასკარ-ის უხუცეს მანდილოსანს გაიხმობდა და ორივე ახლად ვაშლილ მრგვალ სუფრის წინ დადებოდა. პირველად კაცი და შემდეგ მანდილოსანი აიღებდნენ სუფრიდან არაყით სავსე სასმისებს, დაილოცებოდნენ ლასკარ-ის კეთილდღეობისათვის, დალევდნენ არაყს, შემდეგ ერთმანეთს აკოცებდნენ, ერთად იცეკვებდნენ და კვლავ საერთო სუფრას უბრუნდებოდნენ. ამ წესით, წყვილ-წყვილად

<sup>1</sup> ბარბალ დოლაში-ს საგალობლისა, მისი ვარიანტებისა და შედარებით-ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი იხ. ვ. ბარდაველიძე, სვანური საგალობელი „ბარბალ დოლაში“, ენიმკ-ის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 541.



(კაცი და ქალი ერთად) ასრულებდა ლიქჭიკი-ს წესჩვეულებას ლასკარ-ის ყველა წევრი უფროს-უმცროსობით. საღამოს ლასკარ-ის მანდილოსნები თავ-თავის ოჯახს უბრუნდებოდნენ, ხოლო სოფლის მამაკაცები ერთდებოდნენ და ე. წ. ბამბლუ-ს წესის შესასრულებლად ოჯახ-ოჯახ დადიოდნენ<sup>1</sup>. ამ წესთან დაკავშირებით ლიქჭირაშ-ის შაბათს უშგულსა და ზოგ სხვა თემებში საკუთარ სახელად ბამბლუ (|| ბომბლა) ერქვა, ხოლო სხვა თემებში ამ დღეს ლიღმესარი ეწოდებოდა. ბამბლუ-ს წესჩვეულების შესრულება სამ დღეობაზე იცოდნენ — ახალწელიწადს, ლიფანალ-ში და ლიქჭირაშ-ის შაბათს. უშგული და ზოგი სხვა თემი ამ წესს ლიქჭირაშ-ის შაბათს ასრულებდა, სხვა თემებიდან ზოგი ახალწელიწადს და ზოგიც ლიფანალ-ში.

ლიქჭირაშ-ის მესამე დღეს, ლიქჭირაში მიშლადელ-ს, ისეთივე წესები სრულდებოდა, როგორც ამ დღეობის წინა დღეებში, ე. ი. ამ დღესაც ლასკარ-ი დილიდან საღამომდე მელქორაშ-ის ოჯახში იკრიბებოდა და სმა-ჰამა-ქეფსა და მოლხენას ეძლეოდა. ამ დროს ასრულებდნენ ლაქტამიელ-ს, ბარბალდოლაშ-ის საგალობელს, ლიქჭიკი-ს და მისთ. ამის გარდა, პურობის წინ ლასკარ-ის რომელიმე წევრი ეკლესიაში ზედაშ-სა და ლემზირ-ებს წაიღებდა და იქ ბარბალეს სახელზე სწირავდა.

სამშაბათი ლიქჭირაშ-ის უკანასკნელი დღე იყო და მას სპეციალურ სახელს ლალტგხას-ს ('დაბრუნება') ეძახდნენ. ამ დღეს ლასკარ-ი იშლებოდა და დღეობის მონაწილენი ყველა თავ-თავის ოჯახს უბრუნდებოდა. დაშლის წინ მელქორაში ნათავედი არა-ყით სავსე ბარბლა თას-ს ანუ ნიშან-ს და ხორცის ერთ დიდ ულუფას მომავალი წლის მელქორაშ-ს მიაართმევდა. სულ უკანასკნელად ლასკარ-ის წევრები შუა ცეცხლის გარშემო ფერხულს დააბამდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოეთხოვებოდნენ მასპინძელს და დაიშლებოდნენ. ბარბლა თას-ს მელქორაში ბარბალეს სახელობის ეკლესიაში მომდევნო ხუთშაბათს აბრუნებდა და თან ბარბალეს სახელზე ზედაშ-სა და ლემზირ-ებს სწირავდა<sup>2</sup>.

აღწერილი დღეობები თვალსაჩინოდ განსხვავდება ზემოგანხილულ ბარბოლ || ბარბლაშ-ისა და სხვა დღეობათაგან თავისი ფართო მასშტაბით. ბარბალობის, ბალსქვემოური ლიფკჭიარ-ის, ჰგლშე სამტინ-ის და სხვა უქმე-დღეობათა რიტუალის შესრულება ცალკეული ოჯახების ვიწრო წრეს არ სცილდებოდა და ან სპეციალურად ქალების უქმე-დღეობები იყო. უშგულური ლიმ-

<sup>1</sup> ბამბლუ-ს (|| ბომბლა) წესჩვეულების აღწერილობა იხ. სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 127, 131, 134, 137, 146, 151.

<sup>2</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. (ხელნაწერი), ლიქჭირაში უშგულში.

დღეობის და მისი სარბი მიშლადელ სასოფლო დღეობებია. მათი რიტუალი სოფელ მურყმელის მცხოვრებთა საერთო ხარჯზე სრულდებოდა, ყველას სახელით ხდებოდა. სოფლის მიერ შექმნილი ძროხისა და არაყის, აგრეთვე ყველისგულიანი ბარბალე დიარების შეწირვა და ლოცვა-ვედრებაც სოფლის მოსავლის სიუხვისათვის იყო განკუთვნილი. ხოლო ლიქტრაში სალასკარო დღეობა იყო; დღეობისათვის ხარჯის გაწევა და დღეობის გადახდა ხდებოდა არა ცალკეული ოჯახების შიგნით და არც კოლექტიურად სოფლის ფარგლებში, არამედ ერთი ან რამდენიმე გვარის ოჯახი ცალკე ჯგუფებს (ლასკარ-ს) ჰქმნიდნენ, თითოეულ ჯგუფს შიგნით ერთ წელს ერთ ოჯახში, მეორე წელს მეორე ოჯახში და ასე შემდგომ მორიგეობით იკრიბებოდნენ და დღეობას ჩორიგეს ხარჯზე იხდიდნენ.

ლიმდღეობისა და მისი სარბი მიშლადელ-ს მოსახლეობა ბარბალეს შესთხოვდა სოფლისათვის ახალი მოსავალი უხვად მიეცა და ყოველ საქმეში გამარჯვება მიენიჭებინა. საყურადღებოა, რომ მისი სარბი მიშლადელ-ის რიტუალი — თოვლის კომპის აგება, მის წინ ლოცვის შესრულება და გარშემო ცეკვა-თამაში და გალობა — საოცრად მიაგავს (თითქმის სავსებით ემთხვევა) რიტუალს ზემო-სვანეთში ფართოდ გავრცელებული ყველიერის კვირის დღეობებისას, რომლებიც მიწისმოქმედების უზენაეს ქალ-ღვთაების ლამპრია-ს სახელზე სრულდებოდა ხოლმე. ბარბალეს მსახურების ელემენტების ამგვარი მსგავსება აგრარული კულტის ამსახველი დღეობის რიტუალთან და ამ ღვთაებისადმი მიმართული ვედრების შინაარსი ბაობალეს წარმოგვიდგენს როგორც ლამპრია-ს ფუნქციების თანაზიარ ღვთაებას. ყოველ შემთხვევაში უშუალოდ რწმენა-წარმოდგენებისა და დღეობის წესჩვეულებათა მიხედვით ბარბალე მიწის ნაყოფიერება-მოსავლიანობის მფარველ ღვთაებადაც ისახება.

მას აგრეთვე, როგორც ჩანს, ვაჟიშვილების გამრავლების ფუნქციასაც მიაწერდნენ. ლიქტონჭი დღეობაზე ბარბალეს სწირავდნენ ლიქტონჭი ლემზირ-ებს და ვაჟიშვილების გამრავლებას შესთხოვდნენ. უნდა ითქვას, რომ სვანურ ღვთაებათა პანთეონში სპეციალურად ვაჟების გამრავლება გამრობითი სქესის ღმერთებს, კერძოდ და განსაკუთრებით ერთ-ერთ თწრინგზელ-ს (|| თწრგლეზერ) მიეწერებოდა. სვანური სარწმუნოებით რამდენიმე თწრინგზელ (|| თწრგლეზერ) არსებობდა — დიდი ღმერთის ვაზირი მგქემ თწრგლეზერ, ავიზნისაგან (ბგნაბ) მფარველი გაბრელ თწრგლეზერ, მთა-გადასავლებზე მცველი ლახუაშ ანუ თანლი თწრინგზელ და ვაჟიშვილების გამამრავლებელი მგხერი თწრგლეზერ. თწრგლეზერ || თწრინგზელ-ების, განსაკუთრებით მგქემ და მგხერი თწრინგზელ-ის, სახელზე შვიდეულის დღეობა

ბიდან ორშაბათი იყო განკუთვნილი. დღეობა ლიქონქი-ც ხომ ორშაბათობით მოდიოდა და ვაჟიშვილების სახელზე იყო შეწირული. ამ ვითარების გათვალისწინება ვეიკარნახებს დავსუათ საკითხი: ხომ არ არის აღრეული დღეობა ლიქონქი-ში ღვთაებათა ფუნქციები და ბარბალესადმი თწრინგზელ-ის ფუნქცია მიწერილი. მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ ბარბალე, როგორც ბალსქვემოური სათანადო მასალების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, ნაყოფიერების ქალ-ღვთაება იყო და, ცხადია, ნაყოფიერების ქალ-ღვთაებისათვის ხალხს შეეძლო ვაჟიშვილების გამრავლების ძალაც მიეკუთვნებინა. ყოველ შემთხვევაში სპეციალურად ვაჟიშვილების გამრავლება სვანური ბარბალესათვის ვგონებ არასოდეს არ უნდა ყოფილიყო ძირითადი ფუნქცია.

გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბარბალეს როგორც საზოგადოდ ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაებას. ის ანაყოფიერებდა და ამრავლებდა როგორც საქონელს, ისე ადამიანს, მცენარეულს და სხვათა. ზემოროყვანილ მასალებს გარდა, ბარბალეს ეს ფუნქცია აშკარად მოწმდება უშგულური დღეობა ლიქურაშ-ის მაგალითზე. ღვთაება ბარბალ-ის სახელზე განკუთვნილ ამ დღეობაში მოცემულია მეცნიერული თვალსაზრისით ისეთი უძვირფასესი გადმონაშთები, როგორიცაა ბამბლუ (||ბრმბლა) და ლიქსჭი. ჩვენ აქ ვერ გამოვეკიდებით ამ გადმონაშთების დეტალურ განხილვას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ბამბლუ-ს რიტუალი ფაღლიურია, ადამიანის, საქონლისა და მცენარეულის გამრავლებისათვის განკუთვნილი. რაც შეეხება ლიქსჭი-ს (||ჭაჭილჭრ), იგი სრულდებოდა ლიქურაშ-ის გარდა ერთ-ერთ უდიდეს ზემოსვანურ გაზაფხულის დღეობა ლიმპწრიელ-ს (||ბ.-ქვ. ლიჩედურალ) და ქორწილის დროს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიქსჭი ქორწინების ერთ-ერთ უძველესი ფორმის რიტუალს წარმოადგენს.

ამასთანავე აღსანიშნავია რომ, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ისე ლიქსჭი-ს მაგალითზე ჩვენ ვამოწმებთ ბარბალეს შეხვედრას ლამარიასთან: უშგულში თუ ლიქსჭი ბარბალეს სახელობის დღეობა ლიქურაშ-ში იყო მოცემული, სხვა თემებში მას ლამარია-ს სახელზე ასრულებდნენ<sup>1</sup>. ამგვარი შეხვედრები, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ამ ღვთაებათა ბუნების საერთო ნაყოფიერების თვისებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 54-56.

ბარბაღეს თაყვანისცემის ამსახველი გარკვეული რიგის სვანური მასალის განხილვას ამით ვამთავრებთ და გადავდივართ დანარჩენ ქართველი მოსახლეობის შესაბამისი პარალელების მიმოხილვაზე.

### 3. ბარბაღე დანარჩენ ქართველ ტომთა ბარბაღობის მიხედვით

უნდა ითქვას, რომ სხვა ქართველ ტომებში გავრცელებული ბარბაღეს კულტის შესახები ცნობები დაბეჭდილ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ნაკლებად მოიპოვება და ამიტომ შედარებითი ანალიზის ფართოდ გაშლა შეუძლებელია. მცირე მასალა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია როგორც ლიტერატურიდან, ისე ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაკულ ხელნაწერებიდან და პირადად მიღებულ ზეპირგადმოცემებიდან, უმთავრესად დღეობა ბარბაღობას შეეხება და ისიც მხოლოდ რამდენიღე კუთხისას. ამასთანავე ამ დღეობის აღწერილობები ნაკლებეანია, მათ არ ახლავს ვარიანტები და სხვ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ მასალის განხილვაზე საგანგებოდ ვჩერდებით იმიტომ, რომ ბარბაღეს სახელთან დაკავშირებული დღეობები, კერძოდ ბარბაღობა, ღვთაება ბარბაღეს ბუნებისა და ფუნქციების გარკვევისათვის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

სვანების მსგავსად, მეგრელებს ბარბაღობას მეკვლეს (კუჩხა, ანუ მაკუჩხური-ს) არჩევა სკოდნიათ<sup>1</sup>.

ბარბაღობას იმერლებსაც სკოდნიათ მეკვლეობა, რომელსაც ისინი ფერხობას და აგრეთვე ქათმის ლოცვა-ს უწოდებდნენ<sup>2</sup>.

გურიაში შობა-ახალწლისათვის ქათმებისა და ღორების გასუქება იცოდნენ. სასუქში მათი ჩასმა ბარბაღობას ხდებოდა. ამას გარდა, ბარბაღობას გურულ ბმა ფეხადობა ანუ ქათმის ფერხვა იცოდნენ: მოიწვევდნენ „კაი ფეხის“ მეზობელს და სახლში ღომის ან სიმინდის მარცვლებსა და სურო-კურკანტელს მოაყრევინებდნენ. ხალხს ღრმად სწამდა, რომ „თუ კაი ფეხის კაცმა, გინდა ქალმა ვიფერხა ქათამი ბარბაღობას, იმ წელიწადს ყოლიფერი კაი და ბევრი იქნება შენსასო“. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ გურულებს ბარბაღე შინაური ფრინველების გამამრავლებელ უხენაეს არსებად ჰყოლიათ წარმოდგენილი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> И. Т. Кобалия, Из мифической Колхиды, СМОМПК, вып. XXXII, отд. III, стр. 111.

<sup>2</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმთა, 1912, გვ. 3, სიტყვასთან: ბარბაღობა.

<sup>3</sup> ი. მეგრელიძე, გურულ დღეობათა კალენდარი (ხელნაწერი). ამ მასლით სარგებლობისათვის ი. მეგრელიძეს მადლობას მოვასხენებ.



ბარბალობას მეკვლეობა რაჭაშიც სცოდნიათ. ე. წ. კლოვიარე-ს დღეობის წინა ღამეს ირჩევდნენ და ის ოჯახს მიუკვლევდა როგორც ბარბალობას, ისე ახალწელიწადს. რაჭულ ბარბალობის რიტუალში თავს იჩენს საყურადღებო მომენტი, რომელიც დამახასიათებელია აგრეთვე იმერულ, გურულ, ლეჩხუმურ და ქართლურ ბარბალობისთვისაც. ეს მომენტია შინაური ფრინველების გამრავლებისათვის მიძღვნილი მეკვლეობა. ამასთან ერთად რაჭულ მეკვლეობის წესჩვეულებაში, ოფიციალურ კლოვიარე-ს ანუ მკლოვიარე-ს გარდა, უკანასკნელის მოვალეობას სპეციალურად ოჯახის უფროსი ქალიც ასრულებდა. დღეობია აღწერილობაში ამის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „ბარბალობას ოჯახის უფროსი ქალი ადგება ყველაზე ადრე, დაანთებს ცეცხლს, შემდეგ გავა გარეთ და საბძლიდან კალთით შინ შეიტანს ბზეს, რომელსაც სახლში შესვლისთანავე ხელით მიმოაბნევს სოხანებზე და თან იძახის: „ჩიე, ჩიე, ჩიე, ვარია და ყვინჩილე, ვარია და ყვინჩილე“. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ ლოგინიდან წამოდგომა ოჯახის დანარჩენ წევრებს“<sup>1</sup>. სავსებით აშკარაა, რომ ეს წესჩვეულება წარმოადგენს მეკვლეობას, რომელიც შინაურ ფრინველთა გამრავლებისათვის იყო განკუთვნილი.

იმერული ქათმის ფერხვის ანუ მეფერხეობის რიტუალი სრულიად თავისებური იყო. მას გარეშე მეკვლისა ან სახლის უფროსი მანდილოსნის ნაცვლად ბავშვები ასრულებდნენ. მიზანდასახულობის მხრივ ისიც შინური ფრინველების გამრავლებას ემსახურებოდა. ლიტერატურაში არსებული აღწერილობის მიხედვით იმერული ფერხობა (|| მეფერხეობა) შემდეგი სახისა ყოფილა: „მწარე კვახს (გოგრას) მოხაპავენ თავს, ჩაყრიან შიგ ღომის ჩხოს (გაუცეხველ ღომს) და დაამხობენ გოდორს, ან საბუღარს; გოდორზე დადგება ერთი ბავშვი, დაიწყებს წაღმა ტრიალს და კრუსუნს; ბავშვს ხელში უჭირავს ქათმის კვერცხი; გოდორის წინ გდია მიწაზე ღომის ჩხოიანი კვახი, გოდორს გარშემო უვლიან ბავშვები, რომლებიც „ჭუჭულებივით წიაქობენ“ (წიწილებივით წივიან). ბავშვი სამჯერ მოტრიალდება გოდორზე, მერე გაიმართება წელში და იტყვის: „ღმერთო, ასე გაამრავლე ჩვენსას ჭუჭულები და ქათმები“. ამის თქმა და გოდორიდან გადმოხტომა ერთია; დაჰკრავს ფეხს კვახს და

<sup>1</sup> ფ. გარდაფხაძე, რაჭული დღეობები (ხელნაწერი), დაცულია ენიმკი-ის ეთნოგრ. განყ-ის არქივში.



ლომის ჩხო აქეთ-იქით გაიფანტება. მაგრამ თუ ბავშვმა კვახს ფეხი დააცილა, ძლიერ გაუჯავრდებიან“ და სხვა<sup>1</sup>.

ბარბაღობას შეკვლეობა, როგორც აღვნიშნეთ, ქართლშიც იყო გავრცელებული და იქაც იგი შინაური ფრინველების გამრავლებისათვის იყო განკუთვნილი. ქართლები ბარბაღობას დილით ტახტზე ქერის ან სიმინდის მარცვალს მრავლად დაჰყრიდნენ, მოსულ მეკვლეს ზედ დააბრძანებდნენ, ფეხებს მოაკეციებდნენ და თან დასძახებდნენ:—მეკვლევე, კარგად მოიკეცე, რომ წრეულს კრუხებმა კარგად გამოსჩიკონ და წიწილები ბლომად მოგვცენო. ამ დღეს ნაბადმოსხმულ კაცს შინ არ შეუშვებდნენ—ბარბაღობას ნაბდიანი კაცის სახლში შესვლამ „მოფუხული“ წიწილები იცისო<sup>2</sup>.

უკანასკნელად შევიჩრდებით ლეჩხუმლების მეკვლეობასა და ბარბაღობაზე. ბარბაღობას დილით აღრიანად საახალწლო მკლოვი არე-ს მიიწვევდნენ, სადილზე დატოვებდნენ, ლობიოსგულიანი ტაბლებით გაუმასპინძლებოდნენ და ისე გაისტუმრებდნენ. თუ ეს მკლოვი არე „კარგი ფეხისა“ გამოდგებოდა, ოჯახში წლის განმავლობაში ადამიანის სული არ დააკლებოდათ, გოჭ-ქათამი გაუმრავლდებოდათ და საერთოდ ოჯახი ბარაჭიანად იქნებოდა, — მაშინ მკლოვი არე-დ მომავალ წლებში ისევ ის პირი დარჩებოდა. ზოგმა მოსახლემ გარეშე მკლოვი არე-ს მოწვევა სულაც არ იცოდა. ასეთი ოჯახები შინაურებში აირჩევდნენ „კაი ფეხის მქონე“ პირს და მას ბარბაღობის წინა ღამეს საბძელში, ან სხვა ბურულში დააწვენდნენ იმისათვის, რომ ბარბაღობას დილით ოჯახისათვის მას გარედან მიეკვლია. ჩვეულებრივ ბარბაღობის და ახალწლის მეკვლე ერთიდაიგივე პირი იყო ხოლმე.

ბარბაღობას საღამოს ვახშმისათვის უფროსი მანდილოსანი გამოაცხოებდა სამ ცალ ლობიოსგულიან ან ნიგვზისგულიან ზედაპირიდან „ჯვარდასახულ“ ტაბლას, რომლებსაც სართვი ტაბლები ანუ საბარბაღო ტაბლები ეწოდებოდა. ხალხის რწმენით,

<sup>1</sup> დ. ავალიანი, ს. ქვიტირი, აკაკის თვითური კრებული, 1899, № 17, განყ. II, გვ. 12-13. ავტორი ამ მეფერხეობას მხოლოდ ახალწლის მეორე დღისათვის ასახელებს. მაგრამ ნეორე ლიტერატურული წყარო მიუთითებს, რომ მას ბარბაღობა დღესაც ასრულებდნენო. იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, გვ. 3 და 44, სიტყვებთან: ბარბაღობა, ფერხობა.

<sup>2</sup> ქართლური ბარბაღობის შესახები ცნობები გორის რაიონის სოფელ საქაშეთის მცხოვრებმა 68 წლის პელო ბრეგვაძემ მოგვაწოდა.

ბარბალობას უსართვო ანუ უგულო ტაბლების გამოცხოვრებამ მთელი წლის განმავლობაში ოჯახის სიცარიელე იცისო. გამომცხვარ საბარბალო ტაბლებს და კეცზე დაყრილსა და საკმევლით მოკმეულ ნაკვერჩხალს ოჯახის უფროსი მანდილოსანი პატარა სუფრაზე მოათავსებდა, შემდეგ ცალ ხელში ამ სუფრას და მეორეში ღვინით სავსე ჭიქას დაიჭერდა და კერის პირად მათ ერთჯერ ან სამჯერ წაღმა შეატრიალებდა და თან ასე ილოცავდა: „ღმერთო, გაგვიკეთე ნათეს-ნამუშევარი, გვამყოფე ტანთელად, გულმხიარულად. ღმერთი იყო, რაც ძალა იყო, გვიშველე, ნუ წაგვახდენ, ნუ დაგვამშვევ, ნათეს-ნამუშევარს ნუ წაგვიხდენო“. შეწირულ საბარბალო ტაბლებს ოჯახის წევრთა შორის დაანაწილებდნენ და თავ-თავის წილს ყველა შეექცეოდა; ამ საბარბალო ტაბლები-ს ჭამით იწყებოდა ვახშამი<sup>1</sup>.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა კუთხის ბარბალობის რიტუალის ის ნაწილი, რომელიც ზემოგანხილული სვანური მასალის რიგს მიეკუთვნება. მოყვანილი მასალიდან ლეჩხუმური ბარბალობა ყველაზე ახლო დგას სვანურთან, მათში (სვანურსა და ლეჩხუმურ მასალებში) ასახული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით.

ლეჩხუმური ბარბალობა აგრარული კულტის შემცველი დღეობაა. ამას პირველ რიგში ოჯახის უფროსი ქალის ლოცვის შინაარსი ამტკიცებს. ის სართვიანი საბარბალო ტაბლები-თა და სხვა შესაწირავებით ხელში კერის პირად მიწის მოსავლისათვის და ამ მოსავალთან დაკავშირებით ადამიანთა კეთილდღეობისათვის ლოცულობს, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად სართვიანი ტაბლები ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენს. ამაზე თვით ლეჩხუმელი მორწმუნე მოსახლეც კი მიუთითებს: ბარბალობას უსართვო ანუ გულცარიელი ტაბლების გამოცხოვრებამ მთელი წლის განმავლობაში ოჯახის სიცარიელე იცისო. ამგვარად, ბარბალოს კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი სვანური დღეობის მსგავსად, ლეჩხუმური ბარბალობაც მიწის მოსავლიანობის დასაბეველად და ადამიანთა კეთილდღეობისათვის, ყოფილა განკუთვნილი.

მაგრამ ლეჩხუმურ ბარბალობაში ღვთაება ბარბალოს ნაცვლად რომელიღაც ღმერთი თუ ძალაა დასახელებული („ღმერთი იყო, რაც ძალა იყო“). ლეჩხუმელი მანდილოსანი ამ ზოგადად დასახელებულ ღვთაებას მიმართავს ლოცვა-ვედრებით და შესაწირავებს მიუძღვნის. მისი რწმენით, ამ ღვთაებას ნათეს-ნამუშევრისა და ადამიანის გაკე-

<sup>1</sup> ფ. გარდაფხაძე, ლეჩხუმური დღეობები (ხელნაწერი), დაცულია ვნიშკი-ს ვთნოგრაფ. განყ-ის არქივში.

თემაც შეუძლია და წახდენაც. ღვთაების ამგვარი ფუნქცია მეტად მიაგავს ბარბაღეს ფუნქციას, რომელიც ჩვენ უშგულურ დღეობებში (ლიმდტნარი, მეისარბი მიშლადეღ) დავამოწმეთ. საზოგადოდ, სვანური სარწმუნოების მიხედვით, ბარბაღე, როგორც ალენიშნეთ, აგრარული მეურნეობის ღვთაებადაც ისახება. ლეჩხუმურ დღეობაში დასახელებული ღმერთიც აგრარული მეურნეობის ავ-კარგიანობის უზენაესი გამგებელია. მას ისეთივე შინაარსის ლოცვით მიმართავს ლეჩხუმელი მანდილოსანი, როგორითაც სვანები ღვთაება ბარბაღეს მიმართავდნენ, მაგალითად, დღეობა ლიმდტნარი-ს (ახალი მოსავალი მოგვანიჭეო), ან მეისარბი მიშლადეღ-ს (მოსავლის სიუხვე და ყოველ საქმეში გამარჯვება მოგვეციო). ამასთანავე, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ: რომ 1) ზოგადი სახელით წოდებული ღვთაება მოცემულია ბარბაღეს სახელობის დღეობაში და 2) ამ დღეობის რიტუალის ძირითადი ელემენტები (ლოცვა-ვედრება, შესაწირავები და სხვა), პარალელური მასალების მიხედვით, ბარბაღეს სახელზეა განკუთვნილი—მაშინ ცხადი გახდება, რომ ლეჩხუმურ ბარბაღეობაშიც ზოგადი სახელწოდებით ღვთაება ბარბაღე უნდა იგულისხმებოდეს. ამგვარად (სვანების მსგავსად) ლეჩხუმელების რწმენა-წარმოდგენებისა და დღეობის რიტუალის მიხედვითაც ბარბაღე აგრარული მეურნეობის ღვთაება ყოფილა.

ბარბაღეობის დანარჩენი ვარიანტები თუმცა ბარბაღეს ასახავს, როგორც საზოგადოდ ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაებას, მაგრამ ამასთან ერთად გამოავლენს სვანურისა და ლეჩხუმურის განსხვავებულ მის კონკრეტულ ფუნქციებსაც. ეს ვარიანტები, მოცემული აღწერილობის თანახმად, მეკვლეობას შეიცავს. ამთგან რაჭველი დიასახლისების მეკვლეობა „ვარიას და ყვინჩილეს“ გამრავლების მიზნით სრულდებოდა, გურულების ქათმის ფერხვა უმთავრესად წათრების მოშენებისათვის იყო განკუთვნილი, იმერელი და ქართლელი მეკვლეები კრუხ-წიწილების მოშენების საქმეს ემსახურებოდნენ. აქედან ცხადია, რომ ბარბაღეობა შინაური ფრინველების მოშენების საქმესთან ყოფილა დაკავშირებული და მის წესჩვეულებათა დანიშნულებას შინაური ფრინველების გამრავლება წარმოადგენდა.

ბარბაღეობის მეკვლეობის არც ერთს ვარიანტში ბარბაღეს სახელი მოცემული არ არის. უფრო მეტიც: გურულ, რაჭულ და ქართლურ მეკვლეობაში არც ერთი ღვთაება თუ წმინდანი არ იხსენიება საზოგადოდ. მაგრამ რამდენადაც ბარბაღეობის ძირითადი წესჩვეულებები ბარბაღეს სახელზე იყო განკუთვნილი, იმდენად ზემოაღნიშ-

ნული მეკვლეობის წესჩვეულებებიც ბარბალეს სახელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. გურულების რწმენის საფუძველზე უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ეს წესჩვეულებები ბარბალეს ახალ ფუნქციას გამოავლენს. როგორც სათანადო ადგილზე ითქვა, გურულებს სწამდათ, რომ ბარბალე შინაური ფრინველის მომშენებელი უზენაესი არსებაა, ამ რწმენასთან დაკავშირებით გურულები ბარბალობას ქათმებს და ღორებს სასუქში სვამდნენ და ქათმის ფერხობას აწყობდნენ. ცხადია, რომ დანარჩენ ქართველ მოსახლეობაშიც, რომელთა ბარბალობა გურულების ქათმის ფერხვის მსგავს მეკვლეობას შეიცავდა, ბარბალე შინაური ფრინველების გამამრავლებელ ღვთაებად თუ წმინდანად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ამ რწმენის საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული ბარბალობის მეკვლეობა არა მხოლოდ გურულებში, არამედ იმერელ, რაჭველ და ქართლელ მოსახლეობაშიც.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ქართველ ტომებში ბარბალესათვის შესაწირავი ფრინველი ქათმის დედლისა და მამლის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ქართლ-კახეთში ბარბალეს თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ და სახადით დასნეულებულის განკურნებისათვის (რაც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ბარბალეს ფუნქციას შეადგენდა) მამლის შწირვას ალუთქვამდნენ და ცოცხალ მამლებს მის სახელობის ეკლესიებთან უწვებდნენ. იმერეთში სახადით დაავადებულს თავზე მამალს შემოავრებდნენ, შემდეგ მას თავს, ფრთებს და ფეხებს წითლად შეუღებავდნენ და ბარბალეს შვილებად მიჩნეულ „ბატონების“ სახელზე გაუშვებდნენ<sup>1</sup>. რაჭაში და აგრეთვე იმერეთში წითელათი ან „ყვავილ-ბატონებით“ დასნეულებულს ქათმის დედალს მიუყვანდნენ, რომელსაც წინასწარ წითლად შეღებავდნენ და წითელი ნაჭრებით შეამკობდნენ (ამ ნაჭრებს კისერზე, ფრთებზე, გულზე და ფეხებზე აბამდნენ)<sup>2</sup>. ბარბალესთან და „ბატონებთან“ დაკავშირებით შინაური ფრინველის შეწირვის საყურადღებო რიტუალი სრულდებოდა რაჭა-სა, ლეჩხუმსა და საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგრამ მათ ჩვენ ვიხილავთ სხვა ნაშრომში, რომელიც ბარბალეს და „ბატონების“ კულტის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ეხება.

სვანეთში ბარბალობის მეკვლეობა მხოლოდ ერთგან (კალაში) იქნა დამოწმებული. კაცს შეეძლო ეფიქრა, რომ ახალწლის ეს განუ-

<sup>1</sup> М. Сагаралдзе, Обычай и верования в Имеретии, СМОМПК вып. 26, отд. III, გვ. 13.

<sup>2</sup> ცნობა მომავლად რაჭაში აღზრდილმა და იმერეთში გათხოვილმა 70 წლის ვალ. ქრისტ. ქავთარაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვანხენებ.



ყრელი ატრიბუტი ბარბალობაში შემთხვევით მოხვდა. მაგრამ, როგორც გამოირკვა, მეკვლეობა წარმოადგენს ბარბალობის (ისევე როგორც ახალწლის) წესჩვეულებათა ორგანულ ნაწილს, რომელიც ქართველი მოსახლეობის ყველა კუთხის დღემდე ჩვენთვის ცნობილ ბარბალობაშია დამოწმებული.

ქართველთა ბარბალობის მეკვლეობის ძირითად დანიშნულებას საზოგადოდ ნაყოფიერებისა და გამრავლების მინიჭება წარმოადგენს. მაგრამ ამასთან ერთად სხვადასხვა კუთხის ბარბალობის მეკვლეობას განსხვავებული კონკრეტული მიზანდასახულებაც ახასიათებს, რის გამო მეკვლეობაში მოცემული მოქმედებაც სხვადასხვაგვარია. სვანური ბარბალობის მეკვლეობა დაკავშირებულია მსხვილფეხა საქონლის და ადამიანის გამრავლებასთან, ლეჩხუმური ბარბალობის რიტუალი (მეკვლეობითურთ) აგრარულ კულტს ასახავს, ხოლო დანარჩენი კუთხეების აღწერილი ბარბალობის მეკვლეობა უმთავრესად შინაური ფრინველების გამრავლებას ემსახურება.

მეკვლეობის წესჩვეულებანი მეტად საგულისხმიერო ეთნოგრაფიულ გადმონაშთს წარმოადგენს. მათგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რაჭული, გურული, იმერული და ქართლური ბარბალობის მეკვლეობა და ამიტომ ჩვენ მათ განხილვაზე შევჩერდებით. გურული მეკვლეობის აღწერილობა ნაკლებევაანია. ამ დანაკლისს რაჭული მეკვლეობა ავსებს. გურული ბარბალობის მეკვლეობის მიხედვით, მეკვლე მხოლოდ ღომის თუ სიმინდის მარცვლეულს და სურო-კურკანტელს მიმოაბნევს, თითქოს უსიტყვოდ. მაგრამ ანალოგიური რაჭული მეკვლეობის შინაარსიდან ჩანს, რომ ამ მოქმედების დროს მეკვლეს შინაური ფრინველების გამრავლებისათვის განკუთვნილი სიტყვიერი ფორმულები უნდა დაეტანებინა.

ბარბალობას დილით რაჭველ მანდილოსანს საბძლიდან შინ ბზე შეაქვს, სოხანე-ზე აბნევს და თან გაიძახის—„ჩიე, ჩიე, ჩიე, ვარია და ყვინჩილე, ვარია და ყვინჩილე“. ამავე დროს ქართლელი მეკვლე ქერის ან სიმინდის მარცვლებზე ჯდება და მუხლებს კარგად მოიკეცავს — კრუხი წიწილებს კარგად გამოჩეკავსო. ქართლელები ბარბალობას ნაბდიან კაცს სახლში არ უშვებენ — „მოფუხული“ წიწილები გვეყოლებაო. იმერლების ქათმის ლოცვის ანუ ფერხობა || მეფერხობის მიხედვით, ერთ ბავშვს ხელში ქათმის კვერცი უჭირავს, პირქვედამხობილ გოდორზე ტრიალებს და კრუსუნებს; შემდეგ გოდრიდან გადმოხტება, მოხაპულ კვახს ეყვს დაარტყამს და მასში მოთავსებულ ღომის ჩხოს მიმოაბნევს; ხოლო სხვა ბავშვები ამ დროს გოდრის გარშემო „ჭუჭულებივით წიაქობენ“.



ამ მოქმედებათა აზრი დღეს აღარავის ესმის. ხალხი მეკვლეობას ასრულებს გარკვეული მიზნით — საქონლის, მიწის მოსავლის, შინაური ფრინველების გამრავლებისათვის, ოჯახის ბარაქისათვის თუ სხვ., — მაგრამ რატომ ამგვარად მოქმედობს და არა სხვანაირად, ამგვარი მოქმედება რატომ ნაყოფიერებისა და გამრავლების საწინდარია, მან არ იცის. მეკვლეობა სრულდება სავსებით მექანიკურად, როგორც მძლავრი ტრადიციის გადმონაშთი.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მრავალი პარალელური მასალის საფუძველზე შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ ბარბალობის მეკვლეობა სიმპათიური მაგიის აშკარა გამოსახულებას წარმოადგენს. გურული და რაჭველი მანდილოსანი საკენკის დაყრით და სიტყვიერი ფორმულით („ვარია და ყვინჩილე“) ქვეცნობიერად ლამობს შინაური ფრინველების გამრავლება გამოიწვიოს. ქართლელი მეკვლე და იმერელი მეკვლე-ბავშვები კრუხისა და წიწილების მსგავს მოქმედებას ამყდავენებენ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელების მსგავსივე მოქმედება გამოიწვიონ, ე. ი. მიმბაძველობითი მაგიის საშუალებით ქათმები ააკრუხონ, კრუხებს წიწილები კარგად გამოაჩეკინონ და წიწილები გაამრავლონ. ნაბდიანი კაცი ფრთებდაშვებულ ანუ „მოფუხულ“ წიწილას ემსგავსება; ამიტომ ბარბალობას ნაბდიანი კაცის სახლში შესვლას წუძლია შინაური ფრინველებზე სიმპათიური ზეგავლენის მოხდენა და ამით მოსახლის ოჯახში „მოფუხული“ წიწილების გაჩენა.

ამგვარად, ბარბალობის მეკვლეობის სახით სიმპათიური მაგიის გადმონაშთებია მოცემული. მაგრამ ჩვენებური ბარბალობის მეკვლეობას მეორე დამახასიათებელი მხარეც მოეპოვება. სახელდობრ ის, რომ ბარბალობის მეკვლეობაში მაგია რელიგიურ მოქმედებასთან არის შერწყმული. ზემოთ უკვე გარკვეული იყო, რომ ეს მეკვლეობა დაკავშირებულია ღვთაება ბარბალეს კულტთან. ამიტომ წარმოუდგენელიც კია, რომ ბარბალობაზე მაგიური მოქმედების (მეკვლეობის) დროს ღვთაება ბარბალესათვის არ მიემართათ თხოვნით ისევე, როგორც XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იმერელი მეკვლე-ბავშვი ბარბალეს ნაცვლად ზოგადი სახელით მოხსენებულ ღმერთს შესთხოვს „ასე გაამრავლე ჩვენსას ჭუჭულები და ქათმებიო“.

როგორც ცნობილია, სიმპათიური მაგია კაცობრიობის აზროვნების უძველესი საფეხურიდან წარმომდინარეობს. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბარბალობის მეკვლეობაში რელიგიური ელემენტი დამხმარე როლს თამაშობს. მასში ძირითადი მოქმედება

მაგიურია. ამავე დროს ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეკვლეობა, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ბარბალობის წესჩვეულებათა ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რამდენადაც იგი ყველა კუთხის ქართველების ბარბალობაშია მოცემული. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ცხადია, რომ მაგიური გადმონაშთების დადგენა ჩვენებურ ბარბალობაში ამ დღეობის საკმაოდ დიდ აკაულობაზე მიუთითებს.

დაბოლოს, ბარბალეს კულტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, რომელიც ჩვენ დავამოწმეთ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელებში. მათს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არც დღეობა ბარბალობა და არც ბარბალე, როგორც ღვთაებისა თუ წმინდანის სახელი, აღარ არსებობს. ამ კუთხეს ბარბალეს კულტის გადმონაშთები სხვა სახელწოდებითა და ამ კულტის ცალკეული ელემენტის სახით შემოუნახავს. მაგალითად, ივრის ხეობის ფშაველებში ამ კულტს ასახავს ე. წ. „ფურების ხატი“ (რომელიც მოთავსებულია თიანეთის რ., სოფ. ეებოტაში). ამ ხატს მსხვილფეხა საქონლის, განსაკუთრებით ძროხის განაყოფიერება-გამრავლებას და წველის ბარაქიანობას ევედრებოდნენ. „ფურების ხატში“ შესვლა მამაკაცებს აღკვეთილი ჰქონდათ. ხატის ქურუმები („კევის-ბერები“) მხოლოდდამხოლოდ მანდილოსნები იყვნენ<sup>1</sup>. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სახელწოდებით მოცემული ბარბალეს კულტი თუშ-ფშავ-ხევსურებსა, მოხევეებსა და მთიულეებში უმთავრესად მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული და სხვადასხვა სახელწოდებით ასახულ ბარბალეს განსაკუთრებით მდებრობითი სქესის საქონლისა და ქლების გამრავლება და მფარველობა მიეწერებოდა<sup>2</sup>.

აწვევარად, ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ზემომოყვანილი მასალები შემდეგ სურათს იძლევა: ყველგან ქართველ ტომებში ბარბალე წარმოდგენილია როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება (თუ წმინდანი—ქრისტიანული ზეგავლენით). ამასთანავე მთიან მოსახლეობაში—სვანებსა, ლეჩხუმლებსა, თუშ-ფშავ-ხევსურებსა, მოხევეებსა და მთიულეებში—ბარბალეს უმთავრესად მესაქონლეობის და ნაწილობრივ (სვანებში, ლეჩხუმლებში) მიწისმოქმედების ღვთაებად მიიჩნევენ; ბალსქვემოურ სვანებს და აღმოსავლეთ საქართვე-

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI.

<sup>2</sup> თუ არ ვცდებით, სპეციალურ ლიტერატურაში არ უნდა იყოს დამოწმებული არც ერთ ხალხში წმ. ბარბარას სახელთან დაკავშირებული მესაქონლეობის კულტი და ისიც ისეთ მძლავრ ფორმებში, როგორც იგი ქართველ ტომებშია მოცემული.

ლოს მთიელებს ის განსაკუთრებით მდიდრობითი სქესის საქონლისა, ქალების და საერთოდ მდიდრობითი სქესის არსებათა ნაყოფიერებისა და გამრავლების ღმერთად წარმოდგენიათ. ხოლო ბარელ მოსახლეობის — ქართოელების, იმერლების, გურულების (თუმცა აგრეთვე რაჭველების) რწმენაში ბარბალე უმთავრესად შინაურ ფრინველთა გამამრავლებელი უზენაესი არსებაა.

## II. ასტრალური ბუნების ქალ-ღვთაება

მსხვილფეხა საქონლისა და შინაური ფრინველების უმაღლესი მფარველი და ამასთანავე უდიდესი აგრარული ქალ-ღვთაება ლამპროია-ს ფუნქციების თანაზიარი ბარბალე || ბარბოლე-ი ასტრალური ბუნების ღვთაება არის. როგორც ასტრალური ქალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებას ბარბალეს ასახავს არა მხოლოდ სვანების, არამედ თითქმის ყველა ქართველი ტომის სარწმუნოება და ნაირსახის რელიგიური წესჩვეულებები, რომელთაგან ჩვენ პირველ რიგში სათანადო ხალხური დღეობების განხილვაზე ვჩერდებით.

### 1. თვალთახედვასთან და გადაძვებ სნეულებებთან დაკავშირებული ბარბალეს ფუნქციები ბალსზემოურ ქვემოსვანური ბარბალობის მიხედვით

ზემოთ განხილული იყო ბალსქვემოურ ბარბალობის რიტუალისა და ამ დღეობასთან დაკავშირებული ბარბალეს შესახები რწმენა-წარმოდგენების მსგავსი გადმონაშთები ბალსზემოურ და ქვემოსვანურ ბარბალობაში. ამჟამად შევეხებით ამ უკანასკნელ კუთხეთა ბარბალობის ძირითად ელემენტებს და ბარბალეს შესახებ მათში დაცულ ხალხის რწმენა-წარმოდგენებს, რომლებიც საკმაოდ თავისებურია ბალსქვემოურთან შედარებით.

დღეობა ბარბალეშ-ის ( || ბარბალეშ-ის) რიტუალის მთავარი შემსრულებლები იყვნენ: სახლის უფროსი კაცი (ხოშა მარეანუ ქორე მახუში), სახლის უფროსი მანდილოსანი (ხოშა ზურალ, ან მერბიელ), ზოგ თემში (აღნიშნული პირების გარდა) სალოცავის მსახური (მოძგრ-ი, მულზონ-ი ან ჯალსტანი) და თვალის ტკივილით დასნეულებული ოჯახის წევრი. უშუალოდ ეს პირები სწირავდნენ სადღეობო შესაწირავებს და მორწმუნეთა სახელით ლოცვა-ვედრებას ასრულებდნენ.

სახლის უფროსი კაცი, უფროსი მანდილოსანი და სალოცავის მსახური რიტუალის გამძლო პირებად მრავალ სხვა დღეობაშიც ვამოდინოდნენ. ამიტომ ძნელია მხოლოდ იმ ფაქტის მიხედვით, რომ ისინი დღეობაზე წამყვან როლს თამაშობდნენ, ბარბალობის ზეცი-ფიკური აზრი და დანიშნულება მიკვლეული და გაშუქებულ იქნას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბარბალობასთან თვალის სწეულების განკურნების ფაქტის დაკავშირება. თვალის სწეულებით შეპყრობილი პირისათვის დიასახლისი ცალკე გამოაცხობდა სამ ცალ სადღეობო კვერს და ამ კვერებს ცალკე შესწირავდნენ. შეწირვის დროს ავადმყოფის განკურნებისა და თვალთა შუქის მინიჭებისათვის ლოცულობდნენ.

სადღეობო კვერების გამოსაცხობ ფჷვილის მარაგს მოსახლეობა ზაფხულში ამზადებდა. კალოობის დროს პურის საუკეთესო თავთავეებს გადაარჩევდნენ, ცალკე გალენწავდნენ, დაფქვავდნენ და კიდობანში შეინახავდნენ. ამ ფქვილს ბ ა რ ბ ლ ა შ ი გ უ ი ზ ეწოდებოდა. ხალხის რწმენით ბ ა რ ბ ლ ა შ ი გ უ ი ზ - ი წმინდა იყო. მას თვიურიანი და ახლად მოლოგინებული ქალი ახლო ვერ გაეკარებოდა, ვინაიდან ამ დროს ქალი უწმინდურად ითვლებოდა. ეს ფქვილი და მისგან გამომცხვარი ტაბლები უ წ შ ე ნ ა ( || ბ.-ქვ. უ წ ო ნ ა შ ) იყო.

როგორც ვიცით, ამ სახის ტაბუ (უ წ შ ე ნ ა || უ წ ო ნ ა შ ) ბალსქვემოურ ბარბალობაშიც მოწმდება. ბარბალობის გარდა იგი ზოგ სხვა დღეობასაც ახასიათებდა, ისევე როგორც ხორბლის (ან ფეტვის) ფჷვილია მარაგის წინასწარ დამზადება სხვა დღეობებისთვისაც ხდებოდა<sup>1</sup>. საყურადღებოა ის, რომ გ უ ი ზ - ები ( || ბ.-ქვ. ტ ა ბ ლ ა შ ) უმრავლეს შემთხვევაში ნაყოფიერების მნათობ ღვთაებათა დღეობებისათვის მზადდებოდა და მათი შეწირვა ამ ღვთაებათა სახელზე ხდებოდა.

დღეობა ბარბალობას ლოცვა-ვედრება და შესაწირავების მიძღვნა ზოგ თემში შუა ცეცხლთან, ზოგან სალოცავში, უმთავრესად კი სახლში ამომავალი მზის მხარეს, ან აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან სრულდებოდა.


უნდა ითქვას, რომ მზის მხარეს, ხოლო ზემო-სვანეთში სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მრავალი დღეობის, განსაკუთრებით საოჯახო დღეობების ძირითადი რიტუალი — ლოცვა და შესაწირავების მიტანა — იყო მიღებული. ზემო-სვანეთის მოსახლეობის რწმენაში სახლის ეს ნაწილი წმინდათა-წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი რწმენა და რიტუალის შესრულების წესი თავდაპირველად მზის თაყვანისცემის ნიადაგზე უნდა შემუშავებულიყო. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ყველგან დღეობა, რომელთა რიტუალი მზის მხარეს სრულ-

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღ. კალენდ. I, გვ. 15, შენ. 1.



დებოდა, მზის თაყვანისცემას შეიცავდა. მაგრამ ის ვითარება, რომ მსახურების ამგვარი წესი ახასიათებდა მრავალ ღღეობას, მათ შორის ისეთებსაც, რომელთაც უშუალო კავშირი მზის კულტთან არ ჰქონია, — ამტკიცებს ოდესღაც ამ კუთხის მოსახლეობაში მნათობი მზის მძლავრი კულტის არსებობას.

ხალხის რწმენით ბარბლაში დაწესებული იყო გადამღებ სნეულებათა („ცული ჭირის“ — ხოლა მაზიგ) და საზოგადო-ყოველგვარი ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ. ღღეობის შესაწირავები და ლოცვა-ვედრება აღამიანს და საქონელს ავი სენისაგან იცავსო, აღნიშნავდნენ მორწმუნე სვანები ჩვენი მუშაობის დროს სვანეთში. და მართლაც, განსაკუთრებით გადამღებ სნეულებათა აცილება, თვალის ტკივილისაგან განკურნება და თვალთა შუქის მინიჭება ბარბალობის ლოცვის ტექსტების მთავარ შინაარსს და ღღეობაზე შესაწირავების მიტანის მთავარ მიზანს შეადგენდა. ამ ღღეობის ძი-



სურ. 2. შესაწირავი კვერი „თერი ტაბლარ“, ლენტეხი.

რითადი დანიშნულება მაინცდამაინც დაავადებული თვალების განკურნება, თვალთა შუქის მინიჭება და „ავი ჭირისგან“ (ხოლა მაზიგ) დაცვა იყო. ამას გვაფიქრებინებს ღღეობაზე საგანგებო რიტუალის არსებობა თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ განკუთვნილი და ლოცვა-ვედრების ტექსტებში ყველაზე ხშირად ხოლა მაზიგ-ის („ცული ჭირის“) ხსენება.



შესაბამისად თავისებური იყო ბალსზემოჟურ-ქვემო სვანური ხალხური რწმენა-წარმოდგენები ღვთაება ბარბალეს შესახებ. მათი მიხედვით ღვთაება ბარბალ-ის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მკურნალობაა. ამიტომ მას სხვათა შორის ბარბალ კურნელ და ბარბალ ექიმს შებრუნებით მოიხსენიებდნენ. ბარბალ-ი განსაკუთრებით თვალის ტკივილისა და გადამდებ სნეულებათაგან დამცველ ღვთაებას წარმოადგენს. მის სახელზე სწირავდნენ სამარხვო გულიან ტაბლებს და „ცუდი ჭირისაგან“ დაცვას მას ევედრებოდნენ.

„ღმრბეთ, სი ლოგჷღეჩ ხოლა ზიგ ხენ, ხოლა მაზიგ კოგქაბგენ, ხოჩა ლუნთ ვჷაყრ, ლუფხჷ ოგჷაჰ შჷილობდ“.

— ღმერთო, შენ დაგვიცავი ცუდი ჭირისაგან, ცუდი ჭირი აგვაცილე, კარგი ზამთარი მოგვეცი, გაზაფხულს მოგვასწარი მშვიდობით, — ევედრებოდა მას ჩოლურელი ბარბალობა დღესნივეზიანი ტაბლებით ხელში<sup>1</sup>.

ლენტეხელი მანდილოსანი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ბარბალეს:

„ბარბალ კურნელ, სი ლოგჷღეშდ,... ოგქაბგენ ხოლა მაზიგ, ოგქაბგენ ხოლა თეჯ-აყბა,... ოვღეჩ ჩი მაზიგ ხენქა“.

— ბარბალე მკურნალო, შენ გვიშველე,... გვაშორე ცუდი ჭირი, გვაშორე ცუდი თვალ-ყბა,... დაგვიცავი ყოველ-გვარი ჭირისაგან<sup>2</sup>.

ენიშკი-ს მეცნ. თანამშ. არსენ ონიანისაგან ბოლო ხანს მიღებული ცნობის თანახმად, ქვემო-სვანეთში „თვალის ტკივილის ღმერთად და მკურნალად ბარბალე მიაჩნდათ და ვედრებითაც მას მიმართავდნენ ხოლმეო“. ბარბალობას ლენტეხში ერთმანეთზე გადაბმულ ორ მრგვალ კვერს (სურ. 2), ხოლო ლაშხეთში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მრგვალ წყვილ კვერს (სურ. 3) ბარბალეს სწირავდნენ და თან შესთხოვდნენ თვალის სინათლე არ მოგვაკლოო. ამ კვერების შეწირვა სახლში მზის მხარეს სრულდებოდა და მისი შემსრულებელი სახლის უფროსი მანდილოსანი იყო. განსაკუთრებით საგულისხმეოა ის, რომ ამ ლოცვისა და შესაწირავების მიძღვნის დროს ოჯახის ყველა წევრს, შემწირველს გარდა, თვალები დახუჭული ჰქონია<sup>3</sup>.


ბალს-ზემოთაც ბარბალ ექიმს შ-ი განსაკუთრებით თვალის

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღ. კალენდ. I, გვ. 19. ამჟამად სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით ყველგან ლოცვებში მოცემულ სიტყვებს: ზიგ, მაზიგ, ხოლა ზიგ, ხოლა მაზიგ.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

<sup>3</sup> ამ ცნობების მოწოდებისათვის ა. ონიანს დიდ მადლობას მოვასხენებ-

ტკივილისაგან დამცველ ღვთაებად მიაჩნდათ. თვალის ტკივილით დაავადებული პირი ან იმ სახლის მანდილოსანი, სადაც ასეთი ავადმყოფი იყო, ბარბალეს სამ კვერს შესწირავდა და თვალის ტკივილისაგან განკურნებაზე ლოცულობდა.



სურ. 3. შესაწირავი წყვილი კვერი „თური ტაბლარ“, ლაშხეთი.

ამავე დროს ბარბალე თვალის სინათლის მიმნიჭებელ ღმერთადაც ითვლებოდა. ბარბალობაზე ღამისთევის დროს მულახელი მანდილოსანი შემდეგი ლოცვით მიმართავდა ბარბალეს:

„დიდებ ზჯენდ ბარბალ ქტიშაშ<sup>1</sup>, მდილ ჯერი, ლახემდ ნიშგტე ქორაშ კუმაშ ი მარა, ლახო გტიმი ნახორული, თემი ნარჰი; ნიშგტე ქორაშ მერდა მარემიშ ი კუმშიშ თემიშ მასტუნა ი ტანიშ მაზიგ ლექტა ლიც ლახო, ლეჟა ბიქტს“...

— დიდება მოგსგლოდეს ბარბალე ქვიშისას, მადლი გექნება, უშველე ჩვენი სახლის საქონელს და ადამიანს, მიეცი გულის სიხარული, თვალის სინათლე; ჩვენ სახლში მყოფი ადამიანის და საქონლის თვალის ტკივილი და სხეულის ჭირი ქვემოთ წყალს მიეცი, ზემოთ ქარსა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქტიში—ადგილის სახელია.

<sup>2</sup> დასახელ. ნაშრომი, გვ. 14. მხოლოდ ერთგან, დალში (აფხაზეთში) ვიჩნაშელ მოახალშენეთა შორის დავამოწმეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ბარბალე განსაკუთრებით დასტაქრების მფარველი ღმერთია. მოხუცებმა გვიამბეს: სოფლის დასტაქრები თავის ხელობის მფარველობას ბარბალეს გამოსთხოვდნენ და თავის გაჭირვებულ ავადმყოფებს ამ ღვთაებას ავედრებდნენო. იქვე, გვ. 17.

მაგრამ ამ ღვთაებას მხოლოდმხოლოდ კეთილი ბუნება არ ახასიათებდა (ამაში ჩვენ ზემოთაც დავრწმუნდით, როდესაც მიწის-მოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებულ მის ფუნქციებს ვიხილავდით). ბარბალე-ი არა მხოლოდ გულის სიმხარულისა და თვალის სინათლის მიმნიჭებელი და თვალის ტკივილისა და ცუდი ჭირისაგან მკურნალ-მფარველი იყო, არამედ ავადმყოფობას თვით ის აჩენდა. ამიტომ იყო, რომ ლატალელები მას შეჰლაღებდნენ:

„დიდებ აჯვანდ ბარბალს! ბარბალ, მასტუნ ნოსა ნწყრ მარა იქუნ ლგებენა“.

— დიდება მოგივიდა ბარბალეს! ბარბალე ტკივილს ნუ მოგვცემ ადამიანს და საქონელს<sup>1</sup>.

მესტიელები კი ბარბალეს ასე ევედრებოდნენ:

„ო-ო, დიდებუ აჯგედა, მალდოჟ აჯგედა ბარბალს! ბარბალ ღვრბეთ, ისგუ ლიმზერ ანმარჯჟ, ნაფშირი ლახო ნიშგჟე კუმშს, მარცხ ათქზინ, ლეეჟიმად ნოს ანგედე, დიდებ აჯვანდ ბარბალს! ჟოდ ლადი ლადელ ლიმზერ დო აჯჟუცედ, ეჩქად ნიშგჟე კუმშს მარცხ ნოსა ოხჯიდე, დიდებუ აჯგედა ლადი ყერ ბარბალს“.

— ო-ო, დიდებამც მოგსვლოდეს, მადლიმც მოგსვლოდეს ბარბალეს! ბარბალე ღმერთო, შენი ლოცვა გაგვიმარჯვე, სიმრავლე მიეცი ჩვენს საქონელს, მარცხი აშორე, საეჟიმოდ არ გაგვიხადო, დიდება მოგივიდა ბარბალეს! სანამ დღევანდელ დღეს ლოცვა არ შეგიწყვიტოთ, მანამ ჩვენ საქონელს მარცხი არ მიაყენო, დიდებამც მოგსვლოდეს დღეის ძალს ბარბალეს<sup>2</sup>.

ან კიდევ ასე ილოცავდნენ:

„ო-ო, დიდებ აჯვანდ, ბარბალს დიდებუ აჯგედა! ბარბალ ჟიბე ლკლათხე, ნიშგჟე ქორა მერდა მარე ლეეჟიმად ილემ შედლდ ნორ ანგედე, მასტუნა ათქზინ, დიდებ აჯვანდ ბარბალს“.

— „ო-ო, დიდება მოგივიდა, ბარბალეს დიდებამც მოგსვლოდეს! ბარბალე ზეამდლებულო, ჩვენ სახლში მყოფი ადამიანი საეჟიმოდ და საშველად არც ერთი გახადო, ტკივილი აშორე, დიდება მოგივიდა ბარბალეს“.

ამგვარად, დღეობა ბარბალეს-ის რიტუალსა და ლოცვის ტექსტებში ასახული ხალხის რწმენის მიხედვით ღვთაება ბარბალე თვალის შუქის და გადამდებ სნეულებათა („ცუდი ჭირის“) უზენაესი პატრონი და გამგებელია: ის ანი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 9.


<sup>2</sup> იქვე, გვ. 11-12.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 12.

ქებს ადამიანს თვალის სინათლეს, იცავს მას თვალის ტკივილისა და გადამდებ სნეულებათაგან და ამ სენით დაავადებულებს მკურნალობს; ამავე დროს ბარბალეს შეუძლია ადამიანს ტკივილები გაუჩინოს და ის სააქიმოდ გახადოს.

**2. თვალთახედვასთან და გადამდებ სნეულებასთან დაკავშირებული ბარბალეს ფუნქციები დანარჩენი ქართველი ტომების რწმენა-წარმოდგენათა მიხედვით**

შეხედულება ბარბალეზე, როგორც გადამდებ სნეულებისაგან მფარველ და თვალთა შუქის უზენაეს ბატონ-პატრონზე, ყველა ქართველ ტომში არსებობდა. გადამდებ სნეულებათაგან ის სპეციალუ-



სურ. 4. შეწირული „თვალის კაკლები“. საქ. ანტირელიგ. მუზეუმის კოლექ. № 11-39/1.

რად ყვავილისა, წითელასი და სხვა საყმაწვილო სახადის ღვთაებად ითვლებოდა.

**4. ქართული ღვთაება ბარბალე**



გურულების რწმენით, ბარბალე ყვავილით დასნეულებულებს ეხმარება და ჰკურნავს მათ ამ სენისაგან. გურიაში ღლეობა ბარბალობას განსაკუთრებით სოფლის აქიმი ქალები და მკითხავეები იხდიდნენ. ამ ღღეს ისინი ევედრებოდნენ ბარბალეს — ჩვენი წამლები არგე და ავადმყოფი მოგვირჩინეო<sup>1</sup>. გურული აქიმი ქალი ათივე თითზე მიიკრავდა ანთებულ სანთლებს და ილოცავდა: „წმინდაო ბარბალეო, ჩემი აქიმობა ამ წელიწადში გამიმართლე, ღუშუცვეთელი ქენი და წალმა დამიგვირგვინეო“<sup>2</sup>. სვანების მსგავსად, გურულები ბარბალეს წმინდა მკურნალი-ს ეპითეტით იხსენიებდნენ<sup>3</sup>.

სამეგრელოში გადამდებ სნეულებათაგან, განსაკუთრებით ყვავილისაგან, დაბრმავებული პირები ბარბალეს შველა-დახმარებას ევედრებოდნენ და შესაწირავების მიროთმევას აღუთქვამდნენ. ამ წმინდანის სახელობის ღლეობაზე, რომელიც ყველიერის ორშაბათს სრულდებოდა, ისინი თეთრი ტანისკამოსით იმოსებოდნენ, ფეხშიშველი ბარბალეს სახელობის ეკლესიებში მიდიოდნენ და იქ ღამეს ათევდნენ<sup>4</sup>.

ქართლში თვალის ტკივილით დაავადებულებს ან მათ მახლობლებს ბარბალეს სახელობის ეკლესიებში ვერცხლის ან სანთლის „თვალის კაკლები“ მიჰქონდათ და თვალების განკურნებისათვის ლოცვა-ვედრებით ბარბალეს სწირავდნენ. ამასთან ერთად ქართლებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გავრცელებული იყო მამლის შეწირვა. „დამიზეზებული“ ოჯახი ეკლესიის გალავანში ან მის მახლობლად ბარბალეს სახელზე ცოცხალ მამალს გაუშვებდა<sup>5</sup>. აქვე ვათავსებთ ფოტო-სურათებს საქართველოს ანტირელიგიური მუზეუმის კოლექციებისას, რომლებიც სოფელ ქორდის (გორის რ.) და ნავთლულის (თბილისი) წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიებიდან არის გამოტანილი<sup>6</sup>. ეს საგნები ბარბალეს სახელზე მიძღვ-

<sup>1</sup> T. Mamaladze, დასახელ. ნაშრომი, გვ. 69-70. ავტორს აღნიშნული აქვს გურიაში ბარბალობას მარტო სოფლის აქიმები იხდიდნენო, მაგრამ ეს ცნობა ნაკლულევანია.

<sup>2</sup> ცნობა მომწოდა გ. ლომთათიძემ, რომელსაც იგი 77 წლის აღექვისი ჭეიშვილისაგან ჩაუწერია სოფელ გვაბრათში (მახარაძის რაიონი). ამ ცნობის მოწოდებისათვის გ. ლომთათიძეს მადლობას მოვასხენებ.

<sup>3</sup> ი. მეგრელიძე, დასახელ. ხელნაწერი.


<sup>4</sup> M. Sakhokia, Le culte de la petite vérole en Géorgie, Paris 1903, გვ. 14.

<sup>5</sup> ცნობა მომწოდა გორის რაიონის სოფელ საქაშეთის მცხოვრებმა პელ ბრეგვაძემ.

<sup>6</sup> საქართველოს ანტირელიგიური მუზეუმის კოლექციებით სარგებლობისა და ამ კოლექციების გამოქვეყნების ნებართვისათვის საქ. ანტირელიგ. მუზეუმის დირექტორს და მეცნიერ თანამშრომლებს მადლობას მოვასხენებ.




წილ მეტად საყურადღებო შესაწირავებს წარმოადგენს. შეწირულია, ერთი მხრივ, უამრავი სანთლის „თვალის კაკლები“. ნავთლულის ეკლესიიდან გამოტანილ კოლექციას 72 წყვილი სანთლის „თვალის კაკალი“ შეადგენს, (სურ. 4), ხოლო ქორდის ეკლესიიდან ერთ კოლექციად მოცემულია 16. მათ შორის ერთი წყვილი ლითონისაა, (სურ. 5) და მამლის ფრთა-ბუმბული (სურ. 6), მეორე მხრივ, ბარბალეს მონებად შემდგართა შეწირულებანი—წნელის უღლები (უღლის საშუალო D 27 cm. მრავალი მათგანი დამტვრეულია, ხოლო მთელი 30 ცალია), რომლებზეც ჩამოკიდებულია წითელი ნაჭრით ან თეთრი ბამბის ძაფით ხის ქერქისაგან გამოჭრილი ჯვარი და (უპირატესად) მრგვალი და ბრტყელი ქვა (მოთეთრო ფერის ქვები შიშვლადაა უღელზე ჩამოკიდებული, ხოლო მუქი ფერისა მეტწილად წითელ, თეთრ ან სხვა ღია ფერის ნაჭრებშია გამოკრული). ზოგი უღელი წითელი ნაჭრით არის გარშემოკრული. ამას გარდა, ზოგ უღელზე ჩამოკიდებულია ნაჭრებში შეხვეული ადამიანის თმა, „თვალის კაკლები“ და თეთრი ბამბის ძაფის ხვევა (სურ. 7, 8). უღლებს გარდა, ამავარიგის შესაწირავს ეკუთვნის „ქამრები“ — წითელი და თეთრი გრძელი ნაჭრები, რომლებსაც ხატში მიმავალი მლოცველები წელზე ირტყამდნენ და მოლოცვის შემდგომ ხატში სტოვებდნენ (სურ. 9). ბოლოს, მესამე რიგის შესაწირავებია ბავშვის ავადმყოფობის



სურ. 5. საზედაზე ბოთლი „თვალის კაკლებით“. საქ. ანტირელიგ. მუზეუმის კოლ. № 4-39/2.

გამო მიძღვნილი აკვანი (სიგრძით 26,5 cm, სიმაღლით 23 cm, მოჩარხული და წითლად შეღებილი,—სურ. 10), ბავშვის პერანგები (მარლისა,—სურ. 11) და „დედოფალები“ (ამათგან ერთი წითლით შემოსილი,—სურ. 12,13). არის აგრეთვე ბამბის თეთრი ძაფის გორგლები.



სურ. 6. შეწირული მამლის ფრთები და ბუმბული. საქ. ანტირელიგ. მუზეუმის კოლ. № 3-39/12.

ქართლელების, კახელების<sup>1</sup>, მესხების, ჯავახელებისა<sup>2</sup> და სხვა მოსახლეობის რწმენის თანახმად ბარბაღე სახადის დედაა, რომლის შვილებად იწოდებიან: ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, ყივანახველა და მისთ. მათ საერთო სახელად „ბატონები“ ჰქვია.

საყურადღებოა, რომ ავადმყოფობასთან დაკავშირებული ბარბაღეს ფუნქცია ფშავში სათაყვანებელ თამარ მეფეზეა გადატანილი.

<sup>1</sup> ლ. ბოჭორიშვილი, დასახელ. ხელნაწერი.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, ტფ. 1938, გვ. 111.

ყოველგვარი ავადმყოფობისაგან დამცველად და მკურნალად ფშაველებს თამარ მეფე მიიჩნიათ და მას „ღელეს აქიმ-დედოფალს“ უწოდებენ<sup>1</sup>. ხალხის წარმოდგენით, თამარ ღელეს აქიმ-დედოფალი მკურნალია. როდესაც ფშაველი ავად გახდებოდა მფარველობასა და შველას თამარისაგან მოელოდა, მას მიმართავდა ლოცვადრებითა და შესაწირავებით. მაშინაც-კი, როდესაც ის ქალაქის ექიმის მიერ გამოწერილ წამალსა სვამდა, თამარის სახელს ახსენებდა — წამალი შემარგეო, თან ვერცხლის ფულს თავზე შემოივლებდა და თამარის სახელზე შეინახავდა. ამას წამლის საჯსარი ერქვა. წლის მანძილზე დაგროვილ წამლის საჯსარს, თამარის დღეობა რომ მოვიდოდა, მის ხატში წაიღებდნენ და იქ შესწირავდნენ<sup>2</sup>. ბარბაღლეს კულტთან პარალელის თვალსაზრისით აღსანიშნავია მოხუცი



სურ. 7. ბარბაღლეს მონის უღლები. საქ. ანტირელიგიური მუზეუმის კოლ. №№ 4-39/10, 14-39/2.

ფშაველი ჯევის-ბერები-ს გადმოცემა იმის შესახებ, რომ თამარ დედოფალის მთავარი შესაწირავი ძველად ძროხა იყოო<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, 1940, გვ. 25.  
<sup>2</sup> გ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში, ენიმკის მოამბე, ტ. XI.  
<sup>3</sup> იქვე.

„ბატონების“ კულტი და მასთან დაკავშირებით ბარბალე, როგორც „ბატონების დედა“, სახადისა და საზოგადოდ ყოველგვარი ავადმყოფობის უზენაესი ბატონ-პატრონი ცალკე ნაშრომში იქნება განხილული. ამიტომ ამჟამად ბარბალეს იმ ფუნქციის განხილვაზე შევჩერდებით, რომელიც თვალთან, თვალთა ხედვასთან არის დაკავშირებული.

### მ. მზის ქალ-ღვთაება ბარბალე

ქართველ ტომებში ფართოდ გავრცელებული შეხედულება ბარბალეზე, როგორც თვალის სინათლის მიმნიჭებელ და თვალის ავადმყოფობის გამჩენ ღვთაებაზე ამ ღვთაების ასტრალური ბუნების მამყლავნებელია; ამ შეხედულების საფუძველზე ბარბალე ისახება, როგორც მნათობი მზის ღვთაება.

შუქის გამოკრთობა, განათება და ბრწყინვალეობა მზისა და მთვარის თვალსაჩინო და მთავარი ნიშანდობლივი თვისებაა მათ გარეგან გამოსახულებასთან ერთად. მზე და სავსე მთვარე ამ თვისებით და გარეგანი ფორმით ძველ კულტუროსან ხალხებში ადამიანის თვალთან იყო შედარებულ<sup>1</sup>.



სურ. 8. ბარბალეს მონის უღლები. საქ. ანტირელიგ. მუზეუმის კოლ. № 4-39/19.

ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა ქართველ ხალხშიც, რასაც უწინარეს ყოვლისა ენობრივი ფაქტები ამჟღავნებს. თვალთა ხედვის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა მზერა ისევე, როგორც

<sup>1</sup> W. H. Roscher, Ausführ. Lexikon der griech. und röm. Mythologie, II, Leipzig 1890—1897, Mondgöttin.



სიტყვა მ ზ ე, თავდაპირველად მნათობთა ზოგადი თვისების — მზინვის, ბზინვის, ბრწყინვალეების აღმნიშვნელი ყოფილა, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს<sup>1</sup>. ხოლო აკად. ნ. მარი ერთ-ერთ თავის ნაშრომში პირდაპირ აღნიშნავს, რომ სიტყვა მ ზ ე, რომელსაც საერთო ფუძე აქვს ზმნასთან მ ზ ე რ ა, მნათობის გარდა თვალსაც ნიშნავდაო<sup>2</sup>. სხვაგან იგივე ავტორი განმარტავს: ქართული სიტყვა მ ზ ე რ ა, წარმოიშვა რა აუცილებლად 'თვალიდან', ე. ი. 'მზის' (ან 'მთვარის') მიკროკოსმიური გამოყენებიდან, წმინდა ტექნიკურად ზეციურ თვალს, resp. მნათობს უკავშირდებაო<sup>3</sup>. მთვარის შესახებ კი აკად. მარს წამოყენებული აქვს შემდეგი დებულება: „груз. тоვალ 'глас' — лишь позднейший дифференцированный вид груз. слова тоვარე 'луна', раньше последнее слово также означало 'глас', а потому оно могло означать и 'смотреть', 'видеть'<sup>4</sup>.

ქართულ ეთნოგრაფიულ წყაროებში და ყოფაში მზის თვალთან შედარება-დამსგავსების მაგალითები მრავალია. ჩვენ მოგვეპოვება ტერმინი „მზის-თვალი“, რომელიც მცხინვარე, პაპანაქება მზის მნიშვნელობითაც იხმარება<sup>5</sup> და მზის ებითეტსაც წარმოადგენს. უკანასკნელი დაცულია ავღრიანობის საწინააღმდეგო ქართლ-კახურ „ლაზარობის“ საგალობლის ვარიანტში. აქ იგი შემდეგ კონტექსტში გვხვდება: „ალარ გვინდა ცის ნამი, ღმერთო, მოგვე მზის თვალი“. მზის მნიშვნელობით ეს ტერმინი ნახმარია ძველ (VIII—IX და X ს. ს.) ქართულ ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებშიაც<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1<sup>3</sup>, ტფ. 1928, გვ. 118—119.

<sup>2</sup> Н. Марр, Китайский язык и палеонтология речи. Избранные работы, IV, გვ. 101—102; მთვარის შესახებ იხ. იქვე, გვ. 103.

<sup>3</sup> Н. Марр, Яфетические зори на украинском хуторе, Избр. работы, V, გვ. 259.

<sup>4</sup> Н. Марр, Из Пиренейской Гүрии, Избр. работы, IV, გვ. 49—50; მზისა და მთვარის თვალთან კავშირის შესახებ იხ. აგრეთვე: იქვე, გვ. 39; Н. Марр, Абхазоведение и абхазы, Избр. работы, V, გვ. 172; მისივე, К вопросу о происхождении арабских числительных, Избр. работы, IV, გვ. 250; მისივე, Китайский язык, Избр. работы, V, გვ. 219; მისივე, Родная речь могучий рычаг культурного подъема, Избр. работы, V, გვ. 411.

<sup>5</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, გვ. 30.

<sup>6</sup> Н. Марр, Ипполит. Толкование песни песней. Тексты и раз. по арм.-груз. филол., кн. III, მზე 22<sup>19</sup>; მისივე, Физиолог, Тексты и разыск. по арм.-груз. филол., кн. VI, ტ 6—7 (გვ. 1), ტ 10—11, 23—24 (გვ. 12). აკად. მარს ამ ძეგლებში ქართული „მზის-თვალი“ არმენიზმად მიაჩნია.



განსაკუთრებით საყურადღებოა მზის მნიშვნელობით გაგებული და ხმარებული სიტყვა თვალის სვანური დაფიცების ფორმულაში. ნაცვლად ქართული დაფიცებისა „შენმა მზემ“, „ჩემმა მზემ“ სვანი ხმარობს სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ: „შენმა თვალებმა“, „ჩემმა თვალებმა“ და სხვა, მაგრამ სვანური თერა, თერარ თვალები სვანს ამ შემთხვევაში მხოლოდდამხოლოდ მზის, დღის მნიშვნელობით ესმის. მოგვეყვავს სვანური დაფიცების შესაფერისი ფორმულები<sup>1</sup>. შეიღებით დაფიცება: „მიშგუა გეზლირიშ თერალო“—ჩემი



სურ. 9. შეწირული „ქამრები“. საქ. ანტი-რელიგ. მუზეუმის კოლ. № 4-39/22.


შვილების მზემ (‘თვალებმა’), „ისგუა ბეფშილდრე თერაჯო“—შენი ბავშვების (კნინ. ფ.) მზეს (‘თვალებს’), „ბეფშილდრე თერაჯონ“—ბავშვების (კნინ. ფ.) მზეს (‘თვალებს’), „სგვიდლე თერაჯო ბჰქ ნომა მექე“—ძეთა მზეს (‘თვალებს’), ტყუილი არ მითხრა, „გმსგოლე თერარს ჯჰძლუნე“—ძეთა მზეს (‘თვალებს’) გაფიცებ. დედა შვილს თავის-თავს აფიცებს და შვილი დედას ფიცულობს: „დიშ თერაჯონ“—დედის მზეს (‘თვალებს’). ქმარი ცოლს აფიცებს: „ისგუა ლაჯმილშ თერაჯონ“—შენი ძმების მზეს (‘თვალებს’). თავს აფიცებენ: „მიშგუა თხუმემ თერალო“—ჩემი თავის მზემ (‘თვალებმა’), „ისგუა თერალო“—შენმა მზემ (‘თვალებმა’), „მიჩა თერალო“—მისმა მზემ (‘თვალებმა’), „მინე თერალო“—მათმა მზემ (‘თვალებმა’).

უკანასკნელი ფორმულები (თავის დაფიცება) ისევე, როგორც ქართულში, ნიშნის მოგებითაც იხმარება. ამავე მნიშვნელობით ამბობენ: „ჰაიტ, ისგუი თერალო!“—ჰაიტ, შენმა მზემ (‘თვალებმა’)! „ცხნი, ხუიჩო. ისგუი თერალონ!“—ვიზამ-არა, შენმა მზემ (‘თვალებმა’)!  
ეს მაგალითები არა მხოლოდ მზის თვალთან შედარება-შენაცვლების ფაქტის არსებობას ამტკიცებს, არამედ იმასაც, თუ ეს

<sup>1</sup> ალი დავითიანი, დასახელ. ხელნაწერი.

უკანასკნელი მოვლენა რამდენად ძლიერად ყოფილა ჩვენში განვითარებული. სვანური დაფიციების ფორმულებში თითქმის წაშლილია სიტყვის თერა, თერარ ძირითადი მნიშვნელობა ('თვალები') და იგი გაგებულია, როგორც მნათობი მზის (|| დღის) აღმნიშვნელი სიტყვა.

ამრიგად: ა) შემომოყვანილი ეპითეტის „მზის-თვალი“ არსებობა და ბ) სვანური მაგალითები, ისევე, როგორც ქართული დაფიციების ფორმულები — „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, „შენმა მზეგრძე-




სურ. 10. ბარბაღეს სახელზე შეწირული აკვანი.  
საქ. ანტირელიგ. მუზეუმის კოლ. № 14-39/1.

ლობამ“ (ანუ „შენმა დღეგრძელობამ“) და მისთანანი, როგორც გ) უძველესი გადმონაშთების შემცველსა და უძველესი ხანიდან ჩამოყალიბებულს ხევსურულ ხუცობანის ტექსტებში მოცემული

„მზის“ და „მზის მყოფ ანგელოზთა“ ხსენება და დიდება<sup>1</sup>, დ) შვიდულის სვანურ, მეგრულ, ჭანურ სახელებში დაცული კვირის, როგორც მზის დღის, სახელწოდება (სვ. მიშლადეღ || მგჟელადედ, მეგრ. ჟაშხა, ჭან. ბჟახხა || მჟახხა—„მზის დღე“) და მრავალი სხვა ფაქტი,—ქართველ ტომებში მზის დიდი კულტის არსებობას ამტკიცებს.

უნდა ითქვას, რომ მზის მქოავრი კულტის არსებობა უმთავრესად ხალხის კულტურული განვითარების მაღალ საფეხურებზე დამოწმებული. პრიმიტიული რელიგიების დიდი სპეციალისტი James George Frazer-ი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მზის რელი-



სურ. 11. ბარბალეს სახელზე შეწირული ბავშვის პერანგები და ბამბის ძაფის გორგლები. საქ. ანტირელიგიური მუზეუმის კოლ. № 4-39/16.

გია ყველაზე მეტად განვითარებულია ისეთ ხალხებში, რომლებმაც ცივილიზაციის გარკვეულ საფეხურს მიაღწიეს მსგავსად ძველი ეგვიპ-

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიულ-ბის სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. 1, ტფ. 1938, გვ. 11, 13, 14, 19, 26.

ტელებისა და მექსიკის და პერუს იმ ეპოქის ინდიელებისა, როდესაც ისინი ესპანელების მიერ იყვნენ აღმოჩენილნიო<sup>1</sup>. ბარბალეს კულტიც, რომელიც ჩვენ მზის კულტის ამსახველად მიგვაჩნია, ქართველი ხალხის კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზეა მოცემული, რამდენადაც ღვთაება ბარბალე, როგორც ზემოთ იქნა დამტკიცებული, მსხვილფეხა საქონლის მეურნეობასთან და ნაწილობრივ მარცვლეულის მოსავლიანობასთანაა დაკავშირებული.

დაბოლოს, ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ზემოაღნიშნული სვანური დაფიცების ფორმულები იმით, რომ ეს ფორმულები მიუთითებს მზის კულტის არსებობაზე ადამიანის თვალთან დაკავშირებით. ანალოგიური ქართული დაფიცების ფორმულები უშუალოდ მზის კულტს შეიცავს, მაშინ, როდესაც სვანურ ფორმულებში მზე-თვალის კუთხია ასახული. ბარბალეს კულტშიც მოცემულია მზე და მზის კავშირი ადამიანის თვალთან.

მზე, როგორც სინათლის წყარო, თვალთა შუქის გამჩენია, გულის სინარულის მიმნიჭებელი. მეორე მხრივ, მზედამწვარიც და თვალდავსებულცი (ქართული წყევლის ფორმულები: „მე მზე დამწვარო“, „თვალდავსებულო“) შეიძლება ადამიანი იყოს. მზის მოჭარბებული სიცხოველე, პაპანაქება, მწველი მზე ცეცხლის ალივით ედება თვალებს, აზიანებს, ასნეულებს და აგსობს. მნათობთა მნათობის ეს ორი ერთფრთის საწინააღმდეგო გამოვლინება (თვალთა შუქის მინიჭება და თვალების დაავადება-დავსობა) ბარბალეს კულტის ერთ-ერთ მხარეს და ამ ღვთაების სპეციფიკურ თვისებასა და ფუნქციებს შეადგენს.

ბარბალეს, როგორც მზის ღვთაებას, თვალსაჩინოდ ასახავს სხვათა შორის ქვემოსვანური მსახურების წესი, რომლის თანახმად ღვთაების სახელზე ლოცვა-ვედრების დროს მლოცველნი მზის მხარეს დგანან და თვალები დახუჭული აქვთ. გასაოცარი არქაულობით შემონახული ეს რიტუალი უთუოდ დამყარებული იყო ხალხის რწმენაზე ბარბალეს როგორც მზის ღვთაების შესახებ, რომლის მძლავრსა და მწველ სინათლე-სხივოსნობას ადამიანი თვალს ვერ უსწორებდა.

ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით იმის მტკიცებაზე, რომ ღვთაება ბარბალესადმი განკუთვნილ სვანურ რიტუალში წარმოდგენილ შე-

<sup>1</sup> James George Frazer, The worship of nature, v. I, 1926, XII, 33-442.



საწირავთა—„ბურთივით“ მრგვალი ყველის კვერის ქუთი ყუაბ, ამგვარივე ფორმის ყველნარევი პურის ტაბლების ყუაბ, ლიქლებე და სხვ. და, მეორე მხრივ, სვანური ახალწლის შემოსალოცთა—ყველის, რძის, რძესთან გაიგივებული წყლის „ღვჯე“ და მთის ბროლის „ქიტ“ „თაშ“<sup>1</sup> და მისთანათა, — მიძღვნის წესი შესაძლებელია ასტრალური მსოფლმხედველობის ნიადაგზე იყო შემუშავებული მათი დამსგავსების გამო სათაყვანებელი მზე-ბარბაღეს გარეგან ნიშნებთან (მნათობის მრგვალი ფორმა და მისი მოთეთრო ბრჭყვიალა ფერი).



სურ. 12. შეწირული „დედოფალა“.  
საქ. ანტირელიგიური მუზეუმის  
კოლ. № 4-39/20.

მსახური (ე. წ. ჯალსტან-ი) ყვარყვარე დადემქელიანის ტანისამოსით იმოსებოდა, ეკლესიის გალავნის თავზე ადიოდა დიდი ზომის

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბარბაღეს კულტში დაცული მეორე რიგის გადმონაშთი — „წმინდა“ და სათაყვანებელი საგანი, რომელიც მოწმდება უშგულის დღეობა მუხტარწენში მარმარილოს ქუთი ყუაბ-ის სახით.

დღეობა მუხტარწენ-ს დილით სოფლის ქალებს, ყოველ მოსახლიდან თითო ქალს, უშგულის ლამარია-ს სახელობის სალოცავის ლაღბაშ-ში მიჰქონდათ ყველის მრგვალი კვერები (ქუთი ყუაბ-ები) და ფქვილი. იქ შესაწირავ ღვთისმშობლებს აცხობდნენ და საქონლის გამრავლების, წველის მატების, მიწის მოსავლისა და ოჯახის კეთილდღეობისათვის სწირავდნენ. ამ დროს სალოცავის

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდარი I, ზომხა, კანდა, კალანდა, გვ. 120-174.



მარმარილოს ბურთით ხელში და გალავნის გარეთ გასულს და გორაკის ფერდობზე შეფენილ მანდილოსნებს ამ ბურთით ანწყალო-



სურ. 13. შეწირული „დედოფალა“.  
საქ. ანტირელიგიური მუზეუმის კოლ. № 4-37/6.

ბებდა. ეს ხდებოდა დილით, მზის ამოსვლის შემდეგ. მზეზე (თუ მზიანი დღე იყო, რათქმაუნდა) მოელვარე მარმარილოს ბურთი,

რომელსაც აგრეთვე ქუთი ყუბა-ბი ერქვა, მლოცველებში დიდ სასოებასა და მოკრძალებას იწვევდა. შესაწირავებით ხელში გორაკის ფერდობზე მდგომი თითოეული მანდილოსანი ცალკე შეჭალადებდა ჯალსტან-ს—ჩემსკენ ქუთი ყუბა-ბიო; და როდესაც ჯალსტან-ი მარმარილოს ბურთს მთხოვნელისაკენ მიაბრუნებდა, — უკანასკნელი მუხლებზე ეცემოდა და თავს მიწის პირად ხრიდა<sup>1</sup>.

მარმარილოს ბურთის და ე. წ. ყვარყვარე დაღეშკელიანის ტანისამოსიდან ჩოხისა და ყაბალახის რეალური არსებობა დაამოწმა საქართველოს მუზეუმის კომპლექსურმა ექსპედიციამ 1931 წელს სვანეთში მუშაობის დროს. ეს ნივთები ინახებოდა უშგულის ლამპარიას სახელობის ეკლესიის საკურთხეველში, სპეციალურ კიღობანში სხვადასხვა საეკლესიო განძულთან ერთად. თავის-თავად ცხადია, რომ ეს საგნები მატერიალური კულტურის უძველეს ობიექტებს არ წარმოადგენს. მაგრამ ამ წარმართულ დღეობაზე მათი როლი იმდენად დიდი ჩანს, რომ შესაძლებელია სვანური „ველოსნების“ (ჯალსტან-ების) სპეციალურ ტანისამოსში გამოწყობა და დღეობაზე მარმარილოს მსგავსი საგნით მრევლის დამწყობება თავიდანვე მუხტარწენის რიტუალის ძირითად ელემენტებს შეადგენდა.

დღეობა მუხტარწენი ლამპარია-ს სახელზე იყო განკუთვნილი და ლამპარია-ს სახელობის სალოცავში სრულდებოდა. მაგრამ მარმარილოს ქუთი ყუბა-ბი (ან მისი მსგავსი საგანი), უთუოდ, ოდესღაც მზის ღვთაება ბარბალეს სიმბოლოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მრგვალი და ბრჭყვიალა თეთრი საგანი, რომლითაც მანდილოსნებს მზის ამოსვლის შემდეგ ამწყობებდნენ და რომელსაც მავედრებელი ქალები თვალს ვერ უსწორებდნენ, მის დანახვისთანავე მუხლებზე ეცემოდნენ და თავს მიწის პირად ხრიდნენ,—ეს ფაქტები ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ამასთანავე სავესებით დასაშვებია, რომ მზის სიმბოლო და მასთან დაკავშირებული რიტუალი ლამპარია-ს სახელობის დღეობაზე ყოფილიყო წარმოდგენილი, ვინაიდან ნაყოფიერების ქალ-ღვთაება ლამპარია ასა-

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. მუხტარწენ უშგულში (1936 წლის მასალები, ხელნაწერი); აგრეთვე 1931 წლის სვანეთის კომპლ. ექსპედ. დღიური (ხელნაწერი), დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრ. განყ. არქივში.

წიერებდა ცისკრის ვარსკვლავს<sup>1</sup>, რომელიც მზის ამოსვლის წინა-  
შორბედია.

#### 4. ღვთაების ემბლემის ნაშთები

მნათობების გარეგანი გამოსახულების აქცენტირების ნია-  
დაგზე ასტრალური კულტების მატარებელ ხალხებში მზისა და მთვა-  
რის ღვთაებები ხშირად გამოსახული იყვნენ ბორბლით და დის-  
კოთი, როგორც მათი ემბლემებით. მაგალითად, უძველეს ვაზებზე  
და ზოგ პლასტიკური ხელოვნების ნაწარმოებში ბერძნული ღვთაე-  
ბები ჰელიოსი და სელენე ბიუსტების სახით წრეში იყვნენ ჩახატუ-  
ლი, ან ადამიანის მთლიანი ფიგურის სახით მოცემულებს მათ თავზე  
დისკო ჰქონდათ გამოხატული<sup>2</sup>. ეგვიპტელების ღვთაება ჰორუსის  
(ქ. ედფუში) სიმბოლოს და ატრიბუტს ფროთოსანი მზის დისკო წარ-  
მოადგენდა<sup>3</sup>. ბაბილონში მზის ღმერთის სპეციალური ემბლემა იყო  
მრგვალი დისკო ცენტრში ოთხქიმიანი ვარსკვლავით და ქიმებშუა  
სხივებით გამოსახული<sup>4</sup> და სხვ.

ქართველი ტომების მზის ღვთაების ემბლემაც წრისა და დის-  
კოს მოყვანილობის უნდა ყოფილიყო. ზემოთ, ბალსქვემოური მა-  
სალების განხილვის დროს დავრწმუნდით, რომ მრგვალი, შუაზე  
გახვრეტილი ფიქალი და კვირისტაყები ბარბალეს სახელზე  
ეწირებოდა. ხალხში დაცული რწმენის თანახმად ეს საგნები ბარ-  
ბალეს მიეკუთვნებოდა როგორც მისი ქალური ბუნების ამსახველი  
ობიექტები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ისინი ოდეს-  
ღაც ბარბალეს ასტრალურ ბუნებასთან იყვნენ დაკავშირებულნი და

<sup>1</sup> ლამაზრიას კულტის შესახებ სპეციალური ნარკვევი ჯერონიმით არ  
გამოქვეყნებულა, მაგრამ ამ ღვთაების შესახებ არსებული მასალები ცხადჰყოფს  
მის ამგვარ ბუნებას. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი  
თავის გამოკვლევაში ქართველთა წარმართობის შესახებ სხვათა შორის ლამა-  
ზრიას ბუნებასაც ეხება და მის მიერ მოყვანილი საბუთებიდანაც ღვთაება ლა-  
მარია (ღვთისმშობელი) ამგვარი ბუნების შემცველად ისახება. ივ. ჯავა-  
ხიშვილი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 84—85, 128—129.


<sup>2</sup> W. H. Roscher, დასახელ. ნაშრომი.

<sup>3</sup> Max Ebert, Reallexikon der Vorgeschichte, 1928, B. XII, § 2.

<sup>4</sup> Bruno Meissner, Babylonien und Assyrien, II, Heidelberg 1925,  
33. 21.

მათი მსგავსი საგნები ბარბალეს როგორც მზის ღვთაების ემბლე-  
მებსაც წარმოადგენდნენ<sup>1</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღძრული პრობლემის გასაშუ-  
ქებლად სვანური გირგედი. გირგედი-ი ლახამულელების და  
ეცერლების საფიცარი „ხატი“ იყო. ეცერლების გირგედი ინა-  
ხებოდა ფხოტრერის ეკლესიაში, ხოლო ლახამულელებისა (საბჭოთა  
ხელისუფლების დამყარებამდე) ჩამოკიდებული იყო სოფლის მოედ-



სურ. 14. „გირგედი“—საფიცარი „ხატი“ ლახამულაში.  
საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. ფოტო-სურათი,  
დრ. № 114.<sup>1</sup>

ნის (სჭიფის) წმ. ცაცხვის ხეზე. ლახამულას გირგედი, რომლის  
სურათს აქვე ვათავსებთ, მრგვალი ფორმას ლითონის საგანია, ირგ-  
ვლივ გარე ნაპირზე შემოყოლებული იმავე ლითონის ცხრა ცალი  
მომცრო რგოლით და ამ რგოლებზეა სამყურა მცენარის სახის სამ-  
კაულებით. გირგედი-ის D 20 cm, ხოლო ორნამენტისად ეს D  
31 cm დაახლოებით. ეცერლების გირგედი ლახამულელებს გირ-  
გედი-ის მსგავსია.

<sup>1</sup> კვირისტავის მხესთან დაკავშირების შესახებ იხ. Н. Марр, Языковая  
политика яфетической теории и удмуртский язык, Москва 1931, გვ. 31—32.  
კვირისტავეების ასტრალური მნიშვნელობის საკითხს ეხება აგრეთვე მილერი  
თავის ნაშრომში—Элементы неба в вещественных памятниках, Из истории  
докапит. формаций. Сб. статей к сорокопятилетию научной деятельности  
Н. Я. Марра, Москва—Ленинград 1933, გვ. 149—155. ავტორს აქვე დასახე-  
ლებული აქვს ახალი ლიტერატურა საკითხის შესახებ.



ხალხში დაცული გადმოცემის თანახმად, გირგედ-ი მდ. ენგურის გადაღმა ლახამულას პირდაპირ აზიდული მთის წვერიდან არის ჩამოტანილი. საყურადღებოა, რომ შედარებით გვიანი ხანის გადმოცემაშიც კი გირგედ-ი ცოცხალ არსებად ისახება. ერთ-ერთი ხალხური თქმულებით, ძველად ლახამულელებს ყარაჩაელები დასცემიან და, დიდი ზარალი მიუყენებიათ; მაშინ გირგედ-ი გაპარულა და, სალოცავ ჯგერ აგ ბოგეშ-ის პირდაპირ რომ მაღალი კლდეა, იქ დამალულაო.

როგორც აღვნიშნეთ, გირგედ-ი საფიცარი „ხატი“ იყო. ჩვენებური „ღმერთმანის“ მსგავსად, სვანები ხშირად ამბობდნენ ხოლმე „გირგედიშ ყერლო“—გირგედის ძალმაო, ამ „ხატზე“ შერისხება ხდებოდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც, მაგალითად, მოსახლეს ყანას დაუზიანებდა ვინმე, ან საქონელს ფეხს მოსტეხდა თუ სხვაგვარად დაასახიჩრებდა, ან საქონელთან და მიწის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვაგვარ ზარალს მიაყენებდა. დაზარალებული ოჯახი დანაშაულის ჩამდენის ან დამნაშავის მცოდნე პირთა გამოსატყუარად სალოცავის კაცს (მოკილ-ს) გირგედ-ს ხალხში გაატანიებდა. გირგედ-ით ხელში მოკილ-ი ხმამაღლა შერისხავდა მოსახლის დამზარალებელს, თუ ის არ გამოტყუდებოდა და აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებმაც დამნაშავე ვინ იყო იცოდნენ და არ დაასახელებდნენ, დაემუქრებოდა მათ გირგედ-ის ძალით საქონლის ამოწყვეტას, მოსავლის ამოგდებას და თან გირგედ-ს პირქვე გადააბრუნებდა.

ამგვარად „ხატი“ გირგედი წრის სახის წმინდა საგანია, რაც ყურადღებას ამახვილებს იქითკენ, რომ გირგედ-ში სათაყვანებელი მზის გარეგნული გამოსახულება შევიცნოთ. ამასთან ერთად, როგორც გირგედ-ით შერისხების შინაარსიდან ირკვევა, ხალხი ამ „ხატს“ საქონლის ამოწყვეტისა და მოსავლის ამოგდების ძალას მიაწერდა. რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქონლისა და ნაწილობრივ მიწის მოსავლის ავკარგიანობა მნათობი მზის ღვთაება ბარბალესაგან იყო დამოკიდებული,—ამდენად საფიქრებელია, რომ წრის სახის „ხატი“ გირგედი ოდესღაც მნათობი მზის ღვთაება ბარბალეს სიმბოლური ნიშანი ანუ ემბლემა ყოფილიყო.

საზოგადოდ რგოლისებრი საგნების „სიწმინდის“ შესახებ რწმენა ჩვენში უძველესი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. ამას ამტკიცებს სხვათა შორის თითქმის დღემდე შემონახული ე. წ. გვერგვი-ს გაკეთების წესჩვეულება ახალწელიწადს ლეჩხუმსა და რაჭაში.



ლეჩხუმური საახალწლო გვერგვი<sup>1</sup> ლერწისაგან მოწნულ რგოლს წარმოადგენს. ვაზის ექვსი ღერო მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაგრეხილი და რგოლად მოკეცილს თავები ტირიფის წნელით




სურ. 1ა. საახალწლო „გვერგვი“ ლეჩხუმიდან. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. კოლ. № 15—38/14.

აქვს შეერთებული და გამაგრებული. ამ რგოლის შიგნით თხილის მომსხო ჯოხებია გარდიგარდმო ჯვარის სახედ დატანებული. ეს ჯოხები ბოლოდან ჯვარედინის შუა ნაწილისაკენ სიგრძეზე ჩათლილია ისე, რომ წვრილ-წვრილი ნათალი ზედვე აქვს დარჩენილი და ლერწის რგოლის შიგნით მას ნაპირებისაკენ ზოლებად ეფინება. თხილის ჯოხების წვერები რგოლშია გაყრილი და ნაწილობრივ მის გარეთ არის

<sup>1</sup> აღწერთ საქ. მუზ. ეთნოგრ. გან-ში დაცულ გვერგვს, კოლ. №-15—38/14.


გამოშვერილი (სურ. 15). ამ წვერებზე ჩამოაცმევდნენ წითელ ვაშლებს, რომლებშიც ჩარქობილი იყო ვერცხლის წვრილი ფული. ვაზის რგოლის



სურ. 16. სახალწლო „გვერგვი“. საქ. საზ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. კოლ. № 15—38/14.

ირგვლივ ზემოდან ბაძგარის (ეკლიანი მცენარის) ფოთლიანი ტოტე-ბია შემოყოლებული და დამაგრებული (სურ. 16). სახალწლო გვერგვი-ს ცენტრში ათავსებდნენ შუაზე ჯვარდასახულს ე. წ. „საოჯახო ტაბლას“, რომელზეც ჯამით თაფლს დგამდნენ, ან ვერცხლის წვრილ ფულს და შაქრის ნაჭრებს აწყობდნენ (სურ. 17). საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული გვერგვი-ს D 13 cm. გვერგვი-ს აკეთებდნენ ახალწელიწადის წინა დღეს და საღამომდე საფუარზე ათავსებდნენ. საღამოს, როცა შინაური მკლოვიარე სხვა ბურულში მიდიოდა დასაძინებლად, მას გვერგვი-ც თან მიჰქონდა. ახალწელიწადს დილით გვერგვი-თ ხელში მკლოვიარე სახლის კარს მიადგებოდა და დაი-

ძახებდა: „კარი!“ ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ—რა მოგაქვსო. მკლოვიარე უპასუხებდა: „დადიანის თეთრი და ქონებაო“. კითხვა-პასუხი სამჯერ მეორდებოდა. შემდეგ მკლოვიარე შინ შევიდოდა, ღომის ან პურის მარცვალს სოხანეზე მიმოაბნევდა, გვერგვი-თ კერის გარშემო სამჯერ შემოივლიდა, შემდეგ მას კვლავ საფურზე მოათავსებდა, თვითონ ცეცხლის პირად დაჯდებოდა,



სურ. 17. საახალწლო „გვერგვი“. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განუ. კოლ. № 15—38/14.

ცეცხლში აღმოკიდებულ მუგუზალს შეანძრევდა და თან დაიძახებდა: „ამდენი გოჭი, ამდენი ქათამიო“. ამ დროს სახლის უფროსი ქალი ოჯახის წევრებს ღვინით ხელს აბანვინებდა; დაბანვის დროს ხელების ქვეშ ჯამს შეუღვამდა, ხელებზე მარილს წააყრიდა და თან ამბობდა: „ღმერთო, ტკბილად დამიბერე ჩემი ქმარ-მეილი, უმტკივრად მიმყოფეო“. შემდეგ ღვინიან ჯამს და გვერგვის შუა კა-

ლოზე გაიტანდნენ, გვერგვს მიწაზე დადებდნენ, ღვინოს კი გვერგვი-ს თავზე ზევით ჰაერში ასხამდნენ რაც შეიძლება მაღლა და თან შესძახებდნენ: „ამ სიმაღლე ხვაი, ამ სიმაღლე ხვაიო“. შინ დაბრუნებისას გვერგვს კვლავ კერის გარშემო შემოატარებდნენ, ოჯახის ყველა წევრი მას ხელს შეახებდა და თან იტყოდა: „ბევრი კარგი წელიწადი მოგვასწროს ღმერთმაო“. დაბოლოს გვერგვს კვლავ საფუარზე მოათავსებდნენ, სადაც იგი მთელი ახალწლის განმავლობაში რჩებოდა<sup>1</sup>.

უნდა ითქვას, რომ ქართული ხალხური ახალწელიწადი, რომელიც თავისი საზეიმო ცერემონიალით თვალსაჩინოდ გამოირჩევა სხვა ქართულ-ხალხურ საოჯახო დღეობებისაგან, ძირითადად მცენარეულის და ასტრალურ კულტებს შეიცავს. განსაკუთრებით აშკარა მაჩვენებლები ასტრალური და მცენარეულის კულტებისა, ერთ-ერთთან შეუწყმული და განუყრელი დასავლეთ საქართველოს ახალწელიწადის ვარიანტებშია კარგად დაცული, მათ შორის ლეჩხუმურ ვარიანტშიც.


ლეჩხუმური ახალწელიწადის რიტუალის ერთ-ერთ ძირითად მომენტს გვერგვი-თან დაკავშირებული მოქმედება შეადგენს. ამ მოქმედების მიხედვით გვერგვი წმინდათა-წმინდა და ზრდისა და ნაყოფიერების ძალის შემცველ ობიექტად ისახება; ახალწელიწადს დილით ოჯახს გვერგვი-თ მიუკვლევენ და მას კერის გარშემო შემოატარებენ; ოჯახის ყველა წევრი გვერგვი-ს ხელს შეახებს უთუოდ ხელის განათვის ან, როგორც სვანები იტყობდნენ (და ეს უკეთ გამოხატავს წამართულ გაგებას), „ხელის ახსნის“ მიზნით; მას საფუარზე ათავსებენ, ცხადია, ოჯახის ბარაქის მატებისათვის; იგი კალოზე გააქვთ, იქ მიწას შეახებენ (მიწაზე ათავსებენ) და მის თავზე ჰაერში ღვინოს ასხამენ მაგიური სიტყვების შეძახილით, რათა კარგი მოსავალი (დიდი ხვაი) გამოიწვიონ და სხვ.

ის ვარემოება, რომ გვერგვი და გვერგვი-თან დაკავშირებული წესჩვეულება ახალწელიწადის რიტუალის ორგანულ ნაწილს შეადგენს, ამ საგნის ასტრალურ კულტთან უშუალო კავშირზე მიუთითებს, რამდენადაც, როგორც აღვნიშნეთ, ახალწელიწადი მცენარეულის კულტთან ერთად ასტრალური კულტის ამსახველი დღეობაა.

<sup>1</sup> ფ. გარდაფხაძე, ლეჩხუმური დღეობები (კალანდა და ახალწელიწადი), ხელნაწერი, დაცულია ვნიმკი-ის ეთნოგრ. განყ. არქივში.



გვერგვი-ს კავშირს ასტრალურ კულტთან განსაკუთრებული სიღრმადით ამ საგნის გარეგანი გამოსახულება ამჟღავნებს: გ ვ ე რ გ ვ ი—წრე, მის ცენტრში მოთავსებული ჯვრით, რომლის წვრილად ჩათლილი ბოლოები წრის ნაპირისაკენ სხივების შესვლასად ეფინება,—მნათობი მზის ფორმასა და სხივოსნობას ასახავს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბარაქის



სურ. 18. კალაიანი ჩიჩილაკი.

გვერგვის ეს თავისებური გარეგნული გამოსახულება ასახავს ქართველების უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, რომელთა მიხედვით

მიმნიჭებელი და მარცვლელის ამალორძინებელი ძალის შემცველად მიჩნეული, გარეგანი გამოსახულებით სხივოსანი მზეს დამსგავსებული და დღეობა ახალწელიწადში წარმოდგენილი წმინდა გ ვ ე რ გ ვ ი მზის ღვთაების ემბლემის გადმოწაშია.


სხვადასხვა უძველესი ხალხებს მზის ღვთაების ემბლემებისაგან რაკალეჩუმური გ ვ ე რ გ ვ ი მნიშვნელოვანი დეტალით გამოირჩევა. იგი ლერწისაგან მოწნული რგოლია, მცენარეთა ფოთლებით და ნაყოფით, წითელი ვაშლებითა და სხვა საგნებით შემკული, მაშინ როდესაც უძველესი ხალხების მზის ემბლემა სხივოსანი ან ფრთოსანი დისკოა, ან უბრალო რგოლი და ან ოთხმარგილიანი ბორბალი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამ უკანასკნელის შესახებ იხ. Max Ebert, Reallexikon der Vorgeschichte, B. XII: „Sonnenscheibe“.



მზის თაყვანისცემა მცენარეულის კულტთან განუყრელად იყო მოცემული.

ამ ვითარებას ცხადპყოფს არა მხოლოდ რაქა-ღეჩხუმური საახალწლო რიტუალის მიზანდასახულობა და გვერგვი-ს, აგრეთვე სვანური გირგედ-ის, თავის ბური გარეგნული გამოსახულება. ქართველების მზის ემბლემას ჩვენ ვამოწმებთ მეტად საინტერესო



სურ. 19. საახალწლო ჩიჩილაკის კალპი. ხედი ზემოდან..


კომპლექსში, რომელიც მოცემულია გურიის მთიან მოსახლეობაში ეგრეთწოდებული „კალპიანი ჩიჩილაკის“ სახით. ჩვეულებრივი ჩიჩილაკისაგან კალპიანი ჩიჩილაკი განსხვავდებოდა იმით, რომ მას კალპი ჰქონდა გაკეთებული (სურ. 18). საახალწლო ჩიჩილაკის კალპი ლერწისაგან მოწნული რგოლია, რომლის D 4-ნ გოჯს უდრის. იგი ნორჩი ფოთლებით, სუროს ნაყოფით, კურკანტელით და თხილის კვირტიანი ტოტებით არის შემკული. ამგვარად დამშვენებულ კალპს ჩიჩილაკის თავზე აცმევდნენ. კალპი მაგრდება ჩიჩილაკის იმ ადგილზე, სადამდეც ჩიჩილაკის წვერები ათლილი და განივრად გადაშლილია. ამის შემდგომ ჩიჩილაკს კვერცხით შეზავებულ ყველის-

გულიან მრგვალსა და შუაზე გახვრეტილს კვერს—ბოკელს— ჩამოაცმევდნენ. ბოკელი კალპი-ს ზემოთ, უკანასკნელის მიმართ პერპენდიკულარულად მაგრდება. სიდიდით იგი კალპი-ს ზომისა არის. ბოკელ-ს ზემოთ, ჩიჩილაკის თავზე დამაგრებულია 4—6 გოჯის სიგრძე ხის ჯვარი, რომლის ორ წვერზე ჩამოაცმევდნენ ბურთულას ფორმის კვერს ყვინჩილა-ს, თითო წვერზე თითოს და დანარჩენ ორ წვერზე წყვილ ბროწეულს ან ვაშლს, თუ სხვა ხილეულს<sup>1</sup>.

თუ ჩვენ დავაკვირდებით გურულების საახალწლო კალპ-ს იმ „სამკაულებითურთ“, რომლებიც მასთან ერთად ჩიჩილაკის თავზეა მოთავსებული (სურ. 19, 20), ცხადი გახდება, რომ ეს კალპი მზის ისეთივე ემბლემაა, როგორც რაჭველ-ლეჩხუმლების საახალწლო გვერგვი. ამ უკანასკნელის მსგავსად კალპი ლერწისაგან მოწნული და მცენარეულით შემკული რგოლია; გვერგვი-ს მსგავსადვე კალპი-ს ზემოთ მოთავსებულია საახალწლო კვერი, რომელსაც გურიაში ბოკელი ეწოდებოდა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში საოჯახო ტაბლა; კალპი-სა და ბოკელი-ს ზემოთ მოთავსებულია ხის ჯვარი, რომლის წვერებზე ბურთივით მრგვალი ყვინჩილა—კვერები და წყვილი ბროწეული ან ვაშლია წამოცმული, ხოლო რაჭა-ლეჩხუმურ გვერგვი-ს ხის ჯვრის წვერებზე ვაშლებია ჩარჭობილი; გვერგვი-ს თუ სხივოსნობის გამოსახულებას ჯვრის წვრილად ჩათლილი ბოლოები ანიჭებს, ასეთივე სხივოსნობის გამოსახულება მოცემულია კალპ-შიც იმის წყალობით, რომ იგი


<sup>1</sup> Т. Мамалалдзе, დას. ნაშრ., გვ. 20—22. ცნობა მთიანეთის კალპიანი ჩიჩილაკის შესახებ პატ. აპოლონ შულაძემ მომაწოდა, რისთვისაც მას მადლობას მოვანსენებ. კალპიანი ჩიჩილაკის ნახატები შესრულებულია აღწერილობის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბარბაღეს კულტში ჭარბად წარმოდგენილი შინაური ფრინველები, განსაკუთრებით მამალი (თვალის ტკივილთან დაკავშირებით მათი შეწირვა, რწმენა, რომ ბარბაღე შინაური ფრინველების მომშენებელია, აგრეთვე გურულების ჩიჩილაკზე მოცემული ბურთულას ფორმის ყვინჩილა-კვერი და მისთ.), უთუოდ ბარბაღეს, როგორც მზის ღვთაებას, უკავშირდება. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მამლის კულტი, როგორც უნივერსალური და უაღრესად ძველი დროიდან მომდინარე მოვლენა. ვითარცა განთიადის მაუწყებელი ფრინველი მამალი უმეტეს შემთხვევაში მხესთან იყო ასოცირებული. W. H. Roscher, დასახ. ნაშრომი; А. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, Лен. 1936, გვ. 10; Е. Г. Кагаров, Культ фетишей, растений и животных в древней Греции, Жур. Мин. Нар. Просв., 1913, март, гв. 134—136.

ჩიჩილაკის წვერებზე დასვენებული—ჩიჩილაკის წვერები კალპი-ს ცენტრიდან კიდურებისკენ სხივების მსგავსად იშლება; დაბოლოს, კალპი ახალწელიწადის რიტუალის ატრიბუტია ისევე, როგორც გვერგვი. რაც შეეხება კალპი-ს მნიშვნელობას, იგი გვერგვი-ს მნიშვნელობის მსგავსი უნდა ყოფილიყო, რადგან კალპი ჩიჩილაკთან ერთად არის მოცემული და უთუოდ ჩიჩილაკისა და კალპი-ს



სურ. 20. საახალწლო ჩიჩილაკის „კალპი“. ხედი ზემოდან.

მნიშვნელობა ერთმანერთშია შერწყმული. ხოლო ჩიჩილაკთან არსებითად ისეთივე მოქმედება (ახალწლის მიკვლევა, კერის გარშემო მისი შემოტარება და სხვ.) იყო დაკავშირებული, როგორც რაჭულ-ლეჩხუმურ გვერგვითან. მაშასადამე, ჩიჩილაკი და მასთან ერთად კალპი, საახალწლო გვერგვი-ს მსგავსად, სიუხვისა და ბარაქის სიმბოლური გამომხატველი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ. ასეთი სრული დამთხვევა ცხადპყობს, რომ თუ გვერგვი მზის ღვთაების ემბლემის გადმონაშთს წარმოადგენს, მაშინ ამავე ემბლემის გადმონაშთად გურულების საახალწლო კალპიც უნდა იქნას მიჩნეული.




სურ. 21. საქორწილო გვირგვინი.  
საქ. საბ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ.  
კოლ. № 36—26/51.

კვლევის საინტერესო ობიექტი ჩიჩილაკი საგანგებო განხილვის ღირსია, მაგრამ ამჟამად მას დაწვრილებით არ ვეხებით. აღვნიშნავთ მოკოედ მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც მის თავდაპირველ მნიშვნელობას ამჟღავნებენ: 1. ჩიჩილაკი—მრავალტოტიანი ხის მსგავსი საგანია, რომელიც ზამთრის მზის მობრუნების დღეობასთან არის დაკავშირებული; 2. უძველესი კონცეპციის გადმონაშთი უნდა იყოს გურულების რწმენა: — ჩიჩილაკი რაც უფრო დიდია, მით უკეთესიაო, და 3. ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩიჩილაკი ბედნიერება-კეთილდღეობისა და დოვლათის სიმბოლური გამოსახულებაა. ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ჩიჩილაკის სახით განსახიერებულია ქართველების უძველესი შეხედულება მსოფლიო ხის შესახებ.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ხე მრავალ ძველ კულტურულ ხალხში, მათ შორის ძველ ეგვიპტელებში, მზესთან იყო ასოცირებული<sup>1</sup>. კალპიანი ჩიჩილაკიც ამგვარ კონცეპციას ასახავს, რამდენადაც აქ მზის სიმბოლო—კალპი მსოფლიო ხის სიმბოლურ გამოსახულებასთან—ჩიჩილაკთან არის შერწყმული და ორივე ერთად (კალპი და ჩიჩილაკი) ზამთრის მზის მობრუნების დღეობაშია მოცემული.

<sup>1</sup> Roscher, Lexicon, I, 38. 1518, 1541, 1546; Erman—Ranke, Aegypten und Aegyptisches Leben im Altertum, 1922, 397, 171.

ქართველ ხალხში მსოფლიო ხის კონცეპციის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს, ჩიჩილას გარდა, ერთი მხრივ, ქართულ ფოლკლორში დაცული შესაფერისი სახეები და, მეორე მხრივ, ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ე. წ. „ბატონების ხე“ და მეგრელების „კელაპტარი“. „ბატონების ხე“ ეწოდება ყვავილით და წითელათი დაავადებულის სუფრაზე („ბატონების ტაბლა“) აღმართულ ტოტს, რომელზეც ჩამოკიდებულია წითელი ნაჭრები, ხილე-



სურ. 22. საქორწილო გვირგვინი. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. კოლ. № 36—26/51.

ულ-ტკბილეული, პურის ცომისაგან გამომცხვარი და წითელი საღებავით მოხატული რკალის სახის პატარა კვერები, ბურთულეები, სხვადასხვა ფრინველები, ცხოველები და სხვ.; ხოლო მეგრელების „კელაპტარი“ მიცვალებულის სახელზე სანთლისაგან ჩამოსხმული თითქმის რეალური სიდიდის ხეა, რომლის ტოტებზე ფრინველებია მოთავსებული (იხ. საქ. მუზ. ეთნოგრ. გან-ის კოლექცია № 15-40). ამ ორ საგანში უთუოდ ასახულია უძველესი მსოფლმხედველობისა და კულტის სამი ძირითადი ელემენტი—სათაყვანებელი მზე (კალპის, ყვინჩილას, მამლის და სხვა ე. წ. „მზის ფრინველთა“ სახით), მსოფლიო ხე (ჩიჩილას, „ბატონების ხის“, და „კელაპტარის“ სახით) და მიცვალებულის კულტი („კელაპტართან“ დაკავშირებით). ამ სამ



ელემენტს ჩვენ ვპოულობთ ლახამულას ს ჟ ი ფ-ის კომპლექსშიც: სოფ-ლის მოედანზე დგას „წმინდა“ ხე, რომელზეც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უკანასკნელ ხანამდე მზის სიმბოლო—გირგედი ეკიდა და რომლის გარშემო ძველი სამარხებია მოთავსებული.

მაგრამ ღვეუბრუნდეთ სათაყვანებელი მზის ემბლემების საკითხს. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია სვანური გირგედისა, რაჭულ-ლეჩხუმური გვერ გ ვ ი-სა და გურული კ ა ლ პ ი-ს გვერდით ქართული გვირგვინის ამოყენება. გურია-სამეგრელოს და, საზოგადოდ, დასავლეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობის ხალხური საქორწილო გვირგვინი, თანახმად პატ. თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა ს და პატ. ა პ ო ლ ო ნ წ უ ლ ა ძ ი ს მიერ მოწოდებული ცნობებისა<sup>1</sup>, ლერწისაგარ მოწულ რგოლს წარმოადგენდა, გვერ გ ვ ი-ს მსგავსად. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართლურ-კახური ნეფე-დედოფლის გვირგვინი<sup>2</sup> აგრეთვე რგოლის ფორმისა, რომელსაც აქვს ოთხი მოგრძო ტოტი და რგოლის წინა ნაწილზე გასხივოსნებული ჯვარი; გვირგვინი რძისფერი შუშის მძივებითაა შემკული და მთლიანად ოქროს ან ვერცხლისფერი სირმით არის გადაკრული. ერთი სიტყვით, თავისი ფორმით, ტოტებით, სამკაულით და ფერით ქართლურ-კახური ხალხური საქორწილო გვირგვინი თითქოს მზის გარეგნულ გამოსახულებას, ფერსა და სხივოსნობას (განსაკუთრებით გვირგვინის ტოტების წყალობით) ასახავს (სურ. 21, 22).

საფიქრებელია, რომ ნეფე-დედოფლის თავზე ამგვარი გვირგვინის დადგმა ოდესღაც მაგიური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა—ახლად დაქორწილებულებს მზის მსგავს საგანს ადგამდნენ იმისათვის, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე-დედოფალზე გადასულიყო. ამასთანავე, თუ მოვიგონებთ იმ ფაქტსაც, რომ სვანურ ქორწილში ღვთაება ბარბაღეს (და აგრეთვე ლამარიას) კულტთან დაკავშირებული ლ ი ჭ ა ჳ ი-ს ( || ქ ა ჳ ი ლ ა რ ) წესჩვეულება სრულდებოდა,—გასაგები უნდა იყოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რაჭულ-ლეჩხუმურ გვერგვთან ქართული ხალხური საქორწილო გვირგვინის შეპირისპირება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ამ ცნობების მოწოდებისათვის პატ. თ. ს ა ხ ო კ ი ა ს და პატ. ა. წ უ ლ ა ძ ე ს მადლობას მოვასხენებ.

<sup>2</sup> ქვემოთ მოგვყავს საქართველოს მუხუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული კოლექციის № 36-26/51 აღწერილობა.

<sup>3</sup> აკად. ნ. მ ა რ ი ქართულ ტერმინს 'გვირგვინი' უდარებს ბერძ. *κορώνη* 'ბეჭედი', *κορώνις*, *κορώνις*, ლათ. *corona* და ბრეტ. *kürün* 'გვირგვინი'. მ ა რ ი ს

მაგრამ ამასთანავე საჭიროა გვირგვინთან დაკავშირებული ყველა წესჩვეულების და გვირგვინის ყოველგვარი მნიშვნელობის შესწავლა. ეს-კი სპეციალური მუშაობის საგანს წარმოადგენს, რომლის დროსაც მკვლევარს მოუხდება არა მხოლოდ ეთნოგრაფიული ფაქტებით იხელმძღვანელოს, არამედ ლინგვისტიკურ მონაცემებთან ერთად ისტორიულ სამწერლობო ძეგლებში დაცული მასალაც გაითვალისწინოს.

### III. მზე-ბარბალეს განახლების დღეობა

ზემოთ განხილული იყო ქართველი მოსახლეობის დღეობა-ბარბალობა, რომელიც სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სხვადასხვა ვარიანტებით არის წარმოდგენილი. მაგრამ ამ დღეობაში და ამ დღეობის შესახებ მეტად საყურადღებო თითქმის ყველა კუთხისათვის საერთო წესჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენებიც არსებობდა, რომელთა განხილვაზე ჩვენ ამჟამად გადავდივართ.

#### 1. ზამთრის ნაბუნიაობის დღეობა

სვანებს ღრმად სწამდათ, რომ ბარბალობასა და მზის მოქცევის შორის მკიდრო კავშირი არსებობდა. ლახმულელების და მესტიელების წარმოდგენით ბარბოლ || ბარბლს შ-ს სამი დღის განმავლობაში მზე ერთ ადგილზეა გაჩერებული და არ იძვრის. სვანების უმრავლესი მოსახლეობის ძველი რწმენის თანახმად-კი ამ დღეობაზე მზე მამლის (მამგლ), ან ვერძის (გიცვარ) ერთ ან

დებულების მიხედვით, პალეონტოლოგიური ანალიზის შედეგად 'გვირგვინი' და 'ბეჭედი' სემანტიკურ არქეტიპში არის 'ცა', resp. მისი ნაწილები და, მაშასადამე, ეს სიტყვა სახესხვაობას წარმოადგენს 'ცა-დროისას'—ბერძ. ἔβραχυός 'ცა', χροῖος 'დრო'. და თუ ეს ასეა, ასკენის აკად. მარი, მაშინ ამ სიტყვას შეეძლო 'ციდან' აღმნიშვნელი ყოფილიყო 'ქუხილისა' და 'ქარიშხლისა', რომელ მნიშვნელობითაც ამ სიტყვას ვბოულობთ ქართულში გრგვინვის და ბრეტონულში künün 'ქუხილის' სახითაო. Н. М а р р, Бретонская наименовская речь в увязке языков Афреварзий, Избр. работы, т. IV, გვ. 217.

სამ ნახტომს აკეთებს და ამიტომ ბარბოლ || ბარბლჳშ-იდან დღე მატულობსო<sup>1</sup>.

სვანების მსგავსად, მეგრელებიც ბარბალობას მზის მოძრაობას უკავშირებდნენ. მათი რწმენით, ამ დღეობაზე მზე ერთი ნაბიჯით უკან გადახტება და დღე მატებას იწყებს<sup>2</sup>.

გურულებსაც ამგვარადვე სწამდათ, რომ „ბარბალობიდან დღეი მატულობს თითო ქათმის ფეხის ნაბიჯსაო“<sup>3</sup>.

ქართულებიც ამ დღეობას უშუალოდ მზის მოქცევას უკავშირებდნენ და აღნიშნავდნენ—ბარბალობიდან დღე მატულობს და ღამე კლებულობს იმდენზე, რამდენზედაც სამი დღის ბატკანი გადახტებაო<sup>4</sup>.

საფიქრებელია, რომ დანარჩენ ქართველ მოსახლეობაშიც, სადაც ამ დღეობის გადახდა იცოდნენ, ბარბალობასთან დაკავშირებით ასეთივე შეხედულება იყო გავრცელებული<sup>5</sup>.

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 1, 3, 4, 6, 7, 10, 11, 15.

<sup>2</sup> И. К о б а л и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

<sup>3</sup> ი. მეგრელიძე, დასახ. ხელნაწერი.

<sup>4</sup> პ. ბრეგვაძის ცნობით.

<sup>5</sup> სხვათა შორის ყურადღების ღირსია ზემომოყვანილი შედარებები. მათი მიხედვით ბარბალობის დღეს მზის მოძრაობა ქათმის ან ბატკნის ნაბიჯს უდრის, ან მზე მამლის თუ ვერძის ნახტომს აკეთებს. ეს შედარებები მეტაფორულია. ამ მეტაფორის გამოცნობას აადვილებს იმის ცოდნა, რომ მამალი და საზოგადოდ ქათამი ბარბალეს შესაწირავი საყვარელი ფრინველია, რომელიც მას, როგორც მზის ღვთაებას, უკავშირდება. თუ ამ მხარეს გავითვალისწინებთ, მაშინ მამლისა და ქათმის ნახტომი მზე-ბარბალეს მოძრაობის მეტაფორად ჩანს.

რაც შეეხება ვერძსა და ბატკანს, რომლებიც ქართულ და ნაწილობრივ სვანურ შედარებებშია მოცემული, ეს ცხოველი სხვა დღეობების მიხედვითაც მზესთან არის ასოცირებული. მაგრამ ამგვარი ასოციაციის მაგალითები უმთავრესად აღდგომის დღეობასთან დაკავშირებით მოწმდება და ამიტომ შესაძლებელია ამ მოტივით ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებული ქრისტე-მზე-კრავის სიმბოლიკა ისახებოდეს (ქრისტიანულ ზელოვნებაში ქრისტე-კრავის სიმბოლიკის შესახებ იხ. Н. П о л к о в с к и й, Очерки памятников православной иконографии и искусства, СПб. 1894, გვ. 27—31; ქრისტე-მზის გამოსახულება იხ. Атлас по истории религии, сост. при участии проф. А. А. Захарова, проф. Е. Г. Кагарова, проф. В. К. Никольского, доц. С. Л. Урсыновича и И. А. Шпицберга, გვ. 216, სურ. 524). კახელების ძველი რწმენით, აღდგომას დილით ძალიან ადრე მზე ბატკანს ეთამაშება. ამ თამაშს ყველა დაინახავს, თუ მზის ამოსვლას დაესწრება. ამ დროს მზე ხან წითლდება, ხან ლურჯდება და ხან თეთრდება; ზოგჯერ იგი კაშკაშებს, ზოგჯერ კი გვერდზე გახტება. ეს იმას ნიშნავს, რომ მზე ბატკანს ეთამაშება. ამ დროს მზე ისეთი კეთილი და მხიარულია, რომ ადამიანის თვალს ზიანს არ აყენებსო (И. С т е п а н о в, Поверья грузин

რწმენა-წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ბარბალობას მზე ერთ ადგილზეა გაჩერებული და არ მოძრაობს, რომ ამ დღეობიდან დღე მატებას იწყებს და ღამე კლებულობს, — ბარბალობას როგორც ზამთრის მზის დადგვის დღეობას გამოავლენს.

ამ ვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ბარბალობის თარიღიც: ეთნოგრაფიული მასალების თანახმად ქართული ხალხური ბარბალობა ხანგრძლივი (ორ-სამდღიანი) დღეობა იყო და მას 4—6 დეკემბერს (ძვ. სტ.) დღესასწაულობდნენ. ცხადია, ეს თარიღი ზემოწვევით მიახლოებულია ზამთრის მზის დადგვთან, რომელიც, როგორც ვიცით, 9 დეკემბერს (ძვ. სტ.) მოდის<sup>1</sup>.

მაშასადამე, რწმენის გადმონაშთები და დღეობის თარიღი ამტკიცებს, რომ ბარბალობა ოდესღაც ზამთრის ნახევანიობის დღეობა უნდა ყოფილიყო.

სპეციალურ ლიტერატურაში დამტკიცებულად ითვლება, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ შობის დღე იბა დააწესა მზის დაბადების უძველესი წარმართული დღეობის შესანაცვლებლად. უძველესი

Телавск. уезда, СМОМПК, вып. 17, отд. II, стр. 140—141). მსგავსი წარმოდგენები დამოწმებულია რაჭველებშიც. უკანასკნელთა რწმენით აღდგომას მზე ცხვარს ეთამაშება—ხან მაღლა ისვრის და შემდეგ იჭერს, ხან ჰკოცნის და სხვ. (Г. Д ж а п а р и д з е, Народные праздники, обычаи и поверья рачинцев, СМОМПК, вып. 21, отд. II, გვ. 124).

ცხვრის სიმბოლკა, როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ წარმართობიდან შეითვისა (Н. Покровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 27) და ამიტომ გამოირიცხული არ არის მეორე შესაძლებლობაც, სახელდობრ ის, რომ ქართველ ხალხში აღნიშნული მოტივი უშუალოდ წარმართობიდან მომდინარეობდეს. ყოველ შემთხვევაში ცხვარი ქართველებში მეტად გავრცელებული სამსხვერპლო ცხოველი იყო. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ცხვარს ხევსურებშიც-კი, რომელთა მურწნეობის წამყვან დარგს მსხვილფეხა საქონლის მურწნეობა შეადგენდა და ახლაც შეადგენს. ხევსურთა თქმით, ცხვრის მოშენებას ისინი იმდენად მისდევდნენ, რამდენადაც ცხვარი საჭირო იყო „ჯვართ ზღვნად და მატყლ—ტალავრისად“ (ნ. მაკალათია და მ. ბალიაური, მესაქონლეობის წესები ხევსურეთში, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ის ეთნოგრ. განყ. არქივში). საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლებზე ცხვრის, კერძოდ, ვერძის, როგორც საკულტო ცხოველის, გამოსახულების შესახებ იხ. Н. Марр, Талыши, СІБ, 1922, გვ. 17—18.

<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ქრისტიანული ბარბალობის თარიღსა და საზოგადოდ წმ. ბარბარას კულტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გარდა იმისა, რომ ქრისტიანულმა ბარბალობამ თავისი თარიღის დამთხვევით მართლმადიდებელ საქართველოში უძველესი წარმართული დღეობა ოფიციალურად დააკანონა და ამით იგი საბოლოო განადგურებას გადაარჩინა.

წარმართი ხალხების წარმოდგენით მზის განახლება-აყვავება წლის ყველაზე უფრო მოკლე დღეს, ე. ი. ზამთრის მზის ნაბუნობას, ხდებოდა და მზის სინათლე და სითბო. მატებასა და გაძლიერებას ამ დღიდან იწყებდა<sup>1</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარსავე წარმოდგენებს ასახავს ქართულ ბარბალობასთან დაკავშირებით არსებული და ზემოთმოყვანილი ხალხური რწმენის გადმონაშთები და თვით ბარბალობაც ოდესღაც მზის განახლება-აყვავების და სითბო-სინათლის მატებისა და გაძლიერებისათვის განკუთვნილი დღეობა უნდა ყოფილიყო. რწმენის გადმონაშთებისა და დღეობის თარიღის გარდა, ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ბარბალობის ერთ-ერთ სვანურ (მულახურ) ვარიანტში დაცული უძველესი წესჩვეულების გადმონაშთი. მაგრამ ვიდრე ამ გადმონაშთის განხილვაზე გადავიდოდეთ მოგვიხდება შეჩერება ე. წ. ცეცხლის დღეობებზე და მათ შესახებ არსებულ მეცნიერულ თეორიებზე.

## 2. ცეცხლის დღეობები და ცეცხლთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამოწმებულია თანამედროვე კულტურული ხალხების ახლო წარსულში არსებობა ე. წ. ცეცხლის დღეობებისა (The Fire-festivals) და ცეცხლთან დაკავშირებულ მაგიურ-წესჩვეულებათა გადმონაშთებისა, რომლებიც წლის გარკვეულ დღეებში და აგრეთვე ადამიანის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევების გამო სრულდებოდა. ცეცხლის დღეობები ნაირნაირი სახისაა, სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა წესჩვეულების შემცველი. ეს წესჩვეულებები სხვათა შორის ასახავს სხვადასხვაგვარ მოქმედებას ჩირაღდნებით, ცეცხლმოკიდებული ხის დისკოებით, მუგუზლებით და სხვ. და კოცონების ირგვლივ გარკვეული სახის ცერემონიალს<sup>2</sup>.

ამ დღეობათა წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ ძირითადად ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორია არსებობს. ერთი თეორია, რომელსაც სოლარული თეორია ეწოდება, ეკუთვნის Mannhardt-ს და მეორე, ეგრეთწოდებული განწმენდის თეორია — Westermarck-მა წამოაყენა.

<sup>1</sup> J. G. Frazer, The Golden Bough, a study in magic and religion, VII, Balder the beautiful, v. I, London 1923, გვ. 332.

<sup>2</sup> დაწვრილებით ცეცხლის დღეობების შესახებ იხ. J. G. Frazer, დასახ. ნაშრომი, VII, გვ. 106—327.



სოლარული თეორიის მიხედვით, ცეცხლის დღეობების წესჩვეულებები წარმოადგენს მაგიურ ანუ ჯადოსნურ მოქმედება-ცერემონიებს, რომელთა მიზანია მიმბაძველობითი მაგიის პრინციპის თანახმად, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთათვის მზის ძვირფასი და უხვი სინათლის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევა ციური სინათლისა და სითბოს დიადი წყაროსადმი მიმბაძველობის გზით მიწაზე სრულდება. სოლარული თეორიის მიმდევრების თანახმად ცეცხლი, ისევე როგორც მზე, შემომქმედი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს მცენარეულის ზრდას და ყოველივე იმის განვითარებას, რაც ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე დადებით ზეგავლენას ახდენს<sup>1</sup>.

განწმედის თეორიის მიხედვით კი, ხელოვნურად შექმნილ ცეცხლს აუცილებლად მზესთან კავშირი არა აქვს. ცეცხლის დღეობათა ცერემონიების მიზანი არის განწმედა მავნებელ ზემოქმედებისაგან, რომელიც შეიცნობა ან როგორც ავი სულები, დემონები და მისთანანი, ან როგორც ისეთი გაუპიროვნებული ფორმა, როგორცაა სახადი, ჰაერის მოწამვლა და სხვა. განწმედა ამ მავნებელ ძალთა დაწვა-განადგურების გზით ხდება. განწმედის თეორიის თანახმად ცეცხლი ძლიერი დამრღვეველი ძალაა, რომელიც ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთათვის სახიფათო და მავნე სულიერ და ნივთიერ ელემენტებს ანადგურებს.<sup>2</sup>

ამ ორი თეორიის შორის საშუალო პოზიცია დაიჭირა J. G. Frazer-ის თეორიამ. ფრეზერი, რათქმაუნდა, ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ზემოდასახელებული თეორიები ცეცხლის შესახებ ორ სხვადასხვა წარმოდგენას ემყარება (პირველის მიხედვით ცეცხლი, ისევე, როგორც მზე, შემომქმედი ძალაა, ხოლო მეორე თეორიის თანახმად ცეცხლი ძლიერი დამრღვეველი ძალა არის). მაგრამ—აღნიშნავდა ფრეზერი—მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი თეორია ცეცხლს პრინციპულად სხვადასხვა ხასიათს ანიჭებს, ისინი (თეორიები) ერთმანეთს არ გამორიცხავენო. ფრეზერის აზრით, ცეცხლის ანთება დღეობებზე შესაძლებელია პირველად მზის სინათლისა და სითბოს მიმბაძველობით იყო გამოწვეული.

<sup>1</sup> Wilhelm Mannhardt, Wald und Feldkulte, I, Berlin 1904, გვ. 497.—566.

<sup>2</sup> Westermarck, Ceremonies and Beliefs connected with Agriculture, certain Dates of the Solar Year and the Weather in Morocco, Helsingfors 1913, გვ. 93—102.

რაც შეეხება ხალხის წარმოდგენას ცეცხლზე, როგორც განმწმედავ ძალაზე, ეს უკანასკნელი ცეცხლის ისეთ ატრიბუტს წარმოადგენდა, რომლის პირველადი და უშუალო წყარო მზის სინათლის განმწმედავი თვისება იყო. ასეთ აზრს ადგა ფრეზერი თავის კაპიტალური ნაშრომის *The Golden Bough*-ის მეორე გამოცემაში<sup>1</sup>. მაგრამ ამ ნაშრომის შემდგომ გამოცემებში ფრეზერმა აღიარა—ბოლო ხანს ვესტერმარკმა სერიოზული მოსაზრებები წამოაყენა განწმედითი თეორიის სასარგებლოდ და ფაქტების ხელახალი დაწვრილებითი განხილვის შედეგად უნდა აღვნიშნო, რომ ვესტერმარკის თეორია უფრო სწორი უნდა იყოს. ამასთანავე ფრეზერი ხაზს უსვამს იმ ვითარებას, რომ ვესტერმარკის თეორია სავსებით უდავოდ ვერ ჩაითვლება და ამის საბუთად მოჰყავს რიგი ფაქტებისა, რომლებიც სოლარული თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს<sup>2</sup>. ჩვენი თემისათვის ამ ფაქტებიდან ზამთრის და გაზაფხულის მზის მობრუნების დღეობების წესჩვეულებებია საყურადღებო.

ქართველი ტომების ეთნოგრაფიულ მასალებში ე. წ. ცეცხლის დღეობების ნაშთები მრავლად მოიპოვება. ჩვენთვის კარგად ცნობილი „ჭიაკოკონობა“, სვანური „ჰორიო მნშ“ და მისთანანი ავი სულების საწინააღმდეგო წესჩვეულებებს წარმოადგენს. ეს წესჩვეულებები დამყარებულია ხალხის უძველეს წარმოდგენაზე ცეცხლის შესახებ, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო და ყოველგვარი უწმინდურებისაგან განმწმედავ ძალაზე.

ქართლში „ჭიაკოკონობა“ დღეს ეზოებში ცეცხლს ანთებდნენ, ახალგაზრდები მის გარშემო დარბოდნენ, ზედ ახტებოდნენ და თან გაიძახოდნენ „არული კუდიანებსაო“, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ „ჭიაკოკონობის“ ცეცხლი ავი ძალების („კუდიანების“) საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი.

ლიტერატურაში ცნობილი აღწერილობის თანახმად, რაქაში „დიდ-ხუშაბათს, ყოველი მოსახლისას, დღე და ღამე რომ გაიყარება, ყმაწვილები დაანთებენ კალოზე ცეცხლს და დარბიან გარშემო, უფროსები წავლენ ვენახში და დაუწყებენ რაწკუნს რკინეულობას და იძახიან: „არული კუდიანებსა, ჩვენ ვენახში ტევნა-ტევნა, სხვის ვენახში კიმპლა-კიმპლა“. ვითომ ამ რაწკუნით კუდიანები დაფრთხე-

<sup>1</sup> J. G. Frazer, *The Golden Bough*, London 1900, გვ. 312.

<sup>2</sup> J. G. Frazer, *The Golden Bough*, P. VII, v. 1, 1923, გვ. 330—341.

ბიან, წავლენ და ვენახს ზარალს ველარ მისცემენო“, დასძენს ამ ჩვეულების აღმწერი<sup>1</sup>.

ხევსურებში ამ ცეცხლის დღეობას პირდაპირ ავ ძალებთან დაკავშირებული სახელწოდება, „კუდიანწუხრა“, ჰქვია. „დიდ ხუთშაბათ სალამოს ყველაის კარზე დაენთება ცეცხლები. ამას ჰქვია „ჭიაკაკოლაობა“. ცეცხლებს რომ დაანთებენ „ოკებს“<sup>2</sup> ჩააწყობენ ძირებით ცეცხლში და ცეცხლს მოუკიდებენ. ამ ცეცხლიან „ოკებს“ ისვრიან მშვილდებით და იძახიან: „გრიია გრის კუდიანთა, თავის შასვითა, შაჰამეთ-ო“<sup>3</sup>.

სვანეთში დიდმარხვის უკანასკნელ კვირას ორშაბათიდან დიდ ხუთშაბათამდე „ჰერია ( || ჰორია) მიშ“ ანუ „ლიგოტვლი ( || ლიგოტინალი)“ ეწოდებოდა. ამ დღეებში ყოველ სალამოს მამაკაცები და ახალგაზრდობა კერიდან ავარვარებულ მუგუზლებს გარეთ გააქანებდნენ და ყვირილითა და ხმაურით ავი სულების დასაფრთხობად შორს გადაისვროდნენ<sup>4</sup>.

საერთოდ ქართველებში წარმოდგენა ცეცხლზე, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო უდიდეს განმწმედავ ძალაზე, მეტად გავრცელებული იყო. ამისათვის საკმარისია თუნდაც, მოყვანილ მაგალითებთან ერთად, გათვალისწინებულ იქნას ხევსურების მშობიარობასთან დაკავშირებული წესჩვეულება, რომელსაც, ცხადია, გარკვეულ დღეობებთან არაერთარი კავშირი არა აქვს. როგორც ცნობილია, ხევსურებში თვიურიანი და, განსაკუთრებით, მშობიარე ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა. ხალხს სწამდა, რომ ავი სულები ყველაზე მეტად ქალს ამ მდგომარეობაში ყოფნის დროს ეტანებოდა. მენსტრუაციის დროს ხევსური ქალი ე. წ. სამრელო-ში ცხოვრობდა, ხოლო მშობიარობა ხდებოდა ცალკე ქოხ-ში, სადაც მშობიარე მარტოდ-მარტო იყო დატოვებული. ახლად მომშობიარებული დედა, იმისათვის, რომ სამრელო-ში გადასულიყო, განწმედის გარკვეულ პროცედურას ასრულებდა. ის სხვათა შორის დასწვავდა სალოგინ-ს (ჩალას, რომელზეც მოილოგინა) და დაშლიდა ქოხ-ს, ან სალოგინ-ს მსგავსად ქოხ-საც ცეცხლს წაუკიდებდა და გადასწვამდა. ოთხი-ექვსი კვირის სამრელო-ში ყოფ-

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, სოფ. ბოსტანა, აკაკის თვიური კრებული, № XI, 1899, განყ. II, გვ. 9.

<sup>2</sup> „ოკი“ ეწოდება ისარს, რომელსაც ფრთები არა აქვს დაკრული.

<sup>3</sup> ალ. ოჩიაური, არხვატის დღეობები („კუდიანწუხრა“), ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრ. განყ-ის არქივში.

<sup>4</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ., ხელნაწერი.

ნის შემდგომ მანდილოსანი თავისი ბავშვით ოჯახს უბრუნდებოდა მაგრამ ამ დროსაც, იმისათვის რომ ის საშინაო გამხდარიყო, საჭირო იყო განწმედა, რომელიც, სხვათა შორის იმაში მდგომარეობდა, რომ ქალს ცეცხლი უნდა დაენთო და ზედ გადაეტარებინა სამრელო-ში გაკეთებული ხელსაქმე, აკვანი, ჯამ-ჭურჭელი, ბავშვი და თვითონაც ამგვარადვე განწმედილიყო. თითოეული საგნის ცეცხლზე გადატარების დროს ის ამბობდა: „ცეცხლო, შენი სიწმინდე [ამას] მიეციო<sup>1</sup>.

მოყვანილი მაგალითები (რომელთა რიცხვი ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გაცილებით მეტია) ცხადყოფს, რომ ქართველ ტომებში ცეცხლი ავი სულებისაგან განწმედავ ძალად იყო მიჩნეული.

### 3. ბარბაღეს სახელობის ზამთრის და გაზაფხულის ცეცხლის დღეობები

ქართველებში არსებობდა ცეცხლთან დაკავშირებული ისეთი წესჩვეულებებიც, რომლებიც თავდაპირველად მზის შესახებ წარმოდგენებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ზამთრის პერიოდის ამგვარ წესჩვეულებათა შორის აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოში ბოლო ხანამდე კარგად დაცული საახალწლო მუგუზლებთან დაკავშირებული მოქმედებანი. ახალწელიწად დილით ოჯახის უფროსი სახლში დიდ ცეცხლს გააჩაღებდა, შემდეგ ანთებულ მუგუზალს ცეცხლში შეანძრევდა ისე, რომ მას მრავლად ნაპერწკლები დასცენოდა და თან დაიძახებდა: ამდენი ძროხა, ამდენი გოჭი, ამდენი ქათამიო და ოჯახის სხვა ბარაქას ჩამოსთვლიდა. ხშირად ამ წესჩვეულების შესრულება მეკვლეს მოვალეობას შეადგენდა<sup>2</sup>. ახალწელიწად დღეს დიდი ცეცხლის დაჩითით, მუგუზლის შენძრევის საშუალებით გამოწვეული ნაპერწკლის სიმრავლით და მაგიური სიტყვიერი ფორმულებით ხალხს სწადდა მთელი წლისათვის ოჯახის ბარაქის დაბეგება. ეს წესჩვეულება აშკარა ჯადოსნური მოქმედებაა და რადგან იგი დაკავშირებულია ზამთრის მზის მობრუნების დღეობასთან, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოდესღაც მზის შესახებ წარმოდგენებით იყო შეპირობებული. თითქმის სავსებით ანალო-

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტფ. 1928, გვ. 249, 250.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

გიორგის შობის მუგუზლის შესახებ, რომლის წესჩვეულება სხვათა შორის გაგრძელებული იყო დასავლეთ ევროპის ხალხებშიც, ფრეზერი ფიქრობს, რომ მისი პირველადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ზამთრის მიმქრალი მზისათვის დახმარების აღმოჩენა იმისათვის, რომ მზეს თავისი მომაკვდავი სხივები გაეძლიერებინაო<sup>1</sup>.

ახლა გადავიდეთ ჩვენთვის საყურადღებო დღეობა ბარბალობის მულახური ვარიანტის განხილვაზე.

დიდი ხნით ადრე ბარბალობამდე მულახის მოსახლეობა არყის ხეებს ძირიანად ამოაგდებდა, წვილად დასჭრიდა და საცხოვრებელი ბინის შუა-ცეცხლის სხვენზე გასახმობად შეაწყობდა. ბარბალობის წინ სამი დღის განმავლობაში ბარბალეს სახელობის ეკლესიის გალავანში ამ გამხმარი არყის ხის კონები მიჰქონდათ და იქ უზარმაზარ კოცონს აჩენდნენ. ამ კოცონის ირგვლივ თავს იყრიდა სოფლის მოსახლეობა, დიდი და პატარა. დიასახლისებს შინიდან მიჰქონდათ პურის ფქვილი, არაყი და სხვა საწვავი. ცეცხლის პირად სადღეობო კვერებს აცხობდნენ ცალკე ოჯახის ჯანმრთელი წევრებისათვის და ცალკე თვალის ტკივილით დასნეულებულთათვის. შემდეგ იქვე ცეცხლის პირად ამ კვერებს შესაფერისი ლოცვა-ვედრებით ბარბალეს შესწირავდნენ და შენაწირს ეზიარებოდნენ. მთელი ღამის განმავლობაში გათენებამდე მოსახლეობა ცეცხლს არ შორდებოდა, ხოლო ახალგაზრდობა ამ დროს ცეცხლის ირგვლივ დროს ატარებდა ცეკვა-თამაშსა და სიმღერა-მოლხენაში<sup>2</sup>. სვანი მხარეთმცოდნე დარისპან მარგიანის ცნობით, ძველად მულახში ეს წესჩვეულება თურმე ბარბალეს სახელობის ყველა ეკლესიასთან სრულდებოდა<sup>3</sup>.

საზოგადოებრივი კოცონების დანთება, მათ გარშემო ორივე სქესის ახალგაზრდობის და მოხუცთა შეკრება, ცეკვა-თამაში და სიმღერებით დროს ტარება ცეცხლის დღეობათა გარკვეული რიგის ტიპიური სახეობა არის. ამგვარი ცეცხლის დღეობები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მრავლად და მოწმებული.

ამ ცეცხლის დღეობათაგან სვანური ვარიანტი გამოირჩევა იმით, რომ კოცონების გაჩენა სვანეთში ბარბალობას და ბარბალეს სახელზე ხდებოდა. ამას გარდა, მულახურ ბარბალობაში მოცემულია

<sup>1</sup> J. G. Frazer, დასახელ. ნაშრომი, გვ. 332.

<sup>2</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 13—14.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 14, შენ. 1.



თვალის ტკივილის საწინააღმდეგო ლოცვა-ვედრება და შესაწირა-  
ვები, რომლებიც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, თვალთან ასოცი-  
რებული თვალის შუქის უზენაეს გამგებლის მზე-ბარბალეს კულტის  
ელემენტებს წარმოადგენს. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებანი სა-  
კმაოდ ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ბარბალობას კოცონების  
დანთების წესჩვეულება თავდაპირველად მზე-ბარბალეს სიტბო-სი-  
ნათლის გაძლიერებისათვის განკუთვნილი მაგიური მოქმედება უნდა  
ყოფილიყო მით უფრო, რომ ეს წესჩვეულება ზამთრის ნაბუნობას  
სრულდებოდა.

ამგვარად, ბარბალობასთან დაკავშირებით მოცემული ხალ-  
ხური რწმენა-წარმოდგენები ბარბალობიდან დღის მატების შესახებ,  
მზის დადგთან ზედმიწევნით მიახლოებული დღეობა ბარბალობის  
თარიღი და ამ დღეობის მულახურ ვარიანტში დაცული კოცონების  
გაჩენის წესჩვეულება ცხადჰყოფს, რომ ბარბალობა ოდეს-  
ღაც მზე-ბარბალეს განახლება-აყვავების და სიტ-  
ბო-სინათლის მატებისა და გაძლიერებისათვის გან-  
კუთვნილი ზამთრის ნაბუნობის დღეობა იყო.

ვიდრე ბარბალეს კულტის სხვა ელემენტების განხილვაზე გა-  
დავიდოდეთ, უნდა შევეხოთ ერთ-ერთ ხევსურულ დღეობას, რომ-  
ლის წესჩვეულების ანალიზის საშუალებით შესაძლებელი ხდება ბარ-  
ბალეს სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცეცხლის დღეობის  
გადმონაშთის დადგენა.

ხევსურულ დღეობათა კალენდარში მოიპოვება ერთ-ერთი გა-  
ზატხულის დღეობა, რომელსაც მარიემწმიდაობა ეწოდება.  
მარიემწმიდაობა ბავშვების დღეობა იყო, მოდიოდა აღდგო-  
მის (|| აღვსების || აჯსების) წინა დღეს და ორი დღე გრძელ-  
დებოდა. დღეობის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენდა გუჯი-  
ნა-ს დანთება და მთიდან დაგორება. გურჯინა ანუ გუჯინა  
ეწოდება წნელისაგან მოწულ ისეთ გოდორს, რომელიც ჩალით  
გამოვსებული და ყოველი მხრიდან გამოწულთა ისე, რომ ღია  
პირი არსაიდან არა აქვს. ამ გურჯინა-ს ბავშვები კეტებს  
გაუყრიდნენ და მახლობელი მთის წვერზე აიტანდნენ. ეს ხდებოდა  
მარიემწმიდაობის წინა დღეს. ამავე დღეს ბავშვები კენჭის-  
ყრის საშუალებით ირჩევდნენ თავიანთ შორის ჯელოსანს და  
დასტურებს. ხევსურული წესისდა მიხედვით დასტურებს ქვე-  
ქვე ჯვარიდან (არხოტის მთავარი სალოცავი) ლუდი მიჰქონ-  
დათ, ჯელოსანი მარიემწმიდის წესების შესრულებას გან-  
გებდა და მარიემწმიდის სალოცავიდან ხის ჯვარი გაჰქონდა.

ამ ხის ჯვარზე დახვეული იყო ქალების მიერ შეწირული სათმეები— გრძელი და ჭრელი, წიფეხასხმული „ბაწარი“, რომელსაც ძველად ხეცური ქალები თმის ნაწნავში ატანდნენ. აღვსების ღამეს ბავშვები ერთ-ერთი მოსახლის ჭერხო-ში ღამეს ათევდნენ ცეცხლის გარშემო სმა-ჭამასა და მხიარულებაში. სოფლის თითოეულ მოსახლეს მათთან საკვლევი მიჰქონდა— ხინკალი და ერბო, ან კეცეულები და ერბო და თავს დაამწყალობინებდა. დამწყალობების დროს ბავშვები ფეხზე წამოდგებოდნენ და ხმა-მალა დაიძახებდნენ: „ღედა მარიამო, შენ სწყალობდი ჩვენს გამკვლევის, მავათ გარსა, ფურსა, გუთანსა, ჭარის ნაწნავსა, ფურის ნაწველსაო“. ამ სიტყვებს დიდხანს იმეორებდნენ. დილაზე, თენების დროს, როდესაც არხოტის ჯვარში ჯვარიონნი ჟამს სწირავდნენ და ჟამის-წირვის ზარს ჩამორეკავდნენ, მთის წვერზე ასული და გურჯინას-თან შეჯგუფული ბავშვები გურჯინა-ში მოქცეულ ჩალას ცეცხლს წაუკიდებდნენ. როდესაც ცეცხლის ალი გურჯინას-ს მოედებოდა, მას მთის ფერდობზე დააგორებდნენ და კვილ-ყვირილით დაედევნებოდნენ. აღმოდებულ გურჯინას-ს ცეცხლის კვალი მისდევდა, რადგან გზა-და-გზა მას ცეცხლწაკიდებული ჩალა სცვიოდა. ასე ჩამოეშვებოდნენ ჯერ კიდევ ბინდით მოცულ აღვსებას დილა-ადრიან გურჯინა და ბავშვები ჭალა-ში. აქ გურჯინა-სთან ერთად ბავშვებიც შეჩერდებოდნენ, დაიცდიდნენ, ვიდრე გურჯინა სულ არ დაიწვებოდა, გადარჩენილ ნამწვარს და ნაცარს ქვებს დააყრიდნენ, ჩამარხავდნენ, შეარისებდნენ იმას, ვინც გაბედავდა ამ ადგილიდან რისამე წაღებას, შემდეგ წავიდოდნენ ჭერხოში, სადაც ღამე ათიეს, იქ დარჩენილი სასმელ-საჭმელით დაიტვირთებოდნენ და მარიემ-წმიდის სალოცავისაკენ გაეშურებოდნენ. მარიემ-წმიდა-ში (ასე ეწოდებოდა სოფლის თავზე ყოვით შემოვლებულ და ჯიხვის რქებით შემკულ ადგილს) ცეცხლს დაანთებდნენ, ამწყალობებდნენ საკვლევის-ს მომტანთ, რომელნიც გათენებისთანავე იწყებდნენ მათთან ძღვნით მისვლას, და სმა-ჭამა-მხიარულებაში დროს ატარებდნენ<sup>1</sup>.

მარიემ-წმიდაობა-ში ქრისტიანული ელემენტი მხოლოდ წმინდა მარიამის სახელით არის მოცემული. არსებითად მარიემ-წმიდაობა უძველეს წარმართულ დღეობას წარმოადგენს.

<sup>1</sup> ალ. ოჩიაური, დასახ. ხელნაწერი. ამ დღეობის მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს აგრეთვე ურბნელს, — იხ. მისი ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალ. საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ II, 1940, გვ. 86, შენ. 1.

წარმართული ელემენტებიდან ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ამ ღვთაებაში დაცული ე. წ. ცეცხლის ღვთაობის გადმონაშთი, რომელსაც მრავალი ანალოგი მოეპოვება კულტურულ ხალხებში ფართოდ გავრცელებულ გაზაფხულის და ზაფხულის ცეცხლის ღვთაებებში<sup>1</sup>.

მარიემწმიდაობას ცეცხლის ღვთაობის ხასიათს ანიჭებს გურჯინას მოწმის, მისი ანთების და ცეცხლმოკიდებული გურჯინას მთიდან დაგორების ცერემონიალი. ამ ღვთაობისათვის გურჯინას საგანგებოდ მოწმავდნენ და ცდილობდნენ მისთვის მომრგვალებული ფორმა მიეცათ. ჩაღით გამოვსების შემდგომ პირს აუკრავდნენ, რაც მას უფრო მეტ სიმრგვალეს ანიჭებდა. ამასთანავე საგულისხმეოა, რომ, როგორც ღვთაობის აღწერილობიდან ჩანს, გურჯინას გაკეთების, ანთებისა და მისი მთიდან დაგორების დროს არავითარი ლოცვის წარმოთქმას ან რელიგიური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას ადგილი არ ჰქონდა: ღვთაობის რელიგიური წესები—საკვლევების მიტანა, დამწყალობება და სხვა ღვთაების დროს და გურჯინას მთიდან დაგორების წესჩვეულების დამთავრების შემდგომ სრულდებოდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გურჯინას დანთება და დაგორება მზის ამოსვლის წინ ადრიაინი დილის ბინდში ხდებოდა. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ცეცხლმოკიდებული გურჯინას დაგორება თავდაპირველად არა მხოლოდ ცეცხლის განმწმენდავი ძალის შესახებ არსებული წარმოდგენებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, არამედ ეს წესჩვეულება მზის მოძრაობის ამსახველ მაგიური მოქმედების გადმონაშთსაც უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე მარიემწმიდაობის დამწყალობების შინაარსი ღვთაობის მიზანდასახულობასაც ააშკარავებს. ოდესღაც ამ ღვთაობის ჯადოსნური მოქმედების გამომწვევი უნდა ყოფილიყო, არა იმდენად ცეცხლის საშუალებით ავი სულების განდევნა, რამდენადაც ციური ცეცხლის გაძლიერების სურვილი და ამ ცეცხლის, ე. ი. მზის სითბოსი და სინათლის, მიწასთან და მოსახლეობასთან დაახლოება იმიტომ, რომ ამ გზით მიწის მოსავლიანობა და საქონლისა და ადამიანის კეთილდღეობა უზრუნველყოფოთ.

ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილი და გარჩეული სვანური ღვთაება ლიქტრეში-ს (|| ლიქტრაში-ს) წარმოშობის შესახებ

<sup>1</sup> შეად. J. G. Frazer, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—147, 152—160.

ბეს. ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი) ერთ სევანურ ხალხურ თქმულებას მოგვითხრობს. ამ თქმულებით ორი კაცი, ქალდანი და ჭელიძე, სხვადასხვა შემაწუხებელ გარემოებათა გამო, ბეჩოს თემის სოფელ დოლიდან უშგულში გადასახლებულან. უშგულელებს სასოფლო ადგილ-მამულებიდან მათთვის სახნავ-სათესი, სათიბები და ტყე მიუციათ, მაგრამ იმ პირობით, რომ ქალდანსა და ჭელიძეს თავისი ძველი საცხოვრებელი ადგილიდან, დოლიდან, მაცხოვრის ხატი მოეპარათ. უკანასკნელები პირობაზე დათანხმებულან და შეუსრულებიათ კიდევ: დოლის ბარბალეს სახელობის ეკლესიიდან მათ მაცხოვრის ხატი გაუტაციათ და უშგულის ბარბალეს სახელობის ეკლესიაში დაუსვენებიათ. როდესაც ხატის გატაცება გამჟღავნებულა მთელ სევანეთს საზოგადო ყრილობა მოუხდენია. ყრილობის მიზანი ყოფილა რაიმე შესაწირავით მოეგოთ დოლის ბარბალეს გული, ვინაიდან ის, ხალხის აზრით, განრისხებული უნდა ყოფილიყო მაცხოვრის ხატის გატაცების გამო. ხანგრძლივი ბჭობის შემდგომ ყრილობას დაუდგენია: ბარბალეს სადიდებლად ყოველწლიური დღეობა ლიქტრეში დავაწესოთო. მაგრამ ეს დღეობა უნდა გადაეხადა იმ სოფლებსა და თემებს, რომლებსაც თვით ბარბალე აირჩევდა. ამ არჩევანის გასაგებად ყრილობას გადაუწყვეტია შემდეგი ხერხისათვის მიემართა: მეზრას მთის წვერიდან, რომლის კალთაზედაც დოლის ბარბალეს ეკლესია იყო გაშენებული, ყოველ სოფელს თითო კასრი (ნეღარ) უნდა დაეგორებინა და რომელი სოფლის კასრიც მთელი გადარჩებოდა, არ დაიმტვრეოდა, იმ სოფელს უნდა ეხადა დღეობა ლიქტრაში. ეს დადგენილება სისრულეში მოუყვანიათ, რის შედეგად აღნიშნული დღეობა უშგულის თემში, მულახის თემის სოფელ მუჟალში და ბეჩოს თემის სოფელ დოლში დაწესებულა<sup>1</sup>.

სევანეთში მუშაობის დროს (1931—1936 წლები, ზაფხულობით) დღეობა ლიქტრაში-ს ანუ ლიქტრეში-ს არსებობა ჩვენ დავამოწმეთ არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ ადგილებში (უშგულის თემსა, მუჟალსა და დოლში), არამედ აგრეთვე კალაში, იფარში, მესტიის სოფელ მარგიანარში, ლენჯერში და ლატალის ორ სოფელში—ლაბუშდსა და იენაშში.

ამას გარდა, ჩვენ მიერ ფიქსირებულია ზემომოყვანილი ხალხური თქმულების ვარიანტიც, რომლითაც ლატალელები ასაბუთებენ

<sup>1</sup> თავისუფალი სვანი, სახალხო დღესასწაულები სევანეთში, შრომა, 1883, № 22.



დღეობის არსებობას მათ სოფლებში. ამ ვარიანტის მიხედვით, ლახუმდღეობმა და იენაშღეობმა ლიქტრაში დააწესეს მას შემდგომ, რაც მათ მიერ მეზრას მთის წვერიდან დაგორებული კასრები დამსხვრევას გადაურჩა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქმულებაში ასახული წესჩვეულება მთის წვერიდან კასრების დაგორებისა ე.წ. ცეცხლის დღეობის სახეცვლილ გადმონაშთს წარმოადგენს, იმ ცეცხლის დღეობისას, რომლის ნათელი სურათი ხევისურების მარ ი ე მ წ მ ი და ო ბ ა შ ი იყო მოცემული; ეს ცეცხლის დღეობა, როგორც ჩანს, ძველად სვანებშიც არსებობდა. კასრების ნაცვლად ოდესღაც სვანები, ალბათ, მთის წვერიდან, ცეცხლმოკიდებულ გურჯინას შავავს სავანს აგორებდნენ და ეს ხდებოდა უთუოდ იმავე მიზნით, რა მიზნითაც ამ წესს ოდესღაც ხევისურები ასრულებდნენ.

ცეცხლმოკიდებული საგნების მთიდან დაგორების წესჩვეულების შემცველი გაზაფხულის ცეცხლის დღეობები უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ხალხის კულტურის განვითარების არქაული საფეხურიდან მომდინარე მზესთან დაკავშირებულ მაგიურ ცერემონიალს, რომელიც „შემდეგში“, ასტრალური კულტების განვითარებისას, მზე-ბარბაღეს კულტში შევიდა და კერძოდ სვანურ დღეობა ლიქტრეში-ში აისახა, ვითარცა ღვთაება ბარბაღეს სახელზე განკუთვნილი მსახურების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. ამას გვაფიქრებინებს, განხილული ხევისურული დღეობის გარდა, ზემომოყვანილი სვანური თქმულების ვარიანტები. ეს თქმულება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ბარბაღეს სახელზე იმართებოდა კასრების (უფრო ადრე უთუოდ ცეცხლმოკიდებული საგნების) მთიდან დაგორების ცერემონიალი, რომლის ნიადაგზეც დღეობა ლიქტრეში იქნა დაწესებულიც.

#### IV. ბარბაღე და უძველესი ქართული კალენდარი

ეთნოგრაფიული გადმონაშთების შესწავლა საგულისხმიერო ფაქტის დადგენის შესაძლებლობას იძლევა: მზე-ბარბაღეს კულტთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო შემუშავებული უძველესი ქართული კალენდარი. ამას გვაფიქრებინებს დღეობა ბარბაღეობაში დაცული რწმენისა და წესჩვეულებათა შემდეგი გადმონაშთები.

##### 1. ქართველების უძველესი კალენდარული წლის დაღევი და მასთან დაკავშირებული დღეობა

თითქმის ყველგან სვანებში ბარბაღეობას უწოდებდნენ ღგნპარი თხუმს-ანუ ღგნპარი თხუიმს (ღგნ, მრ. რ. ღგნპარი—დღეობები, თხუმ || თხუიმ—თავი) დღეობების თავს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 1,3,11,16.



ბარბალობის ამგვარი სახელწოდება გავრცელებული იყო სხვა ქართველ ტომებშიც. მაგალითად, გურულები ბარბალობას ახალი წლის თავს ეძახდნენ<sup>1</sup>, ხოლო რაჭველები<sup>2</sup> და ლეჩხუმლები<sup>3</sup> მას დიახწლებს თავს უწოდებდნენ.

სვანები, რაჭველები და ლეჩხუმლები წლიური დღეობების გამოთვლას ბარბალობიდან აწარმოებდნენ.

აღსანიშნავია სვანების დაკვირვება, რომლის მიხედვით რადღესაც ბარბოლ || ბარბლანში-ი დაემთხვევოდა, იმ დღეს უნდა შეხვედროდა შობა, ახალწელიწადი, მიცვალებულთა სულების დღეობა ლიფანალი, გაზაფხულის გიორგობა და, საზოგადოდ, მთელი წლის „დიდი დღეობები“ (ხოშაღგანარ).

ამ მნიშვნელოვან დღეობას სვანები განსაკუთრებულ ძალას მიაწერდნენ. ბარბოლ || ბარბლანში-ის მიხედვით ისინი არკვევდნენ ავი თუ კარგი წელიწადი უდგებოდათ. თუ ბარბალობა, ვთქვათ, სამშაბათ დღეს დაემთხვევოდა, მაშინ იტყოდნენ—წელიწადი ცუდი დგებაო, რადგან ამ დღეობის სამშაბათობით მოსვლამ ცუდი ჭირნახული და მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ავადმყოფობა და სიკვდილიანობა იცისო. კარკი იყო წელიწადი, ხალხის რწმენით, მაშინ, როცა ბარბალობა ოთხშაბათს, ხუთშაბათს ან შაბათს გათენდებოდა. ამ სასიკეთო დღეებს დამთხვეული ბარბალობა მოასწავებდა წლის ყველა დღეობის ბედნიერად ჩავლას, და მთელი წლის მანძილზე მოსახლის უზრუნველყოფას კარგი ამინდით, კარგი მოსავლით, ადამიანის მშვიდობიანობით და სხვა<sup>4</sup>.

თითქმის ყველგან ქართულ მოსახლეობაში, რომელთა შორისაც ამ დღეობის არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება, ბარბალობა, ახალწელიწადის მსგავსად, ბედობა დღედ იყო მიჩნეული. ქართველ ხალხს ღრმად ასწამდა, რომ რასაც ბარბალობას და ახალწელიწადს ოჯახი, ადამიანი თუ შინაური პირუტყვი დაიბედებდა,— ავი იქნებოდა, თუ კარგი, მთელი წლის განძავლობაში ის მათ თან სდევდა.

<sup>1</sup> ი. მეგრელიძე, დასახ. ხელნაწერი.

<sup>2</sup> ფ. გარდაფხაძე, რაჭული ხალხ. დღეობები, ხელნაწერი.

<sup>3</sup> ფ. გარდაფხაძე, ლეჩხუმ. ხალხ. დღეობები, ხელნაწერი.

<sup>4</sup> შდრ. უძველეს კულტურულ ქვეყნებში მეტად გავრცელებულ შეხედულებას ავი და ბედნიერი დღეობის არსებობაზე. ეს აზრი სუფევდა არა მხოლოდ ხალხის ცრუმორწმუნეობაში, არამედ ოფიციალურ რელიგიურ კულტშიც.

ფართოდ იყო გავრცელებული, აგრეთვე ახალწელიწადის მსგავსად, ბარბალობას მეკვლეობის წესჩვეულება, რომლის აღწერილობა და სათანადო ანალიზი ზემოთ (გვ. 42) არის მოცემული. აქ მხოლოდ მოვაგონებთ მკითხველს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეკვლეს ფეხს და, თანახმად სვანების რწმენისა, მეკვლეს ხელსაც მთელი წლის ავ-კარგიანობისათვის. თუ ვინმეს წლის განმავლობაში რაიმე ზარალი მოუვიდოდა—საქონელი დაუზიანდებოდა, მიწის მოსავალი ნაკლები ექნებოდა, ვინმე ავად გაუხდებოდა, მარცხს და ფათერაკს გადაეყრებოდა, ყველაფერი ეს მეკვლეს მიეწერებოდა; ცუდი ფეხი თუ ხელი ჰქონდაო და მომავალ წელს მას ოჯახში მეკვლედ აღარ მიიწვევდნენ.

როგორც ვხედავთ, ბარბალობა ძლიერი და უაღრესად მნიშვნელოვანი დღეობა ყოფილა. მისი ძალა და მნიშვნელობა მთელ წელიწადზე ვრცელდებოდა. ბარბალობას ზემოაღნიშნული სახის წინასწარმეტყველების არსებობა სავსებით ცხადჰყოფს, რომ ეს დღეობა გადაძწყვეტი მნიშვნელობისა იყო მთლიანი წლის, ე. ი. კალენდარული წლის ავ-კარგიანობისათვის. მის ამგვარ მნიშვნელობაზე მიუთითებს ბარბალობას ბედობისა და მეკვლეობის არსებობაც.

ამას გარდა, უძველესი მაგიურ-რელიგიური აზროვნებისა და მოქმედების გამომსახველი ბედობა და მეკვლეობა მოცემულია როგორც უდავოდ კალენდარული წლის დასაწყისთან დაკავშირებულ დღეობა ახალწელიწადში, ისე ბარბალობაშიც. ხოლო ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ, ახალწელიწადის მსგავსად, ბარბალობა ახალი წლის ციკლის დღეობა იყო.

უფრო მეტიც: ბარბალობა თავ-დღეობა ყოფილა, წლის პირველი დღეობა, რომლიდანაც ხალხი მნიშვნელოვან წლიურ დღეობების გამოთვლას აწარმოებდა. ამაზე პირდაპირ მიუთითებენ და დღეობასაც შესაფერისი სახელი ჰქონდა შერქმეული. როგორც აღნიშნული იყო, სვანები მას ღენჯრი თხუმს ( || თ ხ ჭ ი მ ს ) 'დღეობების თავს', რაჭველები და ლეჩხუმლები დიახწლების თავს და გურულები ახალი წლის თავს უწოდებდნენ.

ამგვარად, ყველა ეს ფაქტი, მოცემული ვრთად, დღეობა ბარბალობას სახავეს როგორც კალენდარული წლის დასაწყისის უძველეს დღეობას.

ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში შემონახულია ცნობები საქართველოში წლის დასაწყისის ორგვარი დღეობის არსებობის შესახებ—საეკლესიო და სამოქალაქოსი. საეკლესიო დღეობა 1 იანვარს

მოდით და სამოქალაქო—1 სექტემბერს<sup>1</sup>, ქართულ ხალხურ კალენდრის თანახმად—კი, რამდენადაც იგი დღემდე შესწავლილი და გამოვლინებულია, ჯერხნობით წლის სამი დღეობის არსებობა მოწმდება. ამათგან ერთია ზემოაღნიშნული ბარბაღობა, მეორე—ახალწელიწადი და მესამე, სვანური სათანადო მასალების მიხედვით, დღეობა ბიხობ (ანუ ლირსკგნალი), რომელიც 14 აგვისტოს (ძვ. სტ.) ემთხვეოდა<sup>2</sup>. ამათგან ბიხობი, საფიქრებელია, სამეურნეო ხასიათის დღეობა ყოფილიყო და შესაძლებელია იგი თავდაპირველად სეზონური წლის დასაწყისის დღეობას წარმოადგენდა, თუმცა ვიდრე ეს დღეობა დეტალურად გამოკვლეული არ არის—ჩვენი მოსაზრება, რათქმუნდა, ჰიპოთეზის ხასიათს ატარებს.

რაც შეეხება ბარბაღობას, იგი, როგორც აღვნიშნეთ, უძველესი კალენდარული წლის დასაწყისის დღეობა იყო. ჩვენ ხაზს ვუსვამთ უძველეს კალენდარულ წელიწადს, ვინაიდან, როგორც ირკვევა, უძველესი ქართული კალენდარი შეიცავდა მზის მოქცევასთან დაკავშირებულ წელთაღრიცხვას. ეს მოსაზრება ემყარება ზემოთმიღებულ დასკვნებს: ბარბაღობა ზამთრის ნაბუნობის დღეობა იყო; ამასთანავე იგი იყო მთლიანი წლის დასაწყისის დღეობა; მამასაღამე, ცხადია, წელიწადი იწყებოდა ზამთრის ნაბუნობას, თუ კი წლის დასაწყისი დღეობა ამ დროს მოდიოდა. აქედან სავსებით აშკარა ხდება, რომ უძველესი ქართული კალენდარი მზის მიმოქცევაზე ყოფილა დამყარებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც პატივცემულმა პავლე ინგოროყვამ გამოარკვია, მზის მოქცევასთან დაკავშირებული წელთაღრიცხვის კვალი ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებშიც მოწმდება. მათი ანალიზის საფუძველზე ინგოროყვა ასკვნის, რომ—ქართული თვეთა აღრიცხვა ზოდიაკოთა რკალთან იყო დაკავშირებული<sup>3</sup>.

## 2. პირველი თვე ქართველების უძველეს კალენდარში

ჩვენს თემასთან პირდაპირი კავშირი აქვს სვანურ ხალხურ კალენდარში დამოწმებულ შემდეგ საგულისხმიერო ფაქტს. გაბატონებულ რომაულ სახელწოდებათა გარდა სვანეთში ზოგ თვეებს სვანური

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, ნაწ. I, ტფ. 1924, გვ. 7. იქვე სათანადო წყაროებია დასახელებული.

<sup>2</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. XI.

<sup>3</sup> პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი V—VIII საუკუნის ძეგლებში, საქ. მუხ. მოამბე, ტ. VI, ტფ. 1931, გვ. 418—446.

სახელწოდებაც შერჩენია. უკანასკნელთა შორის ვპოულობთ დეკემბრის ხალხურ სახელწოდებას ბ ა რ ბ ლ ა შ ( || ბ ა რ ბ ლ ა შ )<sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ ბ ა რ ბ ლ ა შ თვის ძველთა-ძველი სახელია რამდენათაც იგი უძველესი დღეობიდან არის მიღებული. დღეობას, როგორც ვიცით, ეწოდება სვანურად (ბალს-ზემთ და ქვემო-სვანეთში) ბ ა რ ბ ლ ა შ ანუ ბ ა რ ბ ლ ა შ და ამ სიტყვას იმეორებს დეკემბრის სვანური სახელწოდებაც. ცნობილია, რომ დღეობები უკვე არსებობდა, როდესაც მოხდა თვეების დაყოფაზე დამყარებული კალენდრის შემუშავება. რამდენადაც ბარბალობა უძველესი ხანის დღეობაა, ამდენად, ცხადია, რომ თვეს სახელი უნდა შეჩქმეოდა ამ უძველესი ხანის დღეობიდან და არა პირუკუ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა, თავისთავად თვეების სახელებიც უძველესი ხანის მონაბოვარია.

კალენდარული თვეებისათვის დღეობათა სახელების წოდება უძველეს კულტურულ ხალხებში მოწმდება. ასე მაგალითად, ძველ სუმერში, ურის სახელმწიფოს არსებობის პერიოდში (მესამე ათასეულის მეორე ნახევრის შუა ჩვენ წელთაღრიცხვამდე) ნიპურის თვეთა სიის მიხედვით თვეების უმრავლესობის სახელი დღეობებისაგან ყოფილა მიღებული. ასეთივე მოვლენა დამოწმებულია აქქადის სამეფოს დროინდელ (28—26 საუკ.) სიის თვეების სახელებში, აგრეთვე თანამედროვე Drehem-ში ნახულ ქალაქ ურის თვეების სიაში, სადაც ყველა თვე, გარდა „მკის თვისა“, დღეობების სახელით არის წოდებული. საზოგადოდ, ძველი აღმოსავლეთის კალენდარული თვეების სახელების დიდი უმრავლესობა დღეობათა სახელწოდებისაგან ყოფილა ნაწარმოები<sup>2</sup>. ძველი ბერძნული კალენდარიც კულტის თვალსაზრისით იყო რევულირებული და თითქმის ყველა თვეს დღეობიდან მიღებული სახელი ჰქონდა<sup>3</sup>.

ზემთ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად ნათელგვეყო, რომ მზებარბალეს კულტი მთელი ქართველი ხალხის სარწმუნოების კუთვნილებას წარმოადგენდა და რომ დღეობა ბარბალობაც ზოგადი ქარ-

<sup>1</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური ხალხური კალენდარი: თვეები, სელნაწერი, დატულია ენიმკის ეთნოგრ. განყ. არქივში; В. Ни жар ал д з е, Сванские пословицы, загадки и песни, СМОМПК, вын. X, отд. II, გვ. 4, 5; М. З а в а д с к и й, Сван.-русск. сборник слов, СМОМПК, вын. X, გვ. LII.

<sup>2</sup> Martin P. Nilsson, Primitive time-reckoning, a study in the origins and first development of the art of counting time among the primitive and early culture peoples, 1920, გვ. 226—239.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 363.

თული უძველესი ახალი წლის დღეობა იყო. ეთნოგრაფიული გადმონაშთების მიხედვით ეს დღეობა ყველა ქართველ ტომში არსებითად ერთიდაიგივე სახელით არის ცნობილი. აპიტომ თუ-კი თვეთა სახელებში მოიპოვება თვის სვანური სახელწოდება, როგორც ამ უძველესი დღეობიდან არის მიღებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვე შესაფერისი სახელწოდებით დანარჩენ ქართველ ტომებშიც არსებობდა. უკანასკნელს უთუოდ ისეთივე ბედი ეწია, როგორც ქართველების უმრავლეს ტომებში შვიდეულის უძველეს სახელებს (რომლებიც უკვალოდ გაქრა); ხოლო სვანებს, როგორც ჩანს, თვის უძველესი სახელი შემოუნახავთ ისევე კარვად, როგორც (მეგრელებისა და ქანების მსგავსად) დღეების უძველესი სახელები აქვთ დაცული. ამასთანავე რადგან პრინციპი, რომლის მიხედვითაც ბარბაღობის თვის სვანური სახელია მიღებული ჩვენთვის ცნობილი არის, შესაძლებელი უნდა იყოს ამ თვის უძველესი ქართული სახელის მიკვლევა<sup>1</sup>. ასეთი მუშაობის წარმოების დროს, თავისთავად ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნას ქართული სათანადო სიტყვების წარმოების სპეციფიკა.

დღეობისა და თვის სვანური სახელწოდება წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ დგობის სვანურ სახელს: ბარბაღ (|| ბარბაღლ) — ბარბაღე, ხოლო ბარბაღლჲშ (|| ბარბაღლაშ — ბარბაღლაშ) — ბარბაღლესი.

ქართულში კი დღეობის სახელწოდება მოცემულია ქართული-სათვის დამახასიათებელი -ობა დაბოლოვებით: ბარბაღობა. რატომ უნდა ჩვენთვის ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ თვის უძველესი ქართული სახელი რაგვარად იყო გაფორმებული. მაგრამ შეიძლება სახელის ეს მხარეც აღდგენილი იქნას ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში დაცული ანალოგიური მაგალითების საფუძველზე. ამ ძეგლებში მოიპოვება ძველი ქართული თვეების სახელები<sup>2</sup>, რომელთა შორის, მაგალითად, მაისი და აგვისტო ბარბაღობის მსგავსად გაფორმებული სიტყვებისაგან არის ნაწარმოები: ვარდობისაჲ — მაისი და ქველთობისაჲ || ქუელთობისაჲ — აგვისტო. აქ აღებულია ჩვენი დღეობის სახელწოდების (ბარბაღობა) მსგავსად გაფორმებული სიტყვები ვარდობა (ანუ ვარდობაჲ) და ქველთობა (ანუ ქუელთობაჲ) და მათგან თვეების სახელებია ნაწარმოები. შესაძლებელია ბარბა-

<sup>1</sup> ძველ ქართულ წყაროებში დაცული (იხ. საბარბაღელიანი, ლექსიკონი, სიტყვასთან: თთვე) დეკემბრის სახელწოდება ტირისდენი ცალკე განხილვას მითხოვს.

<sup>2</sup> საბარბაღელიანი, დასახ. ნაშრომი; სიტყვასთან: თთვე; პ. ინგოროყვა, დასახელ. ნაშრომი.



ლობის-თვის უძველესი ქართული სახელიც მათ მსგავსადვე ყოფილიყო მიღებული. მაშინ დღეობისაგან ბარბალოზა თვეს ბარბალოზისაჲ უნდა ჰრქმეოდა<sup>1</sup>.

თუ ზემომოყვანილი მოსაზრებანი ბარბალოზასთან დაკავშირებული უძველესი კალენდარული სისტემისა და ბარბალოზისთვის არსებობის შესახებ სინამდვილეს შევეფერება, მაშინ ადგილი გასარკვევია ეს თვე როდის მოდიოდა და რომელი ადგილი უნდა სჭეროდა მას კალენდარულ თვეთა მწკრივში. როგორც ზემოთ იყო გარკვეული, ქართველებს უძველეს დროში წელთა-აღრიცხვა ზამთრის მზის დადგვიდან უწარმოებიათ და წლის დასაწყისის დღეობა ბარბალოზა ყოფილა. ხოლო სვანური ბარბლაშ ანუ ქართული აღდგენილი ბარბალოზისაჲ, ცხადია, იმ თვეს უნდა წოდებოდა, რომელშიც დღეობა ბარბალოზა მოდიოდა. მაშასადამე, ბარბალოზისაჲ წლის პირველი თვე უნდა ყოფილიყო და მისი დასაწყისი ზამთრის ნაბუნობიდან უნდა ვივარაუდოთ. თანამედროვე სვანური ხალხური ბარბლაშ-იც დაახლოებით ამ დროის აღმნიშვნელად არის გაგებული, რამდენადაც ეს ტერმინი ამჟამად დიკემბრის სინონიმს წარმოადგენს.

მზის მოქცევასთან დაკავშირებით გამომუშავებული უძველესი ქართული კალენდარული სისტემის არსებობის დამოწმებამ უცილობელი უნდა გახადოს და საბოლოოდ განამტკიცოს ზემოთ სხვადასხვა კონკრეტული ეთნოგრაფიული ფაქტების დაკვირვებისა და ანალიზის დროს არა ერთგზის გამოტანილი აზრი იმის შესახებ, რომ ოდესღაც ქართველებში ძლიერი და უაღრესად განვითარებული მზე-ბარბალეს კულტი არსებობდა. ნაბუნობის და ბუნობის, თვალყურის დევნება დიდ როლს თამაშობდა მხოლოდ ზოგიერთ გარკვეულ ხალხებში, სახელდობრ, ისეთ ხალხებში, რომლებშიც მზეს უდიდესი რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა მიკუთვნებული.

<sup>1</sup> ძველ ქართულ წყაროებში დაცული თვეების სახელებიდან ყურადღებას იქცევს „თიბისაჲ“ (ივლისი) და „სთულისაჲ“ (ოქტომბერი). როგორც ჩანს, ივლისი და ოქტომბერი სვანურ სახელს ატარებდა და თვალსაჩინოდ ასახავდა სამეურნეო საქმიანობას. ამიტომ საუფიქრებელია, რომ თვეების ეს სახელებიც ძველთა-ძველი დროიდან უნდა მომდინარეობდეს.

V. მითოლოგიური წარმოდგენები ბარბალეს შესახებ

1. მზე და გველეშაპი. ქალ-ბაბარის მსახურების ნაშთები

ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მზისა და მთვარის დაბნელება გველეშაპის მიზეზით ხდება. გველეშაპი ამ მნათობთა დაუძინებელი მტერია, ნიადაგ მათ სდევნის და, როდესაც დაეწევა, ცდილობს მათ შთანთქმას. ამ მიზნით ის მზეს, ან მთვარეს რომელიმე ნაწილში სტაცებს, ან მოლიანად ხახაში მოიქცევს და მაშინ მნათობის ნაწილობრივი ან სრული დაბნელება ხდება. ოდესმე რომ გველეშაპმა თავის მიზანს მიაღწიოს და მნათობი შთანთქმას, მაშინ ქვეყანას წყიდიადი მოიცავს და დაიღუპება<sup>1</sup>.

ეს უძველესი შეხედულება მნათობისა და გველეშაპის ურთიერთდამოკიდებულებას შესახებ შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაშიც არის ასახული. ვეფხის ტყაოსანში ჩვენ ვკითხულობთ<sup>2</sup>:

- „მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადეცა გაგვიტენდა“ (11<sup>58</sup>)
- „დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი“ (1198<sup>4</sup>)
- „რა საბრალთა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა“ (1230<sup>4</sup>)
- „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1420<sup>4</sup>).

ეთნოგრაფიულ ყოფაში ამგვარი რწმენა-წარმოდგენებით შეპყრობილი მოსახლეობა ცდილობდა საფრთხეში ჩავარდნილი მნათობისათვის დახმარება აღმოეჩინა. როგორც კი შეამჩნევდნენ მზისა თუ მთვარის დაბნელებას, — ყვირილს; ხაჟურს და თოდის სროლას ატეხავდნენ, რის გამო, ხალხის რწმენისდა თანახმად, გველეშაპი ფრთხელობდა და თავის მსხვერპლს თავს ანებებდა<sup>1</sup>.

შეხედულება გველეშაპის მიზეზით მნათობის დაბნელების შესახებ და ამ დროს ადამიანის ჩარევის და სხვადასხვა მაგიური ხერხით მზისა და მთვარისათვის დახმარების ცდის მაგალითები მრავლადაა როგორც პრიმიტიულ, ისე გადმონაშთის სახით კულტურულ ხალხებში დამოწმებული<sup>2</sup>. მნათობების დაბნელებასთან დაკავშირებული ქართველი ხალხის ზემოაღნიშნულ წესჩვეულებას განსაკუთრე-

<sup>1</sup> М. Джанашивили, Картвельские поверья, СМОМПК, вып. XVII, отд. II, გვ. 147; И. Степанов, Поверья грузин Телав. уезда, СМОМПК, вып. XVII, отд. II, გვ. 141; სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთ. ამხან. გამოც. 1893, № 4 (ამირანის ზღაპარი).

<sup>2</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, საქ. უნივერსტ. გამოც. თბ. 1927 წ.

<sup>3</sup> Э. Тэйлор, Первобытная культура, т. I, СПб 1872, გვ. 302—307,

1. ქართული ღვთაება ბარბალე

ბით ახლო ანალოგი მოეპოვება ამგვარივე მიოლოგიური წარმოდგენების საფუძველზე არსებულ რომაელებისა და სხვა ევროპიელ ხალხების წესჩვეულებებთან<sup>1</sup> და ამდენად იგი (ქართველების წესჩვეულება) ახალს არაფერს შეიცავს.

მაგრამ ამ ზოგადი ხასიათის წესჩვეულებასთან ერთად მისი სრულიად ორიგინალური ვარიანტიც მოგვეპოვება. ეს უკანასკნელი ჩვენ სვანურ ეთნოგრაფიულ ყოფაში დავამოწმეთ. ლატალის თემის მცხოვრებთა გადმოცემით, როდესაც მთვარეს გველეშაპი გადაყლაპვას დაუპირებდა, ხალხი სახლიდან გარედ გამოცვივებოდა და დაუწყებდა ყვირილს გველეშაპის უფროსს ქაჭმელდიანს — „ქაჭ, ქაჭ, ქაჭ ქაჭმელდიანო!“<sup>2</sup>. ცხუმარლები კი ამ დროს ასე გაჰყვიროდნენ: „ჰა, ქაჭმელდიან, იმეგ ხარი? დოშდულდ აჯღებ! იმეგ ხარი? ეჰნეცხ!“ — ჰა, ქაჭმელდიანო, სად ხარ? მთვარე წაგვართვეს! სად ხარ? გაიღვიძე!<sup>3</sup>. ხოლო მზის დაბნელების დროს, ფარელების წესჩვეულების თანახმად, ხმაურისა და თოფის სროლის ატეხვია გარდა მოსახლეობა მზეს უყვიროდა: „ა-ა-ა, ქალბაბარო ი ქაჭმელდიან, იმეგ ხარი? — ეჰნეცხ, ეჰნეცხ!“ — ა-ა-ა, ქალბაბარო და ქაჭმელდიანო, სად ხარ? — გაიღვიძე, გაიღვიძეო! ამით ხალხი მოუწოდებდა მზის ყარაულს ქაჭმელდიანს და ჰის „აფხნიკს“ ქალბაბარს ეხსნათ მზე გველეშაპისაგანო, — განგვიმარტეს ფარელებმა<sup>4</sup>.

ზოგადი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ცრუმორწმუნე ადამიანი მზის ან მთვარის დაბნელების დროს მეჭულიად უშუალოდ თვით მნათობს მიმართავდა და მაგიური ფორმულებისა და მოქმედების საშუალებით მისი ავი სულებისა თუ ძალებისაგან დახსნას ცდილობდა. სვანები-კი, როგორც ვხედავთ, ანალოგიურ შემთხვევაში ქაჭმელდიანსა და ქალბაბარს მოუწოდებდნენ.

ქაჭმელდიანის შესახებ გარკვეული შეხედულება შემონახულა. ქაჭმელდიანი გველეშაპს უფროსად და ამასთან ვე მზის ყარაულად ყოფილა მიჩნეული. რაც შეეხება ქალბაბარს, წარმოდგენა მის კონკრეტულ რაობაზე ხალხში ალბათ არსებობს. სვანებმა ის-ლა იციან, რომ ძველად ქალბაბარი ძლიერ ზეციურ არსებად და ამასთანავე

<sup>1</sup> შდრ. Э.А. Тихонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 306—307.

<sup>2</sup> მთხრობლები ლატალის თემის, სოფ. იცნაშის მცხოვრებნი 78 წლის იემზა წერედიანი და 70 წლის შაუხან ფარჯიანი (ფიქსირებულია 1935 წლის ზაფხულს).

<sup>3</sup> მთხრობელი ცხუმარის თემის, სოფელ სუფის მცხოვრები 63 წლის დიმიტრი ჯაჭვლიანი (ფიქსირებულია 1936 წლის ზაფხულს).

<sup>4</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ. I, გვ. 131.

ქავშელდიანის ამხანაგად ითვლებოდა. მაშასადამე, ხალხის რწმენის გადმონაშთები თითქმის არაფერს არ იძლევა ქალბაბარის ბუნების ზეომიწევნით გარკვევისათვის. სამავიეროდ ამ მხრივ საგულისხმიეროა გაყინულ ფორმებში შემონახული წესჩვეულებები, მათგან ზემომოყვანილი წესჩვეულებაც.

აღნიშნული წესჩვეულების მიხედვით ქალბაბარი ახლო მდგარა არა მხოლოდ მზის ყარაულთან, არამედ მზესთანაც, ვინაიდან უკანასკნელის დაბნელების დროს მის საშველად ქავშელდიანის გარდა ქალბაბარსაც მოუწოდებდნენ. არსებულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება უფრო მეტიც ითქვას. მზის დაბნელების შემთხვევებში მოცემულ სვანების ძახილის ფორმულას თუ დავაკვირდებით შევამჩნევთ, რომ გველეშაპის საწინააღმდეგოდ ხალხი პირველად ქალბაბარს მიმართავდა და შემდეგ ქავშელდიანს. ეს ვითარება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ქალბაბარი, ხალხის ძველი რწმენის თანახმად, უფრო ახლო იდგა და უშუალოდ იყო მზესთან დაკავშირებული, ვიდრე ქავშელდიანი. ამასთანავე, თუ მოვიგონებთ ზოგად ეთნოგრაფიულ პარალელებს, რომელთა მიხედვით მზის ან მთვარის დაბნელების დროს ხალხი უწინარეს ყოვლისა უშუალოდ მნათობს მიმართავდა მისი ავი ძალებისაგან დახსნის მიზნით,—ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ მზის დაბნელების შემთხვევებში სვანების მიერ პირველ რიგში მოხსენებული ქალბაბარი ამ მნათობის სახელი თუ ეპითეტი უნდა იყოს.

ამას არ ეწინააღმდეგება ის, რომ მზის დაბნელების დროს ქავშელდიანთან ერთად თითქოს ქალბაბარსაც აღვიძებდნენ. სვანებს შეეძლოთ ამგვარი ძახილით (გაიღვიძე, გაიღვიძეო) მზისათვის მიეზართათ, ვინაიდან მათში გავრცელებული იყო შეხედულება იმის შესახებ, რომ მზემ დაძინება იცის<sup>1</sup>.

ამასთანავე მზის დაძინება აუცილებლად მზის ჩასვლას, დაღამებას და, საზოგადოდ, დაბნელებას არ გულისხმობდა. სვანებს სწამდათ, რომ ღამდებოდა მაშინ, როცა მზე ტანსაცმელს გაიხდიდა და, პირიქით, ნათდებოდა მაშინ, როცა ის ტანსაცმელს ჩაიცვამდა<sup>2</sup>. მაშასადამე, ცხადია, თუ მზემ ტანსაცმელი არ გაიხადა და ისე დაიძინა, დღეს სინათლე და სწივოსნობა არ მოაკლდება. მეორე მხრივ, შესაძლებელი ყოფილა, რომ მზეს სიფხიზლე დღისითაც შესუსტებოდა. ამიტომ ხალხის ამ ძველი რწმენის თანახმად სავსებით დასა-

<sup>1</sup> თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, სვანური ლეგენდები ანუ სვანების ამოღ-  
მორწმუნეობანი, „ივერია“, 1887, № 37.

<sup>2</sup> იქვე.

შეგებია, რომ სვანებს მზის დაბნელების დროს (რომელსაც, აშკარა, დღისით ამოწმებდნენ) ქალბაბარისათვის, როგორც მზის განსახიერებისათვის, მიემართათ სიტყვებით—გაიღვიძე, გაიღვიძეო.

ქალბაბარი რომ მზის განსახიერება იყო, ამას ექვმიუტანელ ფაქტად ხდის ფარის ახალწლის (კანდა-ს) ვარიანტში შექონახული უძველესი რიტუალი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: „კანდასალამოს სახლის უფროსი დაიჭრდა ხეში დიასახლისის მიერ გამოცხვარ დიდი ზომის თხელსა და ქიმებიან („რქებიან“—მუჭუ-არ) ლავაშს, რომელსაც ქალბაბარი ეწოდებოდა, გარეთ გასავალ კართან გაჩერდებოდა და ლავაშის სახელითვე ცნობილ „წმინდანის“ სახელზე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა: „ქალბაბარ მწლიან, ფიშირ ბაზიშ ლეთ ხოჩა გუყი ენურდუთინ, ფიშირ ამ დრეჟუ ხოჩა გუყი! შუიღბაშ დრეჟუ ლანო, მწლიან, ხოჩა ზა ენცაღ, მწლიან!“—ქალბაბარო მადლიანო, მრავალ ამაღამის ღამეს კარგ გულზე გვამყოფე, მრავალ ამ დროს კარგ გულზე [შეგვა წარი]! მშვიდობის დრო მოგვეცი, მადლიანო, კარგი წლიწადი შეგვიცვალე, მადლიანო!—ლიმზგრ-ის (ლოცვა-შეწირულების) გათავების შემდგომ, სახლის უფროსი გადააბიჯებდა კარის ზღურბლს და იქვე გაჩერდებოდა. ამ დროს ოჯახის დანარჩენი წევრებიც გარეთ გავიდოდნენ და მლოცველის (ლიმზგრ-ის) პირდაპირ კალოზე გაჩერდებოდნენ. ლიმზგრ-ი მოიმარჯვებდა ქალბაბარს და ისვროდა ოჯახის წევრებისაკენ. ვინც მის დაჭერას მოახერხებდა ქალბაბარ-ს უკანვე ლიმზგრ-ს გადაუგდებდა. ასე სამჯერ ესროდნენ ერთმანეთს ლიმზგრ-ი და ოჯახის წევრები ამ ლავაშს, შემდეგ დაინაწილებდნენ მას და იქვე შეექცეოდნენ“<sup>1</sup>.

გასაოცარია, რომ დღეობის ამ წესჩვეულებამ ასეთი არქაული ფორმით და შინაარსით ჩვენამდე მოაღწია. ფარის ახალწელიწადი ძირითადად ორგვარი ხასიათის წესჩვეულებებს შეიცავს. ერთია რელიგიური მსახურების ნაშთები და მეორე—მაგიური მოქმედება.

რელიგიური გადმონაშთები მოცემულია ლოცვა-ვედრებისა და შესაწირავების სახით, რომლებიც უხენაეს არსების ქალბაბარ-ის სახელზე არის განკუთვნილი. როგორც ცნობილია, ახალწელიწადი ზამთრის მზის მობრუნების დღეობაა. და ამ დღეობაზე „კარგი წელიწადის შეცვლას და მრავალი ახალწლის მშვიდობით მოსწეებას“ ქალბაბარს ევედრებიან. თავისთავად ეს ვითარება (ზამთრის მზის მობრუნების დღეობაზე კარგი წლის შეცვლისა და მრავალი

<sup>1</sup> სვან. ხალხ. ღვთაებ. კალ. I, გვ. 130—131.



ახალწლის დასწრებაზე ვედრებით ქალბაბარ-ისადმი მიმართვა) ბადებს აზრს იმის შესახებ, რომ ქალბაბარ-ი მზის ღვთაება უნდა იყოს. ამ მხრივ კიდევ უფრო საგულისხმიეროა შესაწირავი, რომელიც ამ დღეობაზე ქალბაბარ-ს მიეძღვნება. ეს შესაწირავი ლავაშივით თხელი და მრგვალი კვერია, რომელსაც ნაპირებზე „სიწმინდის“ ნიშნად მრავალი ქიმი აქვს გაკეთებული. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ შესაწირავი კვერების გაშვების გაკეთების საწყისი იმ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც უნდა წამოჭრილიყო მოთხოვნილება რიტუალურ საგნებზე (მათ შორის რიტუალურ კვერებზეც) სათაყვანებელ მნათობთა სხივოსნობის თვისება აღებეჭათ. ყოველ შემთხვევაში ქალბაბარ-ის შესაწირავი ტაბლა, აღწერილობის მიხედვით, მზის გამოსახულებას მიაგავს, რამდენადაც იგი დისკოსებრი ფორმისაა ქიმების საშუალებით „გასხივოსნებული“. და ამგვარი ტაბლა ღვთაების სახელით მოიხსენიება, მასაც ქალბაბარ-ი ეწოდება. ყოველივე ზემოთქულის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ტაბლა-ქალბაბარ-ი უზენაესი არსების ქალბაბარ-ის, როგორც მზის ღვთაების, სიმბოლური გამოსახულება არის.

ამ ვითარებას კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ხდის დღეობაში მოცემული მაგიური მოქმედებები. ქალბაბარ-ისადმი განკუთვნილ ღოცვა-ვედრებას უშუალოდ მისდევს შემდეგი ცერემონიალი: კალოზე, ცის ქვეშ სახლის უფროსი და ოჯახის დანარჩენი წევრები ერთი მეორის პირდაპირ დგებიან, ტაბლა-ქალბაბარ-ს ერთმანეთს ესვრიან და ჰაერში იჭერენ. ეს მოქმედება სამჯერ მეორდება, რის შედეგომ ტაბლა-ქალბაბარ-ს ანაწილებენ და იქვე შეექცევიან. რას უნდა ასახიერებდეს დღეობის ეს ცერემონიალი?

თუ გაავითვალისწინებთ რომ ეს მოქმედება ზამთრის მზის მობრუნების დღეობა ახალწელიწადს სრულდება, მაშინ სავსებით ნათელი გახდება, რომ ცის ქვეშ დისკოსებრი და „გასხივოსნებული“ კვერის გადასროლა და დაჭერა მნათობი მზის მოქცევის აღმნიშვნელ მაგიურ მოქმედებას წარმოადგენს. ამ მოქმედებაში მნათობი მზე მისი ფორმის მსგავსი და მისივე თვისებით („სხივოსნობით“) აღბეჭდილი ემბლემა-კვერით არის მოცემული.

ამ მაგიური ცერემონიალის თავდაპირველი მიზანი ადვილი გამოსაცნობია. ეს მოქმედება მიმბაძველობითი მაგიის პრინციპის ნიადაგზე, ერთი მხრივ, მზის მოძრაობის გაძლიერებას ემსახურება და, მეორე მხრივ, მზის ემბლემის საშუალებით ცხოველყოფელ ზეციურ არსებას ადამიანს უახლოვებს და მას აზიარებს ამ

სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან მაგიური ცერემონიალი მთავრდება მზის სიმბოლო-კვერის დანაწილებით და შიქვით.

ამრიგად, მზის დაბნელებასთან დაკავშირებული სვანური მითოლოგიური წარმოდგენები და წესჩვეულება და აგრეთვე ფარის ახალწლის მაგიური ცერემონიალი ქალბაბარ-ს გამოავლენს, როგორც მნათობი მზის განსახიერებას. ხოლო ფარის ახალწლის რელიგიური ნაწილი მზის ღვთაება ქალბაბარ-ის კულტს ასახავს. ამასთანავე, როგორც რელიგიაში, ისე მაგიაში მზის ემბლემად წარმოდგენილია „სხივოსანი დისკო“-კვერი. ყველაფერი ეს განსაკუთრებული სიტყვებით ააშკარავებს იმას, რომ ქალბაბარ-ი ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი, ვინაიდან ქართველი ტომების სარწუნოებაში ქალბაბარ-ი მომდინარეობა იდეოლოგიის განვითარების უძველესი საფეხურიდან (მაგია), როგორც მზის განსახიერება; რელიგიის იმ საფეხურამდე, როდესაც ქალბაბარ-ი მზის ღვთაებად გვევლინება.

დაბოლოს, უკანასკნელ ფაქტს კიდევ უფრო ამაგრებს ქალბაბარ-ის შედარება ქართველების უძველეს ღვთაება ბარბაღესთან. ქალბაბარ-სა და ბარბოლ || ბარბალ || ბარბაღე || ბარბარეს შორის ურთიერთმიმართების საკითხი სავსებით ნათელია. ამ ღვთაებათა შესწავლის შედეგად მიღებული ძირითადი მონაცემების მიხედვით: ა. როგორც ბარბაღე, ისე ქალბაბარ-ი მზის ღვთაებას წარმოადგენენ, ბ. ბარბაღეც და ქალბაბარ-იც ზამთრის მზის მობრუნებასთან არიან დაკავშირებულნი, გ. თუშეტაღა ბარბაღეს დღეობა ზამთრის მზის დადევს ემთხვევა, ხოლო ქალბაბარ-ის რიტუალი, გადმონაშთების მიხედვით, ახალწელიწადზეა მოცემული, — განსხვავება მათ შორის თარიღის მხრივ დღეებში გამოიხატება; არსებითად ბარბაღეს და ქალბაბარ-ის კულტი ერთსადაიმევე ახალწლის ციკლის ხანგრძლივ დღესასწაულშია მოცემული.

ძირითადი და არსებითი მხარეების ასეთი სრული იგივეობა საკითხს ბარბაღე-ქალბაბარ-ის იგივეობის სასარგებლოდ სწყვეტს. ეს ორი ტერმინი ერთსადაიმევე ცნებას შეცავს და ამ სახელებით ერთიდაიგივე ღვთაება, ქართველი ტომების სათაყვანებელი მზის ღვთაება იწოდება.

ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებულ ამ დასკვნას ლინგვისტიკური ვითარებაც ეთანხმება. მზის ღვთაების სახელწოდება ქალბაბარ რთული ტერმინია, ორი სიტყვისაგან შემდგარი: ქალ და ბაბარ. პირველი სიტყვა ქართული ქალი-საგან მიღებული სქესის აღმნიშვნელი დეტერმინატივი უნდა იყოს.

ამგვარი დეტერმინატივით ერთხელ კიდევ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ქართველები უძველესა მზის ღვთაება მდედრობითი სქესის არსება იყო. ეს სიტყვა დღესაც იხმარება ქართველი მთიელების მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სახელებში. აქ იგი დამოუკიდებლად გვხვდება როგორც საერთო სახელი და საკუთარი სახელის შ. მადგენელ ნაწლაც წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ამჟამად სახელების თავში და ბოლოშია მოქცეული. ასეთია, მაგალითად, ხევსურიქალის საკუთარი სახელები: ქაქალაი, ქალიკაი, ქალიკურაი, ქაქალუაი, ქალუნდაი, ხომესალი, ანუ ხომექა, მზექალი ანუ მზექალა, აშექალი ანუ აშექა, თეთრქალი ანუ თეთრაქალა, დედაქალი და სხვ. რაც შეეხება მზის ღვთაების სახელწოდების მეორე სიტყვას ბაბარ, იგი, ცხადია, სვანურ ნიად გზე ბოლოშეკვეცილს ზოგად ქართულში ცნობილ ბაბალე—ბარბალე || ბარბარეს უდრის.

ამგვარად, ქართველი ხალხის უძველესი მზის ქალ-ღვთაება მოცემულია ბარბოლ || ბარბალ || ბარბალე || ბარბარე || ქალ-ბაბარ-ის სახელით. ამ ღვთაების კულტი დაცულია ნაირსახის რელიგიური ხასიათის რიტუალში და, მეორე მხრივ, მნათობთა-მნათობი ბარბალე || ქალ-ბაბარ-ი სხვადასხვაგვარი მაგიური მოქმედების შემცველ წესჩვეულებებში და მითოლოგიურ წარმოდგენებშია ასახული.

## 2. ბარბალუკა და ნიშაა

აქამდე ჩვენ საქმე გვქონდა უჩრავლეს შემთხვევაში რელიგიურ სინკრეტიზმის ნიადგზე გამოძუშავებულ მასალასთან და ამიტომ ყუადღეა გამახვილებული იყო იმისაკენ, რომ ქრისტიანულ ელემენტები წარმაროულად არ გამოგვეცხადებინა და, პირიქით, წარმართული ქრისტიანულად არ მიგვეჩია. შეძლებისდა გვარად ჩვენ შევეცადეთ ქრისტიანული წმ. ბარბარასა და მისი კულტისაგან ხალხური ბარბალე (|| ბარბარე) და მისი კულტი გამოგვეყო და დაგვემტკიცებინა, რომ ეს უკანასკნელი უძველეს დროიდან მომდინარეობს და მზის ღვთაების კულტს ასახავს.

ამჟამად შევეხებით ისეთ წყაროს, რომელსაც არამც თუ არავითარი კავშირი ქრისტიანულ მოძღვრებასთან არა აქვს და ქრისტიანობის ზეავლენის ნიშანწყალი არ აჩვენია, არამედ იგი მხოლოდ ენეტიკურად, თავისი სათავით რწმენის და ისიც წარმართული რწმენის სამყაროდან მომდინარეობს. ეს წყაროა ერთ-ერთი ქართუ-

ლი ხალხური საბავშვო თამაშობა, რომელსაც ლიტერატურაში „ნიშხა-ნიშხა“ ეწოდება<sup>1</sup>.

ბავშვები ირჩევენ ვაკე ადგილს, ორ თანაბარი რიცხვის შემცველ ჯგუფად ნაწილდებიან და ერთი მეორისაგან გარკვეულ მანძილზე ურთიერთის პირდაპირ მწკრივდებიან. თითოეული ჯგუფის ბავშვები ერთმანეთს ხელს მოჭკიდებენ და მწკრივს გააბამენ. ამის შემდგომ ერთ-ერთი მწკრივიდან ერთი რომელიმე ბავშვი დაიძახებს: „ნიშხა, ნიშხა!“ მას მეორე მწკრივიდან აკრეთვე ერთი ბავშვი უპასუხებს: „ბარბალუკა!“. მაშინ პირველი ჯგუფის ბავშვი შეეკითხება: „ქალი ვინა?“ ამა ე მეორე ბავშვი მოპირდაპირე ჯგუფიდან უპასუხებს: „მე გახლავარ, მობრძანდი და მზად გახლავარო“. ამ დროს მის მწკრივში ბავშვები ერთმანეთს ხელს მაგრად ჩასჭიდებენ და მწკრივი კიდევ უფრო გაიჭიმება. ნიშხა-ნიშხა<sup>2</sup> ან ჯგუფის რომელიმე სხვა მონაწილე მოპირდაპირე მხარისაკენ გაიქცევა, მის ვაკიმულ მწკრივს ეძკერება და ძლიერი და სწრაფი მიწოლით, ან ჩაჭიდებულ ხელზე თავისი ხელის დარტყმით მწკრივის გარღვევას ცდილობს<sup>3</sup>. თუ მან ეს შესძლო, მაშინ გარღვეული ჯაჭვის ერთ-ერთი მონაწილე ტყვედ მოჰყავს. თავის მწკრივში აბამს და თვითაც კვლავ ამ მწკრივში ებმება. ხოლო თუ ნიშხა-ნიშხამ, ან ნიშხა-ნიშხას ჯგუფიდან გაქცეულმა სხვა ბავშვმა მოწინააღმდეგის გარღვევა ვერ შესძლო, მაშინ მას ეს უკანასკნელი ჯგუფი ატყვევება და თავის მწკრივში ათავსებს. ამის შემდგომ ისევ იწყება „ნიშხა, ნიშხას“ და „ბარბალუკას“ ძახილი და თამაშობის მომდე ნო მომენტები მეორედ<sup>4</sup>. ახლა უკვე „ნიშხა, ნიშხას“ მეორე ჯგუფიდან დაიძახებენ და „ბარბალუკას“ კი პირველი ჯგუფიდან. შემდეგ, როდესაც თამაშობა

<sup>1</sup> Гулисоев, Об играх и разных детских забавах, встречающихся в Грузии, СМОМПК, вын. V, отд. II, гл. 238; გ. მერკვილაძე, ქართული მოძრავი თამაშობანი, ტფ. 1922, გვ. 10.

<sup>2</sup> „ნიშხა, ნიშხას“ და „ბარბალუკას“ წარმომთქმელებს „ნიშხა-ნიშხა“ და „ბარბალუკა“ ეწოდებათ.

<sup>3</sup> გულისოვის და მერკვილაძის აღწერილობით (იხ. დასახ. ნაშრომები) პირველი ჯგუფიდან რომ დაიძახებენ „ქალი ვინაო“ (გულისოვის ამ სიტყვების ნაცვლად მოჰყავს „какого из вас“, ხოლო მერკვილაძე ასახელებს: „ქალი მინდა“-ო), მეორე ჯგუფიდან უპასუხებენ მხოლოდ „მე გახლავარო“, დანარჩენ სიტყვებს კი („მობრძანდი და მზად გახლავარო“) თითქოს ისევ პირველი ჯგუფიდან დაიძახებენ. ამასთან შეფარდებით, ამ ავტორების თქმით, მოწინააღმდეგის ბანაკს ეცემა არა პირველი ჯგუფის მონაწილე, არამედ მეორე ჯგუფისა. ვფიქრობთ, რომ თამაშობის უფრო სწორად დაცული წესი ზემოაღწერილი ვარიანტისა უნდა იყოს.



ხელმეორედაც მოთავდება, მესამე ჯერზე „ნიშხა, ნიშხას“ კვლავ პირველი ჯგუფიდან იძახიან და „ბარბალუკას“-კი მეორე ჯგუფიდან. ა ე მორიგეობით ხან ერთი ჯგუფია „ნიშხა, ნიშხას“ ან „ბარბალუკას“ მთქმელი, ხან მეორე ჯგუფი. მორიგეობით ხდება აგრეთვე ჯგუფებს შიგნით ბავშვების აქტიურ როლებში გაროსვლა: ერთხელ რომ ერთი ბავშვია ნიშხა-ნიშხა და მეორე ბარბალუკა; თამაშის მეორე ჯერზე მათ ფუნქციას ბავშვების სხვა წყვილელი ასრულებს, შემდეგ კიდევ სხვა წყვილელი და ასე შემდ. მაგრამ ამ უკანასკნელ მორიგეობას ისე ზუსტად არ იცავენ, როგორც პირველს, ე. ი. მორიგეობას ჯგუფებს შორის. ჩვეულებრივ ნიშხა-ნიშხა და ბარბალუკა თამაშობის მონაწილეთა შორის აქტიური და ინიციატივის მქონე ბავშვები არიან. ასეთი ბავშვები ჩემულობენ მთავარ როლებს—არა მე უნდა ვიყო ნიშხა-ნიშხა ან ბარბალუკა, არა მეო და ამის შედეგად მორიგეობაც მათ შორის ხდება. ამას გარდა მტრის ბანაკზე დამცემი, თუ ის ნიშხა-ნიშხა არ არის, ჩვეულებრივ ის ბავშვია, რომელიც მეტ ინიციატივას გამოიჩენს. ხოლო „ნიშხა, ნიშხას“ და „ბარბალუკას“ ძახილი-კი აუცილებლად ჯგუფებს შორის მორიგეობით ხდება. თუ ბავშვებს არ მობეზრდათ, თამაშობა გრძელდება, ვერც ერთ-ერთი ჯგუფი არ გაიმარჯვებს. გამარჯვებულად ითვლება ის ჯგუფი, რომელიც მოწინააღმდეგის მწკრივის დაშლის და დაატყვევებს. დამარცხებული ჯგუფის უკანასკნელი, კენტად დარჩენილი ბავშვი მას (გამარჯვებულ ჯგუფს) ტყვედ უვარდება. ყოველგვარი ძახილისა და შებრძოლების გარეშე. მაგონ ამეთი სრული დამარცხება ერთისა და გამარჯვება მეორე ჯგუფისა იშვიათად ხდება. ჩვეულებრივ გამარჯვებულთა ის ჯგუფი, რომელსაც შესამჩნევად მეტი ტყვე ჩაუვარდება ხელში<sup>1</sup>.

ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამოწმებულია, რომ რიგი თამაშობანი სერიოზული საკულტო მოქმედების გადმონაშთს წარმოადგენს და უძველეს მსოფლმხედველობას ასახავს<sup>2</sup>. ამგვარ თამაშობებს მიეკუთვნება ზემოაღნიშნული ქართული საბავშვო თამაშობა „ნიშხა-ნიშხაც“. ამას ნათელჰყოფს ამ თამაშობის შინაარსი,

<sup>1</sup> „ნიშხა-ნიშხა“ ერთ-ერთი საყვარელი თამაშობათაგანი იყო ჩემს ბავშვობაში და ზაფხულობით ქართლის სოფლებში (ოსიურში, საქაშეთში) ყოფნის დროს სწორად ვყოფილვარ ამ თამაშობის მონაწილე. მაგრამ ჩვენ მაინც არ დავენდეთ მხოლოდ პირად მოგონებას და თამაშობის ზემომოყვანილი წესი შევამოწმეთ დასახელებული სოფლების მცხოვრებლებთან.

<sup>2</sup> Е. Д. Т а ш о р, Первобытная культура, т. I, დასახ. გამოც., გვ. 67—78, განსაკუთრებით გვ. 70 და შმდ.



თამაშობის მთავარ მომქმედ პირთა ურთიერთდამოკიდებულება და განსაკუთრებით, მათი სახელწოდებანი.

აღწერილი თამაშობა შეიცავს თანასწორი რიცხვის ბავშვების ორ მოწინააღმდეგე ბანაკს, რომელთა რაობას აყალიბებს პაროლი: „ნიშხა, ნიშხა“ და „ბარბალუკა“. ის ჯგუფი, საიდანაც „ნიშხა, ნიშხას“ დაიძახებენ, თამაშობის ერთ-ერთი მთავარი პირის ნიშხა-ნიშხას ბანაკია, ხოლო ის ჯგუფი, საიდანაც „ბარბალუკას“ ძახილი მოისმის, მეორე მთავარი მომქმედი პირის ბარბალუკას ბანაკს წარმოადგენს.

თამაშობის დროს ბანაკთა შორის არსებული მორიგეობისა და მიუხედავად, ის ბანაკი, რომელშიც ნიშხა-ნიშხა იმყოფება, მუდამ მოწინააღმდეგე ბანაკს ეცემა და ებრძვის; ხოლო ის ბანაკი, რომელშიც ბარბალუკა სუფევს, მუდამ მტრის დამხვედრი და მომგერიებელია. ამრიგად, თავდაპსხმელი მხარე მუდამ ნიშხა-ნიშხა და მისი ბანაკია, თავდამცველი მხარე კი მუდამ—ბარბალუკა და მისი ბანაკი.

თამაშობაში წარმოდგენილი ბრძოლა სპეციფიკური ხასიათისა არის. აქ ბანაკი ბანაკს კი არ ეცემა უშუალოდ, არამედ თავდაპსხმელის მხრიდან ერთი მებრძოლი გამოდის, მოწინააღმდეგის მწკრივს ეცემა და საკუთარი ძალით ცდილობს მისი მწკრივი გაარღვიოს და გამარჯვება მოიპოვოს. თუ მან ეს მოახერხა, ზაშინ მას ტყვედ თავის ბანაკში მხოლოდ ერთი ბავშვი მიჰყავს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამცემს ატყვევებენ.

ამ ბრძოლის მიზანი თავდაპირველად უთუოდ ბარბალუკას დატყვევება უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თამაშობაში საგსებით აშკარად არის მითითებული იმაზე, რომ მტერი ბარბალუკას ეძებს, მისი ხელში ჩაგდება სწადია და ამ მიზნით ბარბალუკას და მის ბანაკს ეცემა და ებრძვის. ეს თავდასხმა და ბრძოლა იმართება მხოლოდ იმის შემდგომ, რაც ბარბალუკა თავის თავს ამჟღავნებს, როდესაც მტრის შეკითხვაზე—ქალი ვინაო, უპასუხებს: მე გახლავარო. ამრიგად, ბრძოლის ძირითად მიზანდასახულობას, ერთი მხრივ, ბარბალუკას გატაცება და, მეორე მხრივ, ბარბალუკას დაცვა და მტრის მოგერიება და განადგურება (ტყვედ ჩაგდება) წარმოადგენს.

ბარბალუკას მტერი, მასზე თავდაპსხმელი და მასთან მებრძოლი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი პირი იყო და ეს პირი თავდაპირველად უთუოდ ნიშხა-ნიშხა უნდა ყოფილიყო, რადგან თამაშობის ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი ეს პირია და ის მეთაურობს ბარბალუკას მოწინააღმდეგე ბანაკს.

ამჟამად ეს თამაშობა სრულიად მექანიკურად სრულდება; თამაშობაში მოცემული სახელებიც მექანიკურად წარმოითქმის. როდესაც ნიშხა-ნიშხა ან ნიშხა-ნიშხას სახელით მ სი ბანაკიდან ვინმე კითხულობს „ქალი ვინაო“, ამაზე მოწინააღმდეგე ბანაკის წევრი, ბიჭიც რომ იყოს, უპასუხება—მე გახ-ავარო. ცხადია, თამაშობა რომ მექანიკურად არ სრულდებოდეს ბიჭი ვერ იტყოდა ქალი მე გახლავარო.

ამასთანავე ამ კითხვა-პასუხიდან სრულიად უცილობლად ირკვევა ისიც, რომ თამაშობის პირველ წყაროში ქალად, ე. ი. მდებრობითი სქესის არსებად ბარბალუკა იგულისხმებოდა, ვინაიდან ზემოდასახელებულ კითხვაზე პასუხს ბარბალუკად მიჩნეული პირი, ან ბარბალუკას სახელით მისი ბანაკის რომელიმე წევრი იძახის.

ამავე დროს შესაძლებელია პირველწყაროში „ქალი“ ბარბალუკას სახელის ნაწილს წარმოდგენდა და ეგების ოდესღაც ეს უკანასკნელი, ქალ-ბა-ბარ-ის მსგავსად, ქალ-ბარბალუკა-ს სახით იყო გაფორმებული. ამას გვაფიქრებინებს ის ვითარება, რომ კითხვის დასმით „ქალი ვინაო?“ თითქოს მიინცდამაინც იგულისხმება თუ ვინ არის ბარბალუკაო, ე. ი. „ქალი“ ისეთივე საკუთარი სახელი ზანს, როგორიც ბარბალუკა.

ქალი ბარბალუკა (ქალ-ბარბალუკა) თუმცა-ღა თავდამცველის როლში გვევლინება, მაგრამ ამასთანავე ის ხასიათდება როგორც გაბედული მეომარი, რომელსაც ძალა შესწევს და შეუძლია მტერს ჯეროვნად დაუხვდეს. ამას ნათელჰყოფს სიტყვები, რომლითაც ის ან მისი სახელით სხვა ბავშვი ნიშხა-ნიშხას შეკითხვაზე „ქალი ვინაო?“ უპასუხ ბს:—მე გახლავარ, მობრძანდი და მზად გახლავარო. ამგვარი დამოკიდებულება მტერთან იმის მაუწყებელია, რომ ბარბალუკა უძველესი წარმოდგენების თანახმად, თავისი ძლიერებით ნიშხა-ნიშხას არ ჩამოუვარდება.

ხოლო რაც შეეხება ბარბალუკას მნიშვნელობის საკითხს, ამ მხრივ ის თამაშობის უმთავრესი პერსონაჟია, რომელიც მოწინააღმდეგის მოქმედებას იწვევს და თამაშობას აყალიბებს.

გაყინული ფორმით მოცემული თამაშობის შინაარსი უძველესი დროიდან მომდინარე ქართველი ხალხის ბუნებრივ მითს ასახავს. ამ მითის პირველწყარო უნდა ყოფილიყო დღე-ღამისა და სეზონების ცვლასთან დაკავშირებული წარმოდგენები ნათელი და შავ-ბნელი, ანუ კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ<sup>1</sup>, თამაშობის ამ-

<sup>1</sup> უნივერსალურად გავრცელებული ბუნებრივი მითების შესახებ იხ. ა. მ. ტაილორ, დასახელ. ნაშრომი, გვ. 291—337, განსაკუთრებით გვ. 308 და

გვარი მნიშვნელობის ურყევ საბუთს მასში დაცული მითოლოგიური სახელები წარმოადგენს. მთავარი პერსონაჟი ბარბალუკა (ქალ-ბარბალუკა) ქართველი ხალხის სათაყვანებელი მზის ქალ-ღვთაების სახელს უდრის და ნათელი მზის განსახიერება არის, ხოლო ნიშნა (ანუ ნიშნა-ნიშნა) გველემშაპის სახით პერსონიფიცირებულ შავ-ბნელ ძალას უნდა წარმოადგენდეს. ამ ორი, ნათელი და ბნელი, ძალის განუწყვეტელი ჭიდილი აღნიშნული მითის შინაარსს შეადგენს.

სახელწოდებაში ბარბალუკა ფუძეა **ბარბალ** და იგი სვანურ **ბარბალ** || **ბარბოლ**-ს და ზოგად ქართულ **ბარბალე** || **ბარბარეს** უდრის. ხოლო უკა ქართული საალერსო ანუ ჭინობათი ფორმის დაბოლოვებაა. ამ დაბოლოვებით ხმარებული სიტყვები ქართულ ხალხურ მეტყველებაში მრავალია. მათ რიგს ეკუთვნის საკუთარი სახელებიდან, მაგალითად: მამუკა, თათუკა, თარუკა, იდეუკა, ანუკა, სამუკა, ნანუკა, დედუკა, ქალუკა და სხვა მრავ. ეს საკუთარი სახელები ამჟამად იხმარება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველ მთიელებში (ხევსურებში ამ სახელებს ბოლოში კიდევ -ი ერთვის—მამუკაი, დედუკაი, თათუკაი, სამუკაი, თარუკაი, ქალუკაი და სხვა). ამგვარად, ბარბალუკა ტერმინ ბარბალეს საალერსო ფორმას წარმოადგენს და, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ხალხის მზის ღვთაების სახელს ემთხვევა.

უფრო რთულია მეორე მთავარი პერსონაჟის სახელწოდების გარკვევა. ყოველ შემთხვევაში ნიშნა, როგორც ეს კერძო საუბარში პროფ. ვარლამ თოფურიამაც დაგვიდასტურა, ქართული აგებულების სიტყვა უნდა იყოს, ამ სიტყვაში მოცემულია საერთო ქართულის კუთვნილებად მიჩნეული თავსართი ნი<sup>1</sup> და ძირი შხ—ნი-შხ-ა<sup>2</sup>. ამ ძირის სიტყვები ქართულ და ქართველურ ენებში მეტწილად დიფუზურს, წვის შედეგად მიღებულ სიშავის ცნებას აღნიშნავს. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: ნაშხირი ( || ნახშირი) 'შავი', 'დამწვარი'<sup>3</sup>, შაშხი 'ცუცხლით გაბოლილი, გაშავებული' ლორი,

შემდგომი. ძველი ეგვიპტელების მითი მზის თავისი მტრებთან ბრძოლის შესახებ კერძოდ რენეს ბრძოლა ჭეჩა-ჭუხილის გველემშაპ (დრაკონ) აპოთისთან—Max Ebert, Reallexikon der Vorgeschichte, 1928, B. XII, § 4.

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ტფ. უნივერს. შრომები, საიუბ. XX წლის თავზე, გვ. 90—92.

<sup>2</sup> ივრის ხეობის ფშავლებში ეს სახელი ჩვენ ლიშხანას სახით დავამოწმეთ, იხ. ჩვენი, ივრის ფშავლებში.

<sup>3</sup> Н. Марр, Происхождение из охотничьего быта двух грузинских терминов уголовного права: гврში გერш-ი и სანახშირო სანაშირო, Зап. Вост. Отд. Русск. Археол. Общ., т. XVIII, СПб. 1908, გვ. 0170.

სვანური ლიშხი 'წვა',<sup>1</sup> მაგრამ ლიმშხე 'გაშავება',<sup>2</sup> სვანურივე ლეშხი 'გასაშავებელი',<sup>3</sup> 'დასაწვავი',<sup>4</sup> აქედან დღის სახელწოდება: ლეშხი დეშლიმ ანუ ლეშხი დროშლიმ „საბედისწერო თებერვლის დღე“,<sup>5</sup> სვანურივე მეშხე 'შავი', მაგრამ მეშხის 'საწვავი', ცეცხლმოკიდებული'<sup>6</sup>, აგრეთვე მეშხე ლადელ 'შავი დღე',<sup>7</sup> მეშხე ფხუ ანუ მეშხე დეშლიმ (|| დროშლიმ) 'შავორშაბათი',<sup>8</sup> შიხ „ნახშირი“ ('შავი', 'დამწვარი'), აქედან შიხი ქეინ, შიხი ქეინიშ 'მხუთავი'<sup>9</sup> (ნამწვრის გაზით გამოწვეული ხუთვა), შიხარ ცაშ ანუ შიხრა ცაშ „დიდხუთშაბათი“<sup>8</sup> ('შავი,' 'დამწვარი ხუთშაბათი') და სხვ.

უკანასკნელ ტერმინთან (შიხარ ცაშ, შიხრა ცაშ) დაკავშირებით საყურადღებოა წესჩვეულება, რომელსაც სვანები დიდხუთშაბათს ასრულებდნენ: საღამოს ოჯახის წევრი მამაკაცები და ახალგაზრდობა შუაღამოდან ავარვარებულ მუგუზლებს გარეთ გაიტანდნენ და ყვირილითა და რკინეულის ხმაურით მუგუზლებს შორს გადაისროდნენ. ამით ისინი სახლიდან და კარ-მიდამოდან ავ ძალებს ერეკებოდნენ<sup>9</sup>. ამ დღის წესჩვეულების შინაარსი ნათელყოფს დიდხუთშაბათის სვანურ სახელწოდების აზრსაც. ეს დღე ავი ძალების საწინააღმდეგოდ განკუთვნილი დღე იყო. ხოლო ავი ძალები, როგორც ჩანს, დაკავშირებული ყოფილა სიშავესთან, სიბნელესთან, რამდენადაც მათი განდევნა ცეცხლმოკიდებული მუგუზლების საშუალებით დაღამების შენდგომ ხდებოდა. მეტის თქმაც შეიძლება: ეს ავი ძალები ალბათ თვით სიშავის, სიბნელის განსახიერებას წარმო-

<sup>1</sup> И. Нижарадзе, Русско-сванский словарь, СМОМПК, вып. 41, отд. II.

<sup>2</sup> М. Завадский, დასახელ. ნაშრომი, გვ. LI

<sup>3</sup> Н. Марр, Извлеч. из сван.-русск. словаря, Материалы по яфетич. языкознанию, X, стр. 33.

<sup>4</sup> პროფ. ვ. თოფურიას განმარტებით.

<sup>5</sup> И. Нижарадзе, დასახელ. ნაშრომი.

<sup>6</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ., ხელნაწერი.

<sup>7</sup> И. Нижарадзе, დასახ. ნაშრომი. შხ ძირის სიტყვების ქართული და მეგრულ-ჭანური შესატყვისი მაგალითები იხ. ნაშრომში: „სუმერული და ქართული“, ჟურნ. გვიოგვინი, 1912, გვ: 108. ამ ნაშრომზე მივვითითებ პროფ. ს. ჯანაშიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

<sup>8</sup> სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ., ხელნაწერი.

<sup>9</sup> ამ წესჩვეულების დაწვრილებითი აღწერილობა იხ. სვან. ხალხ. დღეობ. კალენდ., ხელნაწერი.

ადგენდნენ და მათი გარეკვა სინათლის (ცეცხლმოკიდებული მუგუზლებს) საშუალებით ხდებოდა. ქართულ მეტყველებაში საეროოდ ავი ძალები და ბნელი ანუ შავ-ბნელი ძალები მნიშვნელობის მხრივ სინონიმებს წარმოადგენს. და საგულისხმეოა, რომ ჩვენთვის საყურადღებო სიტყვის ფუძეც სწორედ ამ შავ-ბნელ ძალებთან დაკავშირებულ (სვანურ) სახელებში მოწმდება.

ზემოთ (გვ. 97) ჩვენ აღვწერეთ მნათობების დაბნელების შესახებ ქართველი ტომების წარმოდგენები და წესჩვეულებანი. მათი მიხედვით მნათობი მზისა და მთვარის დაუძინებელი მტერი გველემპაია. ქართველების მეტყველებაშიც ამ შავ-ბნელი ძალის გველის სახით პერსონიფიცირების დანაღეჟი უნდა იყოს, მაგალითად, მეგრული სიტყვა უჩა-ღართამი 'შავ-ჩოხიანი', რომელიც გველს აღნიშნავს<sup>1</sup>, და ჩვენთვის საყურადღებო სიტყვის ძირის (შხ) შემცველი სვანური სიტყვა შიხულ (შიხულ)—ანკარა, გველი<sup>2</sup>.

დაბოლოს, აღსანიშნავია ის მსგავსება, რომელიც „ნიშხა-ნიშხას“ თამაშობის მთავარ მოქმედ პირთა და ქართველი ტომების მითოლოგიურ წარმოდგენებში მზესა და გველემპაის შესახებ არსებობს. საოცარ იგივეობას იჩენენ ერთმანეთთან ქალ-ბაბარი და ქალ-ბარბალუკა არა მხოლოდ თავისი დეტერმინატივის წყალობით. როგორც ქალ-ბაბარის, ისე ბარბალუკას სახელთან საფრთხე და ბრძოლის ამბებია დაკავშირებული. ქალ-ბაბარს, როგორც მის განსახიერებას, მუდამეჟამ გველემპაი სდევნის და სცდილობს მის შთანთქმას. ხოლო ბარბალუკას დაუცხრომელი მტერი ნიშხა-ნიშხა არის, რომელიც მუდამეჟამ (თამაშობის მიხედვით, რომელიც ერთიდაიგივე მოქმედების გამეორებისაგან შესდგება) მას თავს ესხმის და ცდილობს დაატყვევოს.

ამ შედარებითი ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მონაცემების მიხედვით ქალ-ბარბალუკა ქალ-ბაბარს ემთხვევა, ხოლო ბარბალუკას დაუძინებელი მტერი ნიშხა (ანუ ნიშხა-ნიშხა) სათაყვანებელი მნათობთა-მნათობის ბარბალეს ანუ ქალ-ბაბარის ცნობილს მტერს გველემპას უდრის.

<sup>1</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб. 1914, გვ. 349, სიტყვასთან: გვერი; „ღართი საწვიპარი ნაბადი“, განმარტავს საბა ორბელიანი, იხ. მისი, ქართული ლექსიკონი, გვ. 367.

<sup>2</sup> Н. М а р р, Извл. из сван.-русск. словаря, გვ. 33, აგრეთვე გვ. 38 (ჰვიჟ)



ამგვარად, ქართული საბავშვო თამაშობაც „ნიშხა-ნიშხა“ ასახავს კოსმიურ-მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და შავ-ბნელი ძალის გველეშაპის დაუცხრომელი ბრძოლისას. ეს კოსმიურ-მითოლოგიური სუჟეტი ხალხს შეეძლო შეექმნა უძველეს წარმოდგენებთან დაკავშირებით დღე-ღამის და ბუნებრივი სეზონების ცვლის გამომხატველ ნათელი და შავ-ბნელი, კეთილი და ავი ძალების კიდლის შესახებ.

## VI. ქართული ბარბაღე და სუმერული ბაბბარ

ქვემოთ შეძლებისდა გვარად მოგვყავს ქართულ-ქართველური და კავკასიური ენებიდან ზოგიერთი სიტყვების შედარება ტერმინთან ბარბარე || ბარბაღე || ბარბალ || ბარბოლ. ეს სიტყვები ფორმალურ-ლინგვისტიკური პარალელების გარდა იძლევა სემანტიკურ პარალელებს მნათობთა-მნათობის მზე-ბარბაღეს გამოსახულებისას და თვისებისას, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში გამოვლინებული იყო ამ ღვთაების კულტთან დაკავშირებული ობიექტების ანალიზის შედეგად.

ეთნოგრაფიული გადმონაშთების მიხედვით ბარბაღეს ბალს-ქვემოური შესაწირავი ფიქალის, კირქვის თუ ლითონის კვირისტავი ჩერ შდა და მისი მსგავსი საგნები, ლაშხური და ლენტეხური შესაწირავი კვერები თემი ტაბლარ, ქართლური შესაწირავი ცვილის და ვერცხლის თვალის კაკლები, ბალსქვემოური „ხატი“ გირგვი, რაქა-ლეჩხუმური საახალწლო გვერგვი, გურული საახალწლო კალპი, ქართული ნეფე-დედოფლის გვირგვინი, სვანური (ფარის თ.) საახალწლო კვერი ქალბაბარ და სვანურივე (უშგულური) მარმარილოს ბურთი ქუთი ყუაბ—ასახავენ მზეს, როგორც რგოლს, დისკოს, თვალს, მზის ფერს (ყვითელი, თეთრი), სხივოსნობას და ელვარებას.

ამ ობიექტებიდან გვირგვინის, გვერგვი-ს, <sup>1</sup> სვანური გირგვიდ-ის (მრ. რ. გირგვიდჰრ) სახელწოდებანი, მსგავსად სიტყვებისა მირგვალი <sup>2</sup>, მრგვალი, გრგვალი || რგვალი, რგოლი || გრგო-

<sup>1</sup> ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობის შესახებ იხ. ილია ჭყონია, სიტყვის-კონა, 1910, გვ. 13.

<sup>2</sup> ხევსურული ორნამენტის ელემენტის სახელია, იხ. ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი I. ხევსურული, თბ. 1939, 22, 23, 91, 96, 98.

ლი, გორგალი, გოგორა || გორგორა და მისთ., სიმრგვლეს აღნიშნავენ<sup>1</sup>.

ამავე ცნებას შეიცავს აფხაზური ა ბ ა რ ბ ა ლ (ა-ბ ა რ ბ ა ლ)— ბ ო რ ბ ა ლ ი<sup>2</sup>, სვანური ბ ა რ ბ ა — შეილდის რკალი, ბ ა რ ბ ე ლ — წისქვილის ბორბალი, მეგრული ბ ა რ ბ ა ლ ი — ბორბალი<sup>3</sup>, ქართული ბ ო რ ბ ა ლ ი (რომელიც ხშირ შემთხვევებში სიტყვით თვალი შეინაცვლება, მაგ. წისქვილის ბორბალი = წისქვილის თვალი, ურმის ბორბალი = ურმის თვალი და სხვ.), აგრეთვე ჭ ა ნ უ რ ი ვ ი რ ვ ი ლ ი — საბავშვო სატრიალბელი სათამაშო (ბასკური ბ ი რ ბ ი ლ — რგოლი, მრგვალი)<sup>4</sup>. ეს სიტყვები ლინგვისტიკურ პარალელებს წარმოადგენს მზის ღვთაების სახელწოდებისას ბ ა რ ბ ა რ ე || ბ ა რ ბ ა ლ ე || ბ ა რ ბ ა ლ || ბ ა რ ბ ო ლ<sup>5</sup>. საფიქრებელია, რომ მნათობთა მნათობის ეს სახელწოდებაც, აღნიშნული სიტყვების მსგავსად, ოდესღაც სიმრგვლის ცნების შემცველი ყოფილიყო, რამდენადაც ამ ტერმინით მრგვალი ფორმის მნათობი მზე აღინიშნებოდა.

ამას გარდა, მზის ღვთაების სახელწოდების ლინგვისტიკური პარალელებია: გურულ კილოში დაცული ბ ა რ ბ ა ლ ი,<sup>6</sup> ლეჩხუმური ბ ი რ ბ ი ლ ი<sup>7</sup> და საერთო ქართული ვ ა რ ვ ა რ ი<sup>8</sup> — ცეცხლის ალის მოძრაობა, ბრიალი, პრიალი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბ ა რ ბ ა რ ე || ბ ა რ ბ ა ლ ე || ბ ა რ ბ ა ლ || ბ ა რ ბ ო ლ გაორმაგებული ძირისაგან (ბარ + ბარ) შემდგარი სიტყვაა, მაშინ პირველი ნახევარი სიტყვებისა ბ რ ი ა ლ ი და

<sup>1</sup> ამ სიტყვების ძირის პირველადი მნიშვნელობის შესახებ იხ. Н. Марр, Новый поворот в работе по яфетической теории, Избр. работы, т. I, გვ. 340; მისიციე, Из Пиренейской Гурии, Избр. раб., т. IV, გვ. 19.

<sup>2</sup> Н. Марр, Абхазско-русский словарь, Лен. 1926, გვ. 23.

<sup>3</sup> И. Кишидзе, Грам. мингр. яз., გვ. 200.

<sup>4</sup> Н. Марр, Яфетическ. зори на украинск. хуторе, Избр. работы, т. V, გვ. 248.

<sup>5</sup> აკად. ნ. მარი, სიმრგვლის აღმნიშვნელ ტერმინებს გენეტიკურად ცას და მის ნაწილებს, მზესა და მთვარეს უკავშირებს, იხ. Н. Марр, Из Пиренейской Гурии, Избр. работы, т. IV, გვ. 19, 51; მისიციე, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, Избр. работы, т. II, გვ. 424.

<sup>6</sup> ქართველურ ენათა ლექსიკონი, I. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ. 1938, გვ. 7.

<sup>7</sup> ქართ. ენათა ლექს. I, გვ. 140.

<sup>8</sup> სუმერული და ქართული, გვ. 97, 98.

პრიალი<sup>1</sup> მზის ღვთაების სახელწოდების ძირს უნდა შეიცავდეს. ამავე ვითარებას უნდა ამჟღავნებდეს პირველი ნაწილი სიტყვებისა ბრწყენა<sup>1</sup>, ბრწყენალი<sup>1</sup>.

საზოგადოდ, თუ ძიების ამგვარ გზას დავადგებით, მაშინ ჩვენთვის საყურადღებო ტერმინის ძირის თვალსაჩინო პარალელებს შეიძლება მიეკუთვნოს, ერთი მხრივ, თვალის აღმნიშვნელი ჩაჩნური და ინგუშური ბლარგ, წოვური ბლარკ<sup>2</sup>, ხუნძური ბერ<sup>3</sup> და, მეორე მხრივ, დასაწყის ბგერათა კომპლექსები სიტყვებში: ქართული ვარსკვლავი<sup>4</sup>, მეგრული მურიცხი<sup>5</sup> და ქანური მურუცხი—ვარსკვლავი, ჰვრკანული ვარჰი—მზე, დღე<sup>6</sup>, ბუღუხური ვირალ—მზე<sup>7</sup>, რუთულური ვირგლ ანუ ვვრგლ—მზე, მზის ამოსვლა<sup>8</sup>, წახურული ჟირგლ—მზე<sup>9</sup>, ჯეკური ვურალ—მზე<sup>9</sup>, ლაკური ბარლ—მზე, ნათება<sup>10</sup>, არჭული ბარგ—მზე<sup>11</sup>, ჩაჩნური მალხ—მზე, ნათება<sup>12</sup>, აფხაზური ამარა ანუ ამრა—მზე<sup>13</sup>,

<sup>1</sup> სუმერული და ქართული, გვ. 97, 98.

<sup>2</sup> ჩაჩნური, ინგუშური და წოვური სიტყვები მომავლად ენიმკი-ს უფრ. მეცნ. თან. დოც. თ. გონიაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია ჩვენი პარალელებისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ იყოს ძვ.-ქართ. ბლუარი—სამხრეთი, აქედან „მზის მხარე“.

<sup>3</sup> П. Услар, Аварский язык, 1889, გვ. 51.

<sup>4</sup> სუმერული და ქართული, გვ. 97; შდ. Н. Марр, Яфетические зори на украинском хуторе, Избр. работы, т. V, გვ. 228, შენ. 1; მისივე, Приволжские и соседящие с ними народности, Избр. работы, т. V, გვ. 301.

<sup>5</sup> სუმერული და ქართული, გვ. 97.

<sup>6</sup> П. Услар, Хюркилинский язык, 1891, გვ. 300, 301.

<sup>7</sup> А. Дирр, Рутульский язык, СМОМПК, вып. 42, გვ. 127; მისივე, Агульский язык, Граммат. очерк, СМОМПК, вып. 37, отд. III, გვ. 165.

<sup>8</sup> А. Дирр, Шахурский язык, СМОМПК, вып. 43, отд. III, გვ. 238.

<sup>9</sup> А. Дирр, Агульский язык, Грам. очерк, СМОМПК, вып. 37, отд. III, გვ. 165.

<sup>10</sup> П. Услар, Лакский язык, 1890, გვ. 250.

<sup>11</sup> А. Дирр, Арчинский язык, СМОМПК, вып. 39, გვ. 133, 222; მისივე, Агульский язык, გვ. 165.

<sup>12</sup> П. Услар, Чеченский язык, 1888, გვ. 163.

<sup>13</sup> Н. Джанашия, Религиозные верования абхазов, ХВ, т. IV, вып. I, 1915, გვ. 84 და იქვე, შენ. 3. ბარბარეს ძირთან მზის აფხაზური სახელწოდების ამრა ანუ ამარა-ს კავშირზე პროფ. ს. ჯანაშიამ მიგვითითა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ. აკად. ნ. მარი ამტკიცებს, რომ „Абх. à-mra 'солнце' и à-mza 'луна' основами mra || mza являются лишь дифференцированными разновидностями.... слова bar \u2013mar, с перемещением огласов-

ლაკური ბარზ—მთვარე<sup>1</sup>, კვრული ჟარძ—მთვარე<sup>2</sup>, ანდიური ბორცი,—მთვარე<sup>3</sup>, ლოდობერული და ბოთლინური ფურცუ—მთვარე<sup>3</sup>, კარატული პორციო—მთვარე<sup>3</sup> და მრავალი სხვა მზისა და მთვარის აღმნიშვნელი კავკასიური ტერმინების შესაფერისი ბგერითი კომპლექსი.

ამავე დროს ქართული კილოური ბარბალი და ბირბილი საოცრად ემსგავსება ფორმალურადაც და სემანტიკურადაც სუმერულ-აქქადურ სიტყვა-ეპითეტს birbitu—მოციმციმე სხივი, ელვარება. Kut Tallqvist-ს მოჰყავს ამ სიტყვის მრავალი სხვა მნიშვნელობაც, რომლებსაც უმთავრესად თვალთან და მნათობთა ან მნათობისათვის მიკუთვნებულ თვისებებთან აქვს კავშირი. ასე მაგალითად,

ки“,—იხ. Н. Марр, Постановка учения об языке в мировом масштабе, Избр. работы, т. IV, გვ. 71. როგორც ჩანს აკად. ნ. მარს მთვარის აფხაზური სახელი მიჩნეული აქვს მარტივ (ერთძირიან) სიტყვად, რომელშიც ზანი (ამზა) რაეს (ამრა) დიფერენცირებულ სახესხვაობას წარმოადგენს. ასევე მარტივ სიტყვად მიიჩნევდა აკად. მარი ქართულ სიტყვას მზე, მაგრამ ამ უკანასკნელის ძირად გამოცხადებული ჰქონდა მეზ, როგორც ცეცხლის აღმნიშვნელი ძირი, რომელიც თვალნათლივ მოცემულია სვანურ სიტყვაში ლემეზგ 'ცეცხლი' (Н. Марр, Из Пиренейской Гурии, Избр. работы, т. IV, გვ. 32). ჩვენის ფიქრით, აფხაზურ ამზა-ში ზანი არ უნდა წარმოადგენდეს რაეს სახესხვაობას. ამას გვაფიქრებინებს სხვათა შორის თუნდაც ის გარემოება, რომ მონათესავე კავკასიურ ენებიდან, მაგალითად, მთვარის ლაკურ სახელში ბარზ, ორივე ბგერა, რაეც და ზანიც, ერთად არის მოცემული (შდრ. აგრეთვე მთვარის აღმნიშვნელი კვრული კანონზომიერი ბგერითი ფორმის სიტყვა ჟარძ). შესაძლებელია აფხაზური ამზა და ქართული მზე ორძირიანი სიტყვები (ა-მ+ზა, მ+ზე) იყოს ჩვენამდე გაცვეთილი ფორმით მოღწეული, ე. ი. ამ სიტყვებში პირველსა და მეორე ძირს შემადგენელი ბგერები დაკარგული ჰქონდეს—პირველ ძირს აკლდეს -რა—არ. საკითხი ქართული მზის ორძირიანობის, ან მკვლევარის ტერმინოლოგიით ორულემენტაინობის (ВА), შესახებ თვით აკად. ნ. მარმა წამოაყენა თითქოს კატეგორიულადაც კი, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილად იგი მაინც ვერ მიიჩნია, — იხ. Н. Марр, Из Пирен. Гурии, Избр. работы, т. IV, გვ. 49—50; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I<sup>3</sup>, 1928, გვ. 115—121; არხ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 202—203.

<sup>1</sup> П. Услар, Лакский язык, 1890, გვ. 250, 406.

<sup>2</sup> П. Услар, Кюринский язык, 1896, გვ. 616; А. Дирр, Агульский язык, СМОМПК, вып. 37, отд. III, გვ. 165.

<sup>3</sup> А. Дирр, Материалы для изучения языков и наречий андо-лидойской группы, СМОМПК, вып. 40, გვ. 99; მისივე, Краткий грамматич. очерк андийского языка, СМОМПК, вып. 36, отд. IV, გვ. 171.

birbiru აღნიშნავს ხედვას, განჭვრეტას, გარკვევას, ბრწყინვას, ზისავსეს და სხვ.<sup>1</sup>

თუ მოყვანილი პარალელები დამაჯერებლობას მოკლებული არ არის, მაშინ ამ მაგალითებზე დაყრდნობით გასაგები გახდება, რომ მზის ღვთაების სახელწოდების ძირი ბარ, მისი გაორმაგებული ფორმა და მისი ბგერითი შესატყვისობის კანონზომიერი ფორმები პირველ ყოვლისა მნათობთა საერთო და ძირითადი თვისების აღმნიშვნელი უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს ტერმინები: ქართული ბარბაღე, ბირბილი, ვარვარი, ბრიალი, პრიალი, ბრწყენა, ბრწყვიალი, ლაკური ბარღ და ჩაჩნური მალხ, რომლებიც (ბარღ და მალხ) არა მხოლოდ მშეს, არამედ ნათებასაც აღნიშნავს.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბარ და მისი ბგერითი შესატყვისობის კანონზომიერი ფორმები ვარსკვლავის (და შესაძლებელია აგრეთვე მზის) ქართულ და ქართველურ სახელწოდებებში და მზის, მთვარის და თვალის კავკასიურ სახელწოდებებში ძირითადად მნათობთა საერთო თვისების—ნათების, სხივოსნობის, ელვარების ცნების აღმნიშვნელია.

ამგვარად, კულტის გადმონაშთებში მოცემულია რიგი ობიექტები, რომლებიც ღვთაება მზე-ბარბაღეს გარეგან გამოსახულებასა და მის ძირითად თვისებას ასახავს. ამ ობიექტებიდან ზოგის სახელი სიმრგვლეს აღნიშნავს. ამავე ცნებას შეიცავს სხვადასხვა არა საკულტო მრგვალი საგნის სახელიც—აფხაზური, სვანური, მეგრული, ჭანური, ქართული (და აგრეთვე ბასკურიც). ეს სახელები ქართველების მზის ღვთაების სახელწოდების პარალელებს წარმოადგენს და, ვინაიდან ამასთანავე მშეც ამ საგნების მსგავსი ფორმისაა, მზის ღვთაების სახელწოდებაც სიმრგვლის ცნების გამომხატველი სიტყვა უნდა იყოს. მეორე მხრივ, მზე-ბარბაღეს სახელწოდების ძირი ბარ, მისი გაორმაგებული ფორმა (ბარ-ბარ) და მისი ბგერითი შესატყვისობის კანონზომიერი ფორმები მოცემულია სხვადასხვა მნათობის და მნათობთა ზოგადი თვისების აღმნიშვნელ სახელებში როგორც ქართულ და ქართველურ, ისე კავკასიურ ენებში, სადაც იგი (ბარ) მნათობთა ზოგად თვისებას—ნათებას, ბწყვიანებას, ელვარებას აღნიშნავს და, მაშასადამე, ქართულ ბარბარე || ბარბაღე-შიც

<sup>1</sup> Knut Tallqvist, Akkadische Götterepitheta (Studia Orientalia. Edidit Societas Orientalis Fennica, VII), Leipzig 1938, გვ. 72—73.



ეს ძირი ამგვარივე ცნების შემცველი უნდა იყოს, ე. ი. მნათობელს ანუ მნათობს, ბრჰყვიალას, მოელვარეს უნდა აღნიშნავდეს.

ამასთანავე ის გარემოება, რომ ამ სახელწოდებაში ბარ გამომავებული ფორმით არის მოცემული ეგების თავისებური მრავლობითობის მაჩვენებელი იყოს<sup>1</sup>, ე. ი. მნათობის ზემოაღნიშნული თვისების სიჭარბის, სიმრავლის გამოჩნატველი და სათაყვანებელი მზის სახელწოდება ბარბარე || ბარბალე იქნებ ოდესღაც წარმოადგენდა სიტყვა-ეპითეტს, რომელიც „მნათობთა-მნათობს“ აღნიშნავდა.

შიდღება ზემომოყვანილი ქართული, ქართველური და კავკასიური ენობრივი მასალები უმნიშვნელო არ იყოს ბერძნული სიტყვა Βάρβαρος-ს სადაურობის საკითხის გარკვევისათვის მით უფრო, რომ, როგორც ჩანს, დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილი აზრი არ არსებობს (ისევე, როგორც არ არსებობს ასეთი აზრი ქრისტიანული წმ. ბარბარას და ხალხური ბარბარას შესახებ რწმენა-წარმოდგენების ურთიერთმიმართების საკითხში, რაშიც წინამდებარე ნაშრომის შესავალ ნაწილში დავრწმუნდით).

Émile Boisacq-ს ბერძნული βάρβαρος, რომლის ძირი და მნიშვნელობა წმინდანის სახელშია მოცემული, ინდოევროპიული წარმოშობის სიტყვად მიაჩნია. მისი ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით მას ეს სიტყვა, რომელიც ბერძნულში აღნიშნავს 'უცხოს', 'უცხო ქვეყნის პირს', 'არაბერძენს', 'შკაცოს', 'ბარბაროსს', გამოჰყავს სანსკრიტული სიტყვიდან barbarah 'ენაბრკვნილი' და პარალელებს ჰპოვებს სლავიანურ brbrati, სერბულ brboljiti 'ბურტყუნი' (barboter), ლიტვურ birbti 'ჩხრიალი' (bourdonner), barbōzius 'მაჩხრიალებელი' (bourdonneur) სიტყვებში და სხვ. E. Boisacq-ს ამავე დროს ბერძნ. βάρβαρος ონომატოპოეტურ სიტყვად მიაჩნია<sup>2</sup>.

E. Weidner-ი უარყოფს ამ სიტყვის ინდოევროპიული ძირიდან წარმოშობილობას და ამტკიცებს, რომ βάρβαρος სუმერული სიტყვაა, სადაც bar 'უცხოს' აღნიშნავს, ხოლო bar-bar ამ სიტყვის

<sup>1</sup> შდრ. ჰემომოყვანილი Weidner-ის მაგალითები სუმერული ენიდან, სადაც მრავლობითი რიცხვი სიტყვის გაორმაგების საშუალებით მიიღება.

<sup>2</sup> É m i l e B o i s a c q, Dictionnaire étymologique de la langue grecque, étudiée dans ses rapports avec les autres langues indo-européennes, Heidelberg — Paris 1938, 3<sup>e</sup> éd. სიტყვასთან: βάρβαρος.

მრავლობითი ფორმაა 'უცხოები' და ნაწარმოებია სუმერული ენისათვის ბუნებრივი წესით—მხოლოდობით რიცხვში მოცემული სიტყვის გაორმაგებით, როგორც მაგალითად: gal 'დიდი', gal-gal 'დიდები', tur 'პატარა', tur-tur 'პატარები' და სხვ.<sup>1</sup>

აკად. ნ. მარს bar-bar იაფეტურ სიტყვად მიაჩნია. მისი კონცეფციით ამ სიტყვამ სატოტემო-სატომო<sup>2</sup>-მაგიური მნიშვნელობის საფეხურების გავლით საკულტო-მითოლოგიური სემანტიკა დაიმკვიდრა და პარ → ბარ → ფარ ფორმებით კერძოდ სომხეთსა (იგულისხმება მისი იაფეტური ფენა), საქართველოსა და საზოგადოდ იაფეტურ კავკასიაში მზის აღმნიშვნელ ტერმინად იქცაო<sup>3</sup>.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმიერია ნ. მარის ერთ-ერთი დებულება, რომლის თანახმად სომხური თქმულება მგჰერ-ის, ქართული—ამირანი-სა და აფხაზური—აბგრსკილ-ის შესახებ ძირითადად უძველესი იაფეტური თქმულებაა მზის ღვთაებაზე, რომელიც გმირად არის ქცეული და რომელიც ბერძნულში გადავიდა და პრომეთეოსის შესახებ თქმულებად გარდაიქმნაო. მარის აზრით, თქმულების პერსონაჟების სახელები ა-მირა ანუ ა-მგრ აფხაზურ მზის სახელს ბ-მრა ან ა-მგრ-ს უდრის; უკანასკნელის შესატყვისია ბერძნული პრო-მეთეოსი, აფხაზური ა-ბგრ-სკილ<sup>4</sup> და ეგვიპტის გნოსტიკურ წრეებში გავრცელებული რწმენის პერსონაჟის სახელი Abraxa<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Ernst Weidner, *Bárbáros*. Glotta. Zeitschrift für griechische und lateinische Sprache, B. IV, Göttingen 1913, გვ. 303—304.

<sup>2</sup> შდრ. Fr. Hrozny-ს მიერ ამოკითხულ ხეთური საგალობლის ცნობილი ტექსტის UR. BAR: RA-ს, რომელსაც ავტორი barbaru-ს უკავშირებს და პირობითად თარგმნის—მიწისმომქმედი-ლუვიტელი,—იხ. Boghazköi-Studien, 5. H. Fr. Hrozny, Ueber die Völker und Sprachen des alten Chatti-Landes, Leipzig 1920, გვ. 41—42.

<sup>3</sup> H. Mapp, *Право собственности по сигнализации языка*, Избр. работы, т. III, გვ. 181—182; მისივე, *Готтентоты—средиземноморцы*, Избр. работы, т. IV, გვ. 124; მისივე, *Карфаген и Рим, Fas и Jus*, Избр. работы, т. IV, გვ. 166—170; მისივე, *Яфетические зори на украинском хуторе*, Избр. работы, т. V, გვ. 258, 259, 260.

<sup>4</sup> მზის ღვთაების სქესის, მდედრის მამრით, შენაცვლება უთუოდ შედარებით გვიანი ხანის მოვლენაა; ამგვარი შენაცვლების მაგალითები რელიგიის ისტორიაში მრავლადაა დამოწმებული.

<sup>5</sup> H. Mapp, *Кавказоведение и абхазский язык*, Избр. работы, т. I, გვ. 74; მისივე, *Из Пиренейской Гурии*, Избр. работы, т. IV, გვ. 52; მისივე, *Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении*, Избр. работы, т. I, გვ. 239; მისივე, *Яфетические зори на украинском хуторе*, Избр. работы, т. V, გვ. 270; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

იაფეტურ სამყაროში საკულტო მნიშვნელობით ბარ სიტყვის ფართო გავრცელებულობაზე მიუთითებს აგრეთვე ვანის ხალღურ ლურსმულ წარწერებში მოცემული მზის ღვთაების აღმნიშვნელი სახელები: 1. პ ა რ ა ნ უ ბ ა რ — ეტიუნიების მზის ღვთაება <sup>1</sup>, 2. ბ ა გ ბ ა რ - ტ უ — ურარტელების მზის ქალ-ღვთაება და 3. ბ ა რ - წ ი ა — აგრეთვე ღვთაება <sup>2</sup>.

ეს კონკრეტული ფაქტები და ჩვენ მიერ ზემომოყვანილი ქართული, ქართველური და კავკასიური მასალები, აგრეთვე ქართული ბ ა რ ბ ა ლ ი - ს ა და ბ ი რ ბ ი ლ ი - ს სუმერულ-აქქადურ birbiru-სთან როგორც ფორმალურ-ლინგვისტიკურად, ისე სემანტიკურად შეხვედრის მაგალითი — ყველაფერი ეს მიუთითებს არა მხოლოდ ბარ სიტყვის გავრცელებულობის სრულიად გარკვეულ არეალზე, არამედ იმაზეც, რომ სიტყვა ბარ (ბარ + ბარ) მართლაც უძველესი კულტურული მონაპოვარია წინააზიის იმ მოსახლეობისა, რომელიც წინ უსწრებდა სემიელთა და ინდოევროპიელთა გამოჩენასა და გავრცელებას ძველ აღმოსავლეთში.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება. აღნიშნულ ფაქტებთან ერთად ჩვენ მოგვეპოვება ზანსაცვიფრებელი შეხვედრის ფაქტი სუმერულთან ქართველი ტომების მზის ღვთაების სახელისა და კულტისა, რაც ამ ხალხების მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს და ეგების უფრო მეტის, სახელდობრ, ამ ხალხების გენეტიკური ნათესაობის მაჩვენებელიც იყოს.

სვანურ ახალწელიწადის რიტუალში დაცული და ზემოთ განხილული მზის ღვთაების ქალ-ბ ა ბ ა რ - ის სახელწოდების მსგავს ტერმინს სუმერულ ღვთაებათა შორის ვპოულობთ. ამავე დროს, ქართულ-სვანურ ქალ-ბ ა ბ ა რ - ის მსგავსად, ეს სუმერული ღვთაებაც მზის ღვთაება იყო. სემიტურში შამაშის სახელით ცნობილს მზის ღვთაებას სუმერულში შეესატყვისება მზისავე ღვთაება ბ ა ბ ბ ა რ,

<sup>1</sup> აკად. ნ. მარტი წერს: „Самое важное, притом совершенно неожиданное в этой части текста (ლაპარაკია სტელის III გვერდის ტექსტზე) — появление яфетического бога Пары или Бара, именно Солнца полуденного“ — იბ. Н. Марр и И. Орбели, Археологическая экспедиция 1916 года в Ван, Петроград 1922, გვ. 50.

<sup>2</sup> Н. Марр и И. Орбели, დასახ. ნაშრომი; Н. Марр, Постановка учения об языке в мировом масштабе, Избр. раб., т. IV, გვ. 71; მისივე, Языковая полиника яфетической теории и удмуртский язык, Избр. раб., т. V, გვ. 221; მისივე, Яфетические зори на украинском хуторе, Избр. работы, т. V, გვ. 260.

რომლის თაყვანისცემის ცენტრს ქალაქი ელლასარი ანუ ლარსი წარმოადგენდა<sup>1</sup>. Knut Tallqvist-ის ნაშრომის Akkadische Götterepitheta-ს მიხედვით, პირველწყაროებში სუმერული ღვთაება შემდეგი სახელწოდებით გვხვდება: babbar, განმარტავენ როგორც ba-ab-bar, უდრის Samaš-ს; babbar-é «ამომავალი მზე»; babbar-šú-a «ჩამავალი მზე», უდრის Nabû-ს<sup>2</sup>.

Alb. Götze არჩევს რა ხეთების ღვთაებათა წარმოშობის საკითხს, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ხეთების პანთეონში წარმოდგენილი ღმერთები სხვადასხვა მოსახლეობის ფენას ეკუთვნიანო. ამ პანთეონში შესული იყო, მაგალითად, ხურული ქალ-ღმერთი ჰეპატე, რომელიც დასაწყისში თავისი არსებით დიდ მზე-ქალ-ღმერთს უდრიდაო. Götze-ს აზრით, ხეთურ პანთეონში უფრო მნიშვნელოვანი არიან ხურული ღმერთები, რომელთა რიცხვში მესოპოტამური წარმოშობის ღვთაებათა დიდი რიცხვია შესული. ყველაზე მნიშვნელოვანი ფენა პროტო-ხათური, ე. ი. ძველი მცირე-აზიური ფენა ყოფილა. პროტო-ხათების ღვთაებები ხეთების დროსაც თურმე სახელმწიფო ღმერთებს წარმოადგენდნენ სარწმუნოებაში, ხოლო ხეთების პანთეონის სათავეში მდგარა მზის ქალ-ღმერთი Ariina, რომლის ადგილობრივი სახელი ცნობილი არ არის<sup>3</sup>. ამრიგად, მცირე-აზიის უძველესი მოსახლეობის პანთეონში მზის ღვთაებები უმრავლეს შემთხვევაში მდებრობითი სქესის არსებანი ყოფილან. ასეთსავე ვითარებას ადგილი ჰქონია საზოგადოდ წინა-აზიის უძველეს მოსახლეობის სარწმუნოებაში, რამდენადაც სპეციალისტები მცირე-აზიის პანთეონში მესოპოტამურ წარმოშობის ღვთაებათა დიდ რიცხვს ამოწმებენ. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აგრეთვე აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია სემიტების მზის ღვთაებაც კი, შამაშ-ი, პირველად ქალ-ღმერთი იყო და შემდგომ, ბაბბარ-თან შეერთებისას, მან ქალური ხასიათი თავის მეუღლე აია-ს გადასცა<sup>4</sup>.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ხალხის უძველეს მზის ღვთაება ბარბარე || ბარბაღეს, რომლის ერთ-ერთ სახელწოდებაში (ქალ-ბაბარ) საგანგებოდ აქ-

<sup>1</sup> Б. Тураев, История Древнего Востока, I, гл. 75; В. Струве, История Древнего Востока, краткий курс, Москва, 1934, гл. 74.

<sup>2</sup> Knut Tallqvist, დასახელ. ნაშრომი, გვ. 270.

<sup>3</sup> Alb. Götze, Hethiter, Churriter und Assyrer, Oslo 1936, гл. 65—66

<sup>4</sup> Б. Тураев, დასახელ. ნაშრომი, გვ. 120.

ცენტრირებულია მისი ქალური ბუნება. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ ნათელგვეყო, თუ რამდენად შორს დროთა სიღრმეში გამდგარი ჰქონდა ფესვები მზე-ბარბაღეს თაყვანისცემას ქართველ ხალხში. ეთნოგრაფიულ გადმონაშთების სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული ფაქტების თანახმად, მზე-ბარბაღე მოცემულია: ა. უადრესად განვითარებულ რელიგიური ხასიათის რწმენასა და კულტში, სადაც მის სახელთან დაკავშირებული ყოფილა მეტად მდიდარი და ნაირსახის მსახურების წესები<sup>1</sup>, ბ. ქალ-ბაბარ-ისა და ქალ-ბარბაღე-ს სახელებით უძველეს ბუნებრივ მითებში და, ბოლოს, გ. არქაული პერიოდის რწმენა-წარმოდგენებსა და სხვადასხვაგვარ მაგიურ წესჩვეულებებში. ამგვარად, ბარბაღე || ქალ-ბაბარ-ი ქართველებში მოწმდება არა მხოლოდ ასტრალური რელიგიის განვითარების ხანიდან, არამედ ამ ხანის გაცილებით უფრო უწინარეს დროიდან. ეს ფაქტები და, მეორე მხრივ, ქართველების მზის ამ ღვთაება ბარბაღე || ქალ-ბაბარ-ის უშუალო შეხვედრა სუმერული მზის ღვთაება ბაბარ-თან გვაძლევს უფლებას დავსვათ საკითხი—ეგების, შამაშ-ის მსგავსად, სუმერული ბაბარ დასაწყისში თავისი არსებით ქალ-ღმერთი იყო და ამ უძველესი საფეხურის ღვთაების კულტი ქართველ ტომებს აქვთ შემონახული.

<sup>1</sup> ამავე საკითხზე იხ. ვ. ბარდაველიძე, სვანური სავალთბელი „ბარბაღ დოლაში“, ენიმკ-ის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 541.



## ს ა ქ ი ე ზ ე ლ ი

ა

- აბანო 2,3  
 აბარბლ 112  
 აბრსკილ 117  
 Abraxa 117  
 აგვისტო 93,95  
 აგრაჲ 28  
 აგრარული კულტი 32, 37, 40  
 აგრარული მეურნეობა 38  
 აგრარული ქალ-ღვთაება ლამნ-  
 რია 43  
 ადამიანი 3, 9, 10, 13, 16, 22,  
 24, 27, 33, 37, 40, 45, 47, 48,  
 49, 54, 59, 63, 80, 81, 88, 91,  
 97, 101  
 ადამიანის თვალი 59, 78  
 ადამიანის თმა 51  
 ადამიანის სული 36  
 ადგილი 2, 7, 14, 15, 22, 25,  
 27, 28, 44, 47, 71, 77, 79, 87,  
 89, 96, 104, 119  
 ავადმყოფი 2, 44, 47, 50  
 ავადმყოფობა 4, 45, 48, 51, 53,  
 54, 91  
 ავალიანი დ. 36  
